ახალი საუნჯე

ტექსტების და
კონტექსტების
ჟურნალი

№5 (59) მაისი, 2018 წელი ფასი 2 ლარი

ნომრის ავტორები

ჰაიტა ნაცვლიშვილი
& ჯერროლ როზთენბერგი

პოეზია
თამუნა ანტიადამიანი ჭყოიძე
გიორგი გუნდოვანი

პროზა
მარიკა მამალაძე
ნინო სადღოგელაშვილი

კრიტიკა
ლელა კოდალაშვილი – ვლადიმირ სოროკინზე
ქეთევან კოკოზაშვილი – მიშელ უელბეკზე

ახალი თარგმანები
მიშელ უელბეკი
ვისლავა შიმბორსკა

№5 (59) მაისი, 2018 წელი

ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

პროექტის ავტორი: ვაჟა წოწკოლაური
მთავარი რედაქტორი: შოთა იათაშვილი
რედაქტორი-სტილისტი: ლელა კოდალაშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია: დავით ანდრიაძე, გია ეძგვერაძე, დათო ტურაშვილი, ეკა ქევანიშვილი, ზაზა შათირიშვილი, დავით ჩიხლაძე, გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ: პაატა ნაცვლიშვილი, დავით ჩიხლაძე, ირაკლი ყოლბაია, თამუნა ანტიადამიანი ჭყოიძე, გიორგი ბუნდოვანი, მარიკა მამალაძე, ნინო სადღობელაშვილი, ლელა კოდალაშვილი, ქეთევან კოკოზაშვილი, თემურ ჩხეტიანი, ეფემია ჭავჭანიძე

გამომცემლობა «საუნჯე»
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
Skype: saunje-saunje
ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com;
www.saungeo.ge

1. ნომრის ავტორები

პაატა ნაცვლიშვილი

პაატა ნაცვლიშვილის გული – ცხოვრება, როგორც ინტერტექსტობრივი მონაცვლეობა



* * *

პაატა ნაცვლიშვილი მჭმუნვარე გზნების პოეტია, მგოსანი, რომელსაც სძაგს სიმართლის მანტიაში გახვეული სიცრუე... მისი პოეზია გვაღელვებს, გვაბნევს, გვალბობს, გვაფორიაქებს. ის გმობს ფიქრის უმისამართო აგრესიას. მან იცის, რომ მეხოტბენი ფუთავენ სიმართლეს, რათა სინამდვილედ მოგვაჩვენონ ისტორია. ის იცნობს ექსტაზის სიამეებს, ვერ იტანს გულგრილთ, შეჰხარის ბუნების მრავალფეროვან ერთიანობას. მისი პოეზია კარს აღებს სამეგობროდ და სულის სალხენად. მიუხედავად ღრმად ემოციური ბუნებისა, იგი მყარად დგას მიწაზე. პაატა ნაცვლიშვილის ლექსი თრთის და ვიბრირებს, როგორც მშვილდი ისრის გატყორცნის შემდეგ...

პაატა ხვდება, რომ ამ გათითოკაცებულ მსოფლიოში ადამიანის ერთადერთი ერთგული მეგზური დროა. სილამაზე ვნებას აცხრობს, მაგრამ მხოლოდ დრო კურნავს ჭრილობებს. პაატა ნაცვლიშვილი ვერ ჰგუობს ანგარებიან და მდაბალ სულებს. მას სძულს პირქუში სიბეჩავე, უღირსობას შეგუებული მოწყენილობა. მის ლექსებში არ არის არავითარი ამპარტავნება, არავითარი კონფორმიზმი.

პაატას ხმა გულის სიღრმიდანაა ამოხეთქილი. სწორედ ადამიანის იდუმალ სიღრმეებში დაეხეტებიან მოგონებები, გარდასული სურათხატებისა და მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გამოცდილების ძიებაში. სწორედ ადამიანის იდუმალ სიღრმეებში გარდაიქმნებიან საგალობლებად და პოეტური შემოქმედების ხმოვან მძივებად უფერული და ბლანტი დღეები...

პაატა ნაცვლიშვილის ყველა ლექსი უჩვეულო ნოსტალგიითაა დაღდასმული. შორეული თუ არცთუ შორეული მოგონებები თითქოს უხსოვარ წარსულში იღებენ სათავეს. მის შემოქმედებაში მრავლადაა მითოლოგიური ალუზიები, ბუნებრივი მოვლენების გაღვთიურების მაგალითები, მისთა წინაპართა მსგავსად.

ქალები პაატა ნაცვლიშვილის ლექსებში ნამდვილი ფერიები არიან. ისინი მომხიბვლელ და მაცდურ სიზმრისეულ ქალთევზებს ჰგვანან, რომლებსაც მის შემოქმედებაში შეუსხამთ ხორცი. მოგონება ქალადაა ქცეული, ქალი – მოგონებად.

პაატა ნაცვლიშვილის პოეზია სულის ინტიმური პეიზაჟების ეპოპეაა.

ათანას ვანჩევ დე ტრასი
პარიზი. აპრილი, 2014.
(წინასიტყვაობა პაატა ნაცვლიშვილის
ლექსების ორენოვანი წიგნისათვის
„ხელოვნური ყვავილები“. პარიზი, 2014)

* * *

ქართველ პოეტს, პაატა ნაცვლიშვილს სოლენზარის კულტურის ინსტიტუტმა მიანიჭა საერთაშორისო გრანპრი

პოეზიაში 2014 წელს პარიზში გამოცემული მისი წიგნისათვის „ხელოვნური ყვავილები“...

პაატა ნაცვლიშვილი სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი, შემოქმედებით სახელოსნოს ხელმძღვანელი, ჟურნალ „ობოობას“ რედაქტორი და მოდერატორია...

გამარჯვებული პოეტი ავტორია 20-ზე მეტი წიგნის, რომელთა შორისაა მონოგრაფიები, ჟურნალისტური კრებულები, გამოკვლევები, ფოტოალბომები, ლექსების კრებულები. ეკუთვნის 70-ზე მეტი ქართული მარკის დიზაინი, არის ავტორი ქართული კომპიუტერული კალიგრაფიული შრიფტისა „სამშობლო“. მონაწილეობდა ირლანდიელი მეცნიერისა და მოგზაურის, ტიმ სევერინის ექსპედიციაში „იაზონის ნაკვალევზე“. როგორც ჟურნალისტს, ტურისტს თუ ოფიციალური დელეგაციების წევრს, მოვლილი აქვს ასამდე ქვეყანა.

„ჯორჯიან პრესი“

* * *

პოეტის ორსავე გამოცემულ კრებულში მოთავსებული ლექსები გაერთიანებულია უმთავრესი თემით – სიყვარულით. მოდით, შევიხედოთ პაატა ნაცვლიშვილის პოეტურ სამყაროში:

გააღეთ კარი!
მაღლა ასწიეთ ჭერი, დურგლებო!
დღეს ქორწილია:
მე ცოლად მომყავს

ჩემი ერთ-ერთი საუკეთესო
მოგონება და
სტუმრად ვპატიჟებ სხვა მოგონებებს.
მზად არის სუფრა.
ღვინის მაგივრად
ხელადებში ასხია ლეტა.
გააღეთ კარი!
მოგონებებით აივსოს სახლი...

პოეტის მოგონებები, შთაგონებით რომ კვებავს ფანტაზიას, ზოგჯერ ბავშვობისა და ჭაბუკობისდროინდელი განცდებია, პირველხილვის მშვენიერებით ამაღლებული სილამაზეა:

წლებმა თავისი
პატარა სიცოცხლე
რა უცებ გალიეს!
მახსოვს, ბავშვობაში
კოჯრის ფერდობებზე
დავდევდი კალიებს.

ზოგჯერ ეს მოგონებები დაკავშირებულია ავტორის შორეულ მოგზაურობებთან დროსა თუ სივრცეში. ამ რკალში უნდა განვიხილოთ ლექსები „მეორედ მოსვლა“, „ფონეტიკური ეკზერსისი“, „მეფის სიკვდილი“, „ისე წილკნელი“, „პიტიუნტი“, „ჩემი ოდისეა“, „ბულგარული ჩანაწერებიდან“, „პარიზის მონატრება“, „ნიუ-იორკი“, „რაფიელ დანიბეგაშვილის გახსენება მადრასის აეროპორტში 1978 წლის 16 ოქტომბერს“ და სხვები.

ვინ იცის, რა მანძილია დასაწყისიდან დასასრულამდე, სიცოცხლის ხანა ორი უმნიშვნელოვანესი თარიღით აღინიშნება:

ჩემი სიცოცხლის ერთი თარიღი გულგრილად უცდის მეორე თარიღს.

მაგრამ ამ თარიღებს შორის ჩქეფს, ბობოქრობს წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება. პოეტი კი მოვალეა, მიაყურადოს ცხოვრების დუღილს, საკუთარ სულში გადახარშოს მოვლენები, შეიგრძნოს დრო და გონებით შეაღწიოს სამყაროს მრავალფეროვნებაში, გააცნობიეროს იდუმალი ხილვები...

თუ მზე სიკეთეა, სიყვარულია საწყისი სიკეთისა. შთაგონების, პოეტური აღმაფრენის ქვაკუთხედიც სიყვარულია. სიყვარულის მზე ანათებს პაატა ნაცვლიშვილის ლექსებიდან, როგორც ნათლის ესთეტიკა. კრებულებიც ამიტომ არის სიყვარულის საერთო თემატიკით გაერთიანებული. ალბათ ამიტომ ახატია ორივე კრებულს გარეკანზე სხვადასხვა ფრაგმენტი სანდრო ბოტიჩელის ცნობილი ტილოსი „ვენერას დაბადება“ (სხვათა შორის, ორივე კრებულის მხატვრული გაფორმება

თავად ავტორს ეკუთვნის). პოეტის წარმოსახვაში სიყვარული ზოგადია და საყოველთაო – სიყვარული მშობლისა და სამშობლოსი, წარსულისა და მომავლის, სიცოცხლისა და ყოფიერების, ბუნებისა და მშვენიერების... ამაღლებული, წმიდათაწმინდა სიყვარული გზაა სიკეთისა და სრულყოფისაკენ...

პაატა ნაცვლიშვილის ლირიკული პოემა „წერილი“ პირველად სამოცდაათიან წლებში გამოქვეყნდა და მაშინვე აიტაცა ახალგაზრდა მკითხველმა. ზოგმა პოემის ცალკეული სტრიქონები გაითავისა კიდეც და სამიჯნურო ბარათსა თუ საუბარში ჩასართავად გაიხადა. ეს ფაქტი დასტურია იმისა, თუ რაოდენი უშუალობა და გულწრფელობაა პოემაში გაცხადებული.

პაატა ნაცვლიშვილის ამ ორი კრებულის მთავარი თემა და ლაიტმოტივი სიყვარულია, თუმცა ისიც ჩანს, რომ ავტორისათვის სიყვარული მხოლოდ გზაა რაღაც უფრო დიდისაკენ, უფრო მარადიულისა და უკვდავისაკენ.

სამოცდაათიანელ ქართველ პოეტთა შორის პაატა ნაცვლიშვილი უთუოდ ერთ-ერთი ყველაზე თვითმყოფადი, ნიჭიერი და საინტერესო შემოქმედია. მისი ჭეშმარიტი, გულწრფელი პოეზია ჯეროვან შეფასებას იმსახურებს.

ომარ გოჩელაშვილი
(„კრიტიკა“, #4, 1987)

* * *

1973 წელი – „წერილის“ თარიღი. სწორედ ამ წელს გავხდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტი. თითო კურსზე სულ ათ-ათი კაცი იყო, ამიტომ ყველა იცნობდა ერთმანეთს. ეს იყო, პირველკურსელები ვგრძნობდით თავს უცხოდ. მახსოვს,

პირველად პაატა ნაცვლიშვილის სახელი უნივერსიტეტის ბაღში გავიგონე, მისი „წერილი“ გადადიოდა ხელიდან ხელში. უნივერსიტეტის ბაღში გოგონების გნიასი იყო ატეხილი. ზოგი იმას ამბობდა, ვიცი, ვისაც დაუწერაო, ზოგს მრავალმნიშვნელოვნად ეღიმებოდა... მაშინ ჩვიდმეტი წლის ვიყავი. ახლა, ოთხი ათეული წლის შემდეგ, არ მერიდება იმის გამხელა, რომ პაატა ნაცვლიშვილი შემიყვარდა, შემიყვარდა ისე, რომ არც კი ვიცოდი, რომელი იყო უფროსკურსელთა შორის. არ ვიცნობდი, მაგრამ ძალიან მინდოდა, მისი წერილის ადრესატი ოდესმე მე გავმხდარიყავი... მერე, როცა პაატა გავიცანი, დავმეგობრდით, ოჯახებითაც დავახლოვდით. მიხარია და მეამაყება, რომ არც წერილოფილიას და არც იქ გამოხატულ გრძნობებს ყავლი არ გასვლია. ახალგაზრდებო, წერეთ წერილები!..

მაია ინასარიძე

(ფეისბუქი/წერილოფილია. 20 მარტი, 2013)

* * *

ბატონო პაატა, რამდენი წელია თქვენი „წერილის“ წაკითხვა მენატრება. 1978-ში, თუ არ ვცდები, ჩემმა ბიძაშვილმა ჩამოიტანა თბილისიდან სოხუმში ეს საოცრება. გავგიჟდი, ისე მომეწონა. ჩემმა კლასელებმაც გადაიწერეს. ხუმრობაა ამოდენა პოემის გადაწერა! ვგიჟდებოდით, ისე მოგვწონდა გოგოებს და ვერ წარმოიდგენთ, როგორ გვაინტერესებდა მისი ავტორის ნახვა, ვინმე პაატა ნაცვლიშვილის. მოსკოვში სწავლის დროს ხშირად ვკითხულობდი ჩემი დღიურიდან, თუმცა უკვე ზეპირად ვიცოდი. ჩემს რუს და ჩეჩენ კურსელებს ვუკითხავდი და ვუთარგმნიდი... ახლა, ამ ღამეს ისევ ამეკვიატა: „ახლა ღამეა და ვარსკვლავები ზეცას

ჭორფლივით აყრია შუბლზე“... რამდენჯერ დამიწყია მისი წაკითხვა ჩემი გოგოსთვის და ვეღარ დამიმთავრებია... დამავიწყდა... მხოლოდ ნაწყვეტები შემორჩა გონებას. მერე ინტერნეტი გამახსენდა და ისევ დავბრუნდი წარსულში, ჩემს აფხაზეთში და ისევ იმ შეყვარებული გოგონას განწყობა დამეუფლა. რატომ გწერთ? მინდა მადლობა გითხრათ ამ პოემისთვის, ეს გენიალურია! დრომ ვერაფერი დააკლო... ხვალ ჩემს გოგონას გავახარებ...

მედიკო კოპალიანი

(ფეისბუქი/წერილოფილია. 22 ივნისი, 2016)

* * *

სტუდენტობის დროს „წერილი“ ჩემმა თანაკურსელმა ზეპირად იცოდა. ბევრჯერ გვითხოვია ლექტორისთვის, ცოტა დრო დაეთმო ლექციიდან, რომ ნანას წერილი წაეკითხა. თან საოცრად კითხულობდა... მერე, როგორც სტუდენტებს სჩვევიათ, ბლოკნოტებში ჩავიწერეთ. 26 წელია მას შემდეგ გასული, ნატახტართან გავლის დროს სულ მახსენდებოდა „დღეს ჩვენი გზები ისე გაიყო, ვით ნატახტართან იყოფა გზები“... „ყველა მდინარე მუდამ მეორე მდინარეს ეძებს“... და კიდევ რამდენი ფრაზა! ეს წერილი ცხოვრებისეულივით გახდა თავისი ლამაზი სიტყვებით. სულ ვეძებდი, იქნებ გამოქვეყნებულიყო სოციალურ ქსელში და ისევ ნანას მეშვეობით ვიპოვე. დღესაც დიდი სიამოვნებით ვკითხულობ, უკვე მერამდენედ და თითქოს პირველად. უღრმესი მადლობა ამ გვერდის შექმნისთვის.

ნინო რობაქიძე

(ფეისბუქი/წერილოფილია. 24 აპრილი, 2013)

* * *

გაცრეცილმა დილამ ფანჯარაში შემოიხედა. გამოფხიზლებამდე გამახსენდა, რომ 9 საათზე სკოლაში უნდა ვიყო. უწადინოდ წამოვდექი და გარეთ გავიხედე. ნისლში გახვეული რიჟრაჟი ნელა მოიპარებოდა. მიყვარს ნისლი და თოვა. უნებურად გამახსენდა ეს სტრიქონები და გავიფიქრე: „უკვე თენდება, თენდება უკვე – ღამე ქალივით ნებდება დილას, წვიმის წვეთები, როგორც ცრემლები, დაჰკიდებია ბალახს და მინას“... სკოლისკენ მიმავალს ფიფქები წამომეწია. თანდათან უფრო უმატა თოვამ. საოცრად კარგ ხასიათზე დავდექი. ისე უხდებოდა ჩემს კოპწია ქალაქს თოვა, ნისლი, თვალს ვერ ვაცილებდი. სამასწავლებლო სავსე იყო მასწავლებლებით, მომეჩვენა სხვებიც ჩემსავით ამაღლებულ განწყობაზე იყვნენ. ზარი დაირეკა. მასწავლებლებმა, რომლებსაც გაკვეთილები ჰქონდათ, საკლასო ოთახებს მიაშურეს. მხოლოდ ოთხი ადამიანი დავრჩით. კარადიდან მეთორმეტე კლასის შემაჯამებელი წერის რვეულები გამოვიღე და გასწორება დავიწყე. ყველა ჩუმად საქმიანობდა. უეცრად გაკვეთილების ცხრილს ჩაჩერებულმა სასწავლო ნაწილის გამგემ, მათემატიკის პედაგოგმა, საოცრად პოეტური სულის ადამიანმა გარეთ გაიხედა და დაიწყო: „მე ვარ მდინარე, ყველა მდინარე მუდამ მეორე მდინარეს ეძებს“... ორი-სამი აბზაცი გაიხსენა, შემდეგ მე გავაგრძელე: „ალბათ ჯობია, ნანატრი ბაღი კაცმა იხილო მხოლოდ გარედან“... მეც ორი-სამი აბზაცი წავიკითხე. ჩვენდა გასაკვირად იმ ორმაც ჩამოგვართვა „სიტყვა“ და კარგა ხანს ასე ხელიდან ხელში გადადიოდა „წერილი“. საოცარი ის იყო, რომ ყველა სხვადასხვა თაობისა და პროფესიის წარმომადგენელი ვიყავით. აი, ესაა შედევრი, რომელიც დროის დინებას არ მიჰყვება, თაობიდან თაობას გადაეცემა და სულს აუფორიაქებს, აწმყოს გაულამაზებს, წარსულში გადააფრენს და მომავალს იმედიანად

შეაგებებს. ამისათვის დიდი მადლობა, ბატონო პაატა! გაიხარეთ!

როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, დიდი სურვილი მექნება, პაატა ნაცვლიშვილის ეს „წერილი“ მეთორმეტე კლასის სახელმძღვანელოში შეიტანონ, რათა ჩვენმა მომავალმა თაობამ გაიგოს, როგორი ნიჭიერი თაობა იყო მაშინ, როგორ უყვარდათ, როგორი ფაქიზი და სუფთა იყო ის გრძნობა, რომელსაც სიყვარული ჰქვია და გააცნობიერონ, რომ: „არა! არ არის ის სიყვარული, რასაც საერთოდ მას უწოდებენ! ის არის ბევრად იმაზე მეტი!“

ნუნუ გრემელაშვილი, *თელავი.*
(ფეისბუქი/წერილოფილია. 15 დეკემბერი, 2014)

* * *

...საუბარი პაატა ნაცვლიშვილის გახმაურებულ ლირიკულ პოემას „წერილს“ ეხება. 2005 წელს ეს პოემა ჟურნალ „პრეს-პრემიერის“ ფურცლებზე არც მეტი, არც ნაკლები, თინათინ მაისაშვილის სახელით იბეჭდება. პოემას თან ერთვის ჟურნალის რედაქტორის, ქეთი სესიაშვილის წინასიტყვაობა: ...„ამ ნომრის გამოსაცემად რომ ვემზადებოდით, თინათინის კრძალვით მოტანილ ნაწერებს გადავავლე თვალი, ჩავიკითხე ბოლომდე მისი ე. წ. სონეტები და მივხვდი – შექსპირისეული სევდისფერი ცრემლი მის სულშიაც ჩაღვრილიყო, მაგრამ ამ სახეღიმილიან ქალბატონს ეს სევდისფერი უფრო მეტ ქალურობას მატებდა“... მშვენიერია, მაგრამ პოემა რომ

პაატა ნაცვლიშვილს ეკუთვნის? ჰოდა, რა უნდა ექნა ავტორს, – ადგა და სასამართლოში იჩივლა, მაგრამ საკუთარი სიმართლის დამტკიცება უფრო რთული აღმოჩნდა, ვიდრე თავად ეგონა...

ხათუნა ქარდავა, *„სევდისფერი ქალის“ მოლოდინში...*
(„24 საათი“, 30 მაისი, 2007)

* * *

...გაჭიანურებული დავა დასასრულს უახლოვდებოდა. შეიძლება ამის გამო, ან სხვა მიზეზით, მოსამართლე ქალბატონს გაეღიმა – მშვენიერი, მომხიბლავი ღიმილით.

ლიტერატურული ნაწარმოების დაცვის პირველი ფაქტი სასამართლოში ღიმილით დაფიქსირდა.

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ერთ მშვენიერ დღეს, უფრო ზუსტად, 2005 წლის 19 იანვარს, პაატა ნაცვლიშვილმა სახლის მახლობლად მდებარე ჯიხურში სრულიად შემთხვევით შეიძინა ჟურნალი „პრეს-პრემიერი“... გადაშალა, გადაფურცლა, გადაათვალიერა, მაგრამ გული ვერ დაუდო, საინტერესოს ვერაფერს წააწყდა... და უცებ რას ხედავს! რა ნაცნობი სიტყვებია, აქ საიდან გაჩნდა, ვის გაახსენდა, რატომ, რისთვის...

ერთი სიტყვით, ელდა ეცა.

ეს ხომ მისი პოემაა! – ჯერ კიდევ როდის დაწერილი, ჯერ კიდევ როდის გამოქვეყნებული.

ავტორი?

ავტორად სხვა არის გამოცხადებული – თინა მაისაშვილი.

სათაურიც სხვა არის – „შენ (არ) გეგონოს, რომ შენზე ვწერდე!...“

შეცვლილია მხოლოდ რამდენიმე სიტყვა და ადრესატის სქესი – ქალის ნაცვლად „პატარა უფლისწულს“ მიმართავს პლაგიატორი.

მის პოემას „წერილი“ ერქვა. ამ სათაურით გამოქვყნდა 1974 წლის მაისში უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სასწავლო ჟურნალ „ახალგაზრდა ჟურნალისტში“, ამ სათაურით დაიბეჭდა ალმანახ „პირველი სხივის“ მე-17 ნომერში 1983 წელს, ამ სათაურით გამოსცა გამომცემლობა „ნაკადულმა“ 1986 წელს.

ნუთუ პლაგიატორი სათაურით მალავს საჯაყ საქციელს?

როგორ გინდა შუბი ხალთაში დამალო...

სხვათა შორის, ეს არ იყო ამ პოემით დაინტერესების პირველი ფაქტი. გამოქვეყნებიდან კარგა ხნის განმავლობაში ეხმიანებოდნენ ავტორს მკითხველები, ზოგიერთი მანდილოსანი „წერილის“ ადრესატად მიიჩნევდა თავს და საპასუხო ბარათს სწერდა პოეტს, ზოგნი მიბაძვით წერდნენ და ამას არც მალავდნენ, „თავიანთ“ ნაწარმოებებს წერდნენ: „პაატა ნაცვლიშვილის მიბაძვით“, „პაატა ნაცვლიშვილის გავლენით“, მაგრამ მსგავსი რამ, რის წინაშეც ახლა იდგა, არასოდეს ენახა...

სამწლიანი განხილვის შემდეგ, 2008 წლის 31 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ (მოსამართლე თამარ ჩიხლაძე) მიიღო გადაწყვეტილება. თინათინ მაისაშვილსა და ჟურნალ „პრეს-პრემიერს“ სოლიდარულად დაეკისრათ პაატა ნაცვლიშვილისათვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება 11.000 ლარის ოდენობით.

ასე დასრულდა ამ იშვიათი პლაგიატის ამბავი...

მაგრამ მომხდარს არაფერი ეშველება. ვინ იცის, სად და როგორ იწონებს თავს თინათინ მაისაშვილი „პრეს-პრემიერში“ რედაქტორის შესავლით დამშვენებული პლაგიატიანი ნომრით და გაიძახის, ნახეთ, ეს რა მაგარი რამე დამიწერიაო.

ამას კი მართლა არაფერი ეშველება.

ივანე ამირხანაშვილი, *„პოემის განხილვა... სასამართლოში“*
(“ჩვენი მწერლობა”, #21, 2008)

* * *

პაატა ნაცვლიშვილს
ტირის სიზმრების უდაბნოეთი
ვარდებს,
ვარდებზე გადაწვენილებს,
დაჯდება მერე ვინმე პოეტი
და ჩემს მაგივრად დაწერს „წერილებს“...
შორსაა ახლა იმ სიფითრემდი,
ძნელზე ძნელია გზებზე წანწალი,
მე მივიდოდი
და ფეხს ვითრევდი
და ერთი ფეხით შენ გამასწარი;
შენ გამასწარი და შერჩი საქმეს,
გალეული და
წვერგაბურდული...
და რუსთაველზე გამავალ სარკმელს
ჩარაზავს ღამის მძიმე ურდული...
აწი არჩევანს ეშმაკი ენდო,
აწი ფუჭია ცდა და იგავი
და როს სტრიქონით კვდებოდი ერთ დროს,
შეგეძლო,

მართლა მომკვდარიყავი.
ჩარაზულია იქით კარები,
ჩარაზულ კარებს
მოწყენით უმზერ,
და გაგონდება, რომ ვარსკვლავები
ზეცას ჭორფლივით ეყარა შუბლზე.
სულს სინანულის დოვლათით ავსებ
და სადღაც ეშმა კვდება ხარხარით,
და ზეცას ისევ აყრია ტანზე
ალერგიული გამონაყარი...
...გაჰყვება იღბალს იჭვების გამა,
იღბალიც ყავის მკითხაობს ლექზე,
ვით ნაადრევად წასული მამა,
დაესიზმრები პირღია ლექსებს...

ვასილ ბესელია
(წიგნიდან: ვასილ ბესელია,
„კარდიოლექსები“. თბილისი, 2012

* * *

ჩემი ქვეყანა კარგა ხანია გადაეჩვია თავისი საამაყო შვილების მხარდაჭერას, წახალისებას, საიუბილეო თარიღების მილოცვასა და ფართოდ აღნიშვნას. არადა, მათი ცხოვრება, შემოქმედება და ღვაწლი ხომ წარუშლელ კვალს ტოვებს მომავალი თაობებისათვის... გულსატკენია, ძალიან გულსატკენი!..

ჩემო პაატა, მაქვს პატივი, გულითადად მოგილოცო სახელოვანი იუბილე, მივულოცო შენი დაბადების დღე შენს ლამაზ ცოლ-შვილს, შენს ძმას, სანათესაოს, შენს უამრავ კეთილისმსურველს, მეგობარსა და ახლობელს. მეც მიგულე საუკეთესო სურვილებით შენს მეგობართა შორის.

მე კომპოზიტორი ვარ. რა შემიძლია გაჩუქო და გისახსოვრო ამ შესანიშნავ დღეს? რასაკვირველია, სიმღერა! – ჩემი ახალი სიმღერა ჯერ კიდევ ათეული წლების წინ გახმაურებულ და დღემდე პოპულარულ შენს „წერილზე“. ამ მოლოცვას გულწრფელად უერთდებიან არაჩვეულებრივი ბიჭები „თეატრალურის კვარტეტიდან“.

ეს ჩემი და შენი მეორე ერთობლივი ნამუშევარია! მანამდე აკი სწორედ ჩვენი შემოქმედებითი თანამშრომლობით შეიქმნა სიმღერა „სიყვარული გზად და ხიდად“ – მსოფლიოში პირველი სიმღერა შოთა რუსთაველის ტექსტზე! მჯერა, რომ ჩვენი შემდგომი ახალი ჩანაფიქრიც გაახარებს მსმენელს – მუსიკალური სპექტაკლი „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით მართლა უნიკალური პროექტია!

იმედი მაქვს, კალენდარული ასაკი ვერაფერს დააკლებს შენს ამოუწურავ ენერგიას და შემართებას!

სულ წარმატებული გვეყოლე! გული არაფერზე იტკინო, ასეთი ცხოვრებაა დღეს!

მეამაყები!”

ჯემალ სეფიაშვილი
(გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 17 ოქტომბერი, 2017)

* * *

პაატა ნაცვლიშვილის, როგორც პუბლიცისტის, ან თუნდაც მწერლის გამომსახველობით ხერხთა პალიტრა მდიდარი და მრავალფეროვანია. ამ მრავალფეროვნების წყალობით ჩვეულებრივი, რეალური ამბავი მხატვრულ ღირებულებას იძენს, საინტერესო საკითხავი ხდება და ორიგინალურ, თვითმყოფად ესთეტიკურ ფენომენად გვევლინება. თხრობის მანერა დინამიურობით და სვლათა

მოულოდნელობით ხასიათდება. თითოეული სიტყვა თუ პასაჟი პროპორციულადაა დამუხტული ინფორმაციითაც და გარკვეული მხატვრული შეფერილობითაც... ერთი უმნიშვნელოვანესი მხარე პაატა ნაცვლიშვილის სტილისა ისიცაა, რომ ავტორს იუმორის გრძნობა აქვს მომადლებული. მახვილგონივრული კალამბურითა თუ მეტყველების ირონიზირებით, მოვლენებში კომიკური ნიშნების აღმოჩენით იუმორისტულ ეფექტსაც მარჯვედ ქმნის. ზემოთქმულის დასასაბუთებლად ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

მიხეილ ანთაძე, *„ახალგაზრდა მწერლის პუბლიცისტიკა“ („ლიტერატურული საქართველო“, 11 სექტემბერი, 1981)*

* * *

...მას გზას უღობავდნენ, ლექსებს უწუნებდნენ, ისიც ნელ-ნელა იცრუებდა გულს და, როგორც დღეს იტყვის, რომ არა პაატა ნაცვლიშვილი, თავსაც დაანებებდა ყველაფერს. „სადაც კი მივდიოდი, რედაქციები იყო თუ ცნობილი მწერლები, ყველგან აგრესიით მხვდებოდნენ, ეს რა პოეზიაა, მიუღებელია, აი, წერეთ ისე, როგორც წერენ სხვები და მისახელებდნენ ისეთებს, ვინც პირადად ჩემთვის მიუღებელი იყო. არ დავასახელებ იმ მწერლებს, უკვე გარდაცვლილები არიან, დღეს ისინი არავის ახსოვს, მაშინ ცნობილებად ითვლებოდნენ... მეც უკვე ხელი მქონდა ჩაქნეული, არ გინდათ და, არც მე მინდა, შევეშვები ამ წერას“...

ამ განწყობით ჩაივლის გამომცემლობის წინ, გაახსენდება, რომ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში არ ყოფილა. კიდევ ერთხელ ცდის ბედს. შეაღებს პაატა ნაცვლიშვილის კაბინეტის კარს... „პაატა მაგიდის თავში ზის... იმდენად ვიყავი ამ ყველაფრისგან დაღლილი, იმის ახსნაც არ

დამიწყია, იცით, მე ვარ ლია რუსიაშვილი, ეს ჩემი ლექსებია, იქნებ წაიკითხოთ... ჩანთიდან ამოვიღე ფურცლები, დავუდე მაგიდაზე და გამოვბრუნდი. ზურგით ვგრძნობდი გაოგნებულ მზერას. გამოვიხურე კარი და წავედი სახლში. მესამე დღეს დამირეკა ნაცნობმა, გაზეთი ნახეო. მე აღარც ველოდი. მეგონა, ისევ დაიწყებდნენ, რომ ეს არაა პოეზია, რომ ეს მიუღებელია... მთელი გვერდი იყო დათმობილი. "ლია რუსიაშვილი – ახალი სახე"... ყველა ლექსი იყო დაბეჭდილი, რაც დავტოვე... შემდეგ კიდევ სამი გვერდი დაიბეჭდა... იცით, რა მიკვირს? ლამის 30 წელი გავიდა იმ დღიდან და უამრავი შემხვდა ისეთი, ვისაც დღემდე აქვს შენახული ის გაყვითლებული გაზეთები"...

1987 წელს 24 წლის პოეტმა ქალმა ლექსების წერა შეწყვიტა. პოეზიიდან წავიდა...

პოეტის დუმილი ზუსტად 14 წელიწადს გასტანს. 2001 წელს „ჩვენს მწერლობაში" „იქსის" ფსევდონიმით დაიბეჭდება ოთხი პოემა. ახლა ეს პოემები ჩააგდებს პოეზიის მოყვარულებს საგონებელში. ვინ იმალება ამ ფსევდონიმის მიღმა? რედაქცია მკაცრად ასაიდუმლოებდა. მხოლოდ პაატა ნაცვლიშვილი მიხვდა იმ წამს, ვინც იყო ამ პოემების ავტორი. შემდეგ სწორედ მისი რედაქტორობით გამოიცა ეს პოემები და სწორედ პაატა ნაცვლიშვილმა ამცნო საზოგადოებას, რომ „იქსი" ლია რუსიაშვილი იყო.

რეზო შატაკიშვილი, *„სალი კოლხელი"*
„ჰარი პოტერის" წიააღმდეგ
(Prime Time, #6, 2012)

* * *

თბილისში წამოვედი, რომ პაატა ნაცვლიშვილის რეკომენდაცია აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე

მივიტანო. პაატამ სთხოვა ფაკულტეტის დეკანს, ქალბატონ ირინე გოცირიძეს, ლექსების წერასა და მეცადინეობაში ხელი რომ არაფერს შეეშალა, ეგებ ჩემთვის სტუდქალაქში ცალკე ოთახის გამოყოფა მოხერხებულიყო…

გაუბედავად შევაღე დეკანის ოთახის კარი და იქ გამხდარი, ჭაღარაშერეული, მაგრამ ძალიან ლამაზი და ცოცხალი ქალბატონი დავინახე. მობრძანდითო, მითხრა, და რომ გაიგო, ვინც ვიყავი, დღემდე დაუვიწყარი კეთილგანწყობითა და სიყვარულით მიმიღო... მორიდებით ვაჩუქე ჩემი პირველი ლექსების კრებული „ობლის კვერი“, ქალბატონმა ირამ მითხრა, მეც ობლად ვარ გაზრდილიო, და წიგნი ინტერესით გამომართვა.

„ობლის კვერის“ გამოცემაც მთლიანად პაატა ნაცვლიშვილის დამსახურება იყო... თბილისში ჩამომიყვანა და გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციიდან ერთი სართულით ქვემოთ, გამომცემლობა „მერანის“ მთავარ რედაქტორთან, გივი ალხაზიშვილთან მიმიყვანა...

გივი ალხაზიშვილმა პაატა და მე თავაზიანად მიგვიღო. გიორგის ლექსები ისედაც ვიცი და წიგნსაც, რასაც ვუყურებ, ცუდი ალბათ არ უნდა გამოვიდეს, მაგრამ, ხომ იცი, ჩვენთან როგორი რიგია. ახლავე ჩავაყენოთ რიგში და ერთი-ორი წლის მერე ალბათ შევძლებთ კრებულიც გამოვცეთო, – უთხრა პაატას.

პაატამ სთხოვა: ორი წლის მერე არ ვიცი, რა იქნება. ეს კრებული კი მალე მინდა დაიბეჭდოს. ხომ მიწევს ახლა, რამდენიმე თვეში, წიგნის რიგი, ჰოდა, მოდით, ჩემი წიგნი ამოვიღოთ და, სამაგიეროდ, გიორგის ეს კრებული გავუშვათო.



ყურებს არ ვუჯერებდი! ასეთ რამეს ძალიან ცოტა ადამიანი, პრაქტიკულად, არავინ იზამდა. ახლა შეიძლება წარმოუდგენელი იყოს, მაგრამ მაშინ მწერლები თავიანთი წიგნების რიგს წლობით ელოდნენ და სხვა ყველაფერს, თუნდაც მიმზიდველ ჰონორარს რომ თავი დავანებოთ, ამდენი ხნის ლოდინის გამო მაინც არავინ დათმობდა იმას, რასაც პაატა ნაცვლიშვილი ჩემ თვალწინ სრულიად უყოყმანოდ შეელია!

გივის გაეღიმა, კარგი, კარგიო, – პაატას უთხრა, იქვე, გამოსაცემი წიგნების საკმაოდ გრძელი ნუსხა ამოიღო უჯრიდან, პაატა ნაცვლიშვილის გვარს ხაზი გადაუსვა და მის მაგივრად ჩემი გვარი და წიგნის სათაური ჩაწერა...

წიგნს სათაურიც პაატამ შეურჩია...

კრებულის დიზაინიც პაატამ გააკეთა...

წიგნზე მნიშვნელოვანი ამ გადასახედიდან ადამიანობის ის დიდი გაკვეთილი მგონია, რომელიც მაშინ პაატა ნაცვლიშვილმა ჩამიტარა: როგორ უნდა დათმო საკუთარი სიხარული სხვის – მითუმეტეს, ობლისა და უპოვარის, – გასახარებლად.

რაკიღა ეს მაგალითი მიდევს წინ, ახლა ალბათ იმავეს მეც ზედმეტი დაძაბვის გარეშე მოვახერხებ, მაგრამ ვეჭვობ, პაატა ნაცვლიშვილი რომ არ მოქცეულიყო ასე, დღეს ასეთი რამის გაკეთება მეც შემძლებოდა.

გიორგი ლობჟანიძე, *„ჩემი ფანჯრებიდან“*
(„ჩვენი მწერლობა“, #24, 2014)

* * *

პაატა ნაცვლიშვილს ყველაფერი გულში აქვს გატარებული, რომელიც სულ გრძნობს, რაც მოხდა, ხდება და მოხდება.

მანანა ამირეჯიბი, *„ახალი ტიპის მე(გულ)თვალყურე“*
(„ლიტერატურული გაზეთი“, #10, 2016)

* * *

პაატა ნაცვლიშვილის ვეება ლექსმა, რომელიც საწყის სტრიქონში სიტყვათა მიმდევრობის ცვლის პრინციპითაა შექმნილი, ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ვფიქრობ, ამ ფენომენს უფრო სრულყოფილი გააზრება ესაჭიროება...

უპირველესად, პაატა ნაცვლიშვილის აღნიშნული ლექსის მნიშვნელობას ადასტურებს ის გაოცება, რომელიც მისი წაკითხვისას აღიძვრება მკითხველში: რა გამაოგნებლად ღრმა, მოქნილი, დრეკადი, ფერთა და ფორმათა თვალუწვდენელი პოტენციის მფლობელია ქართული ენა!

ამას ყველანი ვვარაუდობდით, მაგრამ ახლა ეს ყოველივე ცხადად დავინახეთ კიდევ ერთ ასპექტში: არსებობს ექვსსიტყვიანი წინადადების 720 ვარიანტი, ყველა გრამატიკულად დასაშვები და მეტ-ნაკლებად იგივე შინაარსის მქონე. ხოლო ამ „მეტ-ნაკლებად“-ში ნაგულისხმევი ნიუანსობრივი (სტილური, ემოციური და ასე შემდეგ) სახესხვაობების სიმრავლე წარმოუდგენლად მრავალსახაა. რაიმე მსგავსი, ჩემთვის ნაცნობ ენებში წარმოუდგენელია (ეს უკვე აღიშნა ავტორმა).

შალვა საბაშვილი, *„პოეტურ შესაკრებთა გადანაცვლების“ ახალი ნიუანსები*
(„ლიტერატურული გაზეთი“,
#23, 2015; #14, 2016)

* * *

ყველა თამაში წესების დაცვას მოითხოვს, მით უმეტეს პოეტური თამაში.

პაატა ნაცვლიშვილი გვთავაზობს რიტმულ-ინტონაციურ თამაშებს, რომელიც სათაურიდან ბოლო სტრიქონამდე პოსტმოდერნისტულია, რაც ნიშნავს:

აქ არის ინტერტექსტი და სოციალურ-ისტორიული შიფრი;

დინამიზმი და მრავალმნიშვნელოვნება;

ირონია და პაროდია;

დისონანსური რითმა და ენობრივი კოდი.

რაც მთავარია, ეს არის წარმატებული გაგრძელება ექსპერიმენტული ციკლისა.

პაატა ნაცვლიშვილი ახლიდან ქმნის თავის ლიტერატურულ სახეს და ამაშიც არის რაღაც

პოსტმოდერნისტული.

სანამ ცნობილი ჟურნალისტი გახდებოდა, პოეტი იყო. პოეტობას დაუბრუნდა და ჟურნალისტიკა სქოლიოში ჩაიტანა.

ცხოვრება, როგორც ინტერტექსტობრივი მონაცვლეობა.

„ჩვენი მწერლობა“ *(#29 2010)*

ანამარიას გული – ასი ანაგრამული

რითმის სიხარული

წიგნებისთვის: „სელფები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“

ბანს ნუ მეტყვი, განს ნუ მეტყვი, *მითხარ ა!*
ჩუმად მითხარ, უხმოდ მითხარ, *ხმით არა.*
ისიც მარქვი, გიგომ რაო, *თხამ რაი,*
ქვიშამ რაო, მიწამ რაო, *თიხამ რა!*
მთავ, გადმიშვი, თუ ნამდვილი *მთაი ხარ,*
ჩანს, ამინდმა დამინდო და *მიხათრა,*
და გადამკრა ცისარტყელის *მათრახი...*
რითმა ხარობს, რითმა ხარობს, *რითმა ხა...*

ამნეზია

წიგნებისთვის: „მოციმციმე არითმია“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“
ვეღარა ვცნობ – ვარსკვლავია, ან მთვარეა, *ან მზეია*...
ანდა შენ ხარ... რას მიშვრება ეს ვერაგი *ამნეზია!*

ის ლოგინი ლუგანოში

წიგნებისთვის: „ქალები და ქალაქები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„წმაწურები და უწმაწურები“
სარბიელი –
ასე რბილი...

დაბრუნება ბავშვობაში ანუ რთული და თითქმის უშინაარსო ანაგრამა ექსპედიციის წინ

წიგნებისთვის: „სელფები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“

კორბეტი.

კუმაონის კაციჭამიები.

კორტები.

ოიკუმენის ჭაკიმც აბია.

კაიფი-21 ანუ Generation X

წიგნებისთვის: „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„სუმბურები და კალამბურები“
კობეინი და *ნირვანა* –
სხვა არ გინდა შე*ნ არავინ*.

მთის უნახავი ამერიკელი სვანეთში

წიგნებისთვის: „ბაბილონის გონდოლა“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „კენტავრები და წყვილტავრები“
— *ესა რაა, ჰიმალაი?*
— *ეს აილამაა, ჰარი!*

ჩიჩოლინა - სადამ ჰუსეინს

წიგნებისთვის: „აპოლიტკორექტული ადრესები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „წმაწურები და უწმაწურები“
მაგალითია *შემეცნებით**ი*** –
ნუ ვიხმართ ძალას – *შემეც**ი** ნებით!*

ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის სანაცვლოდ
ჩიჩოლინამ სადამ ჰუსეინს მასთან სექსი შესთავაზა.

სუფრა არ ყველა სუფრაა

წიგნებისთვის: „საკენკი“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „სუმბურები და კალამბურები“
უსაფერავო
სუფრა? ავოე!

ციანიდის საქმე

წიგნებისთვის: „აპოლიტკორექტული ადრესები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „გველები და არაგველები“
ვინ მბრძანებელი არის ბეჭდების, ვინ კი – *პატრონი ქარისა,*
მიდი-მოდიან მეუფეები, დასტურ *საპატრიარქონი*...

სიზმარ-ცხადი: მარი

წიგნებისთვის: „სელფები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“, „ქალები და ქალაქები“
არ თქვა ცოდვის, ***არცა მოდის,***
ცხადს არჩიე *სიზმარი:*
მზე არც ჩადის, ***არც ამოდის,***
ზღვის ნაპირას *მარი ზის...*

აღლუმი

წიგნებისთვის: „აპოლიტკორექტული ადრესები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „საკენკი“
თურმე ყოფილა *შირმა*
ეს საზეიმო *მარში!*

...მიწამიწამიწამიწამიწამიწა...

საშა სულხანიშვილს

წიგნებისთვის: „ლექსბორბალები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„გველები და არაგველები“, „მოციმციმე არითმია“
გამოთხოვების თან მიგაქვს *წამი*
და ერთი მუჭა სამშობლოს *მიწა*.

„საკითხავი აი, ეს არის!“

წიგნებისთვის: „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „წიგნები“, „რომეიქები და რიპეირები“ სტრატფორდის გზაზე ვზი *ექსპრესშია,* კითხვები მიპყრობს მე *შექსპირისა!*

„მატარებელმა მოაკივლა საყვარლად თბილისს“...

წიგნებისთვის: „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „წიგნები“

შეუსაბამო საკითხავია მატარებელში *მაკიაველი,* სიტყვა, რომელიც აქ იბადება – *მიაკივლეა.*

კედელზე ჰკიდია „ქალი მანდოლინით“

წიგნებისთვის: „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „სელფები“, „ქალები და ქალაქები“
ველოდები *მან**დ**ო**ლ**ინით,*
და-ცა-მღალა *მან **ლ**ო**დ**ინით!*

სტუმრის თხოვნა

წიგნებისთვის: „ქალები და ქალაქები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„საკენკი“, „სუმბურები და კალამბურები“
მიაგდე *სამზარეულო,*
მესროლე *მზერა, ასულო!*

მოხუცი და ზღვა

წიგნებისთვის: „წიგნები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „საკენკი“
თავზარდამცემი
რად მამცა თევზი?!

...და მერე

წიგნებისთვის: „წიგნები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „მოციმციმე არითმია“
ჯერ კამიუ წაიკითხე, ჯერ ბეკეტი, *ჯერ სელინი* –
ჯერ ფოლკნერი, ფიცჯერალდი, კეპოტე და *სელინჯერი*...

ქება აქიმთა

სოსოს და ნონას

წიგნებისთვის: „სელფები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“, „წიგნები“
შენ აღარ დაგჭირდება წამალი და *ქიმია,*
გაგიმართლა – სუყველა კარგი შეგხვდა *აქიმი,*
იქ სოსო და იქ ნონა, აქ ნია და იქ *მია*...
შოთასაებრ მათ ვაქებ, ვინც აქამდე *მიქია*.

ანამარიას გული ანუ ფიქრები გრაბენზე სეირნობისას 2005 წლის 12 მაისს

ანამარია განტერ-ჰესს

წიგნებისთვის: „სელფები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“, „ქალები და ქალაქები“
აის კაბა ვიტრინაში ნაღდად *არმანისაა,*
თუმც სხვა ჰქონდა საზრუნავი იმ დღეს *ანამარიას,*
როცა გულით მიმიწვიეს, ჩამოდი ***ვენაშიო...***
ახლა მინდა ამ ქალაქში სახლი რომ ***ავიშენო.***
და იმედი რომ არ მქონდეს მე იმისი *გულისა,*
კარგა ხნის წინ ვიქნებოდი მეც მარილზე *გასული.*

აქა ამბავი პუანკარეს ჰიპოთეზისა და გრიშასი

წიგნებისთვის: „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „საკენკი“, „სუმბურები და კალამბურები“„ბაბილონის გონდოლა“
უარი თქვა მილიონზე, – უნდა იყო *პერელმანი:*
არა გქონდეს ლუკმა-პური, – ბულკი რაა, *პელმენი რა...*

To whom it may concern-2

წიგნებისთვის: „მოციმციმე არითმია“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„გველები და არაგველები“, „ბაბილონის გონდოლა“
რა პოეტი, რის *მგოსანი!*
კაპრიზი ხარ *გნომისა!*

რეიტინგი

წიგნებისთვის: „აპოლიტკორექტული ადრესები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „საკენკი“
ბოლო დროს მაგრად ***აკრიფა*** –
უძახე ახლა ***აფრიკა***!

მიტინგი ძველ რომში

წიგნებისთვის: „აპოლიტკორექტული ადრესები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „გველები და არაგველები“, „წიგნები“
ერთ მხარეს დგანან *ციციკორენი,*
მეორე მხარეს კი – *ციცერონი.*

To whom ot may concern-5

წიგნებისთვის: „მოციმციმე არითმია“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „გველები და არაგველები“
აი, ხმა და *აი, ცქერა!*
აი, ნაღდი *რეაქცია*...

იდუმალი მოლოდინი

წიგნებისთვის: „სელფები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“
მე ნუ მკითხავთ, *თუ რას ველი,* –
შოთა გეტყვით, *რუსთაველი.*

თავრითმიანი განაჩენი

წიგნებისთვის: „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „გველები და არაგველები“, „წიგნები“
აკაკი გილიოტინაა უნიჭოთათვის,
გალაკტიონი კი იაა მათ საფლავზე.

საფოსტო მარკა: კენია-უგანდა-ტანგანიკა

წიგნებისთვის: „აპოლიტკორექტული ადრესები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „ბაბილონის გონდოლა“
ვერ გაიგებ – ზულუსია, ბანტუა თუ *მასაია*...
როგორ გინდა, მარტოკაცმა წაიცეკვო *სამაია!*

რაცუნდ

წიგნებისთვის: „სელფები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“, „რომეიქები და რიპეირები“

რაცუნდ სიავე მამკერძოს, ქოშიც უკულმა *მაყაროს*...
არც ბილწთ შავეკვრი ზავითა, ვერც ფეხებს მამჭამს
სამყარო!

ახალი მთავრობა

წიგნებისთვის: „აპოლიტკორექტული ადრესები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „გველები და არაგველები“
სულ 15 *სამინისტრო* –
მაგრამ მთელი *ასი მონსტრი*!

„რაღაც დალპა დანიის სამეფოში“

წიგნებისთვის:„რიმეიქები და რიპეირები“, „წიგნები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „სუმბურები და კალამბურები“
სანამ რაღაც აქ დალპება, დაე დალპეს *ჯერ დანია,*
ჩვენ ჩვენი გვყავს მისახედი – ლუარსაბ და *დარეჯანი.*

სიდნეიდან დაბრუნება

წიგნებისთვის: „კეტავრები და წყვილტავრები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „საკენკი“
აჯაყჯაყდა თვითმფრინავი, წინ შემოხვდა საჰაერო
ორმოებიც, *ღრმულებიც,*
როგორც თავზე სველი ტილო, თბილისამდე
მოგყვებოდეს ეს ბატკანა *ღრუბელიმც.*

მეზღვაურები ხმელეთზე

წიგნებისთვის: „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „სელფები“, „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“, „ქალები და ქალაქები“
მათი არის ეს კნეხტები, ეს გემებიც ***მათ უბია,***
მათი ზღვა და ოკეანე მშობლიური ***ბათუმია!***

უხმო რექვიემი

წიგნებისთვის: „აპოლიტკორექტული ადრესები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „გველები და არაგველები“, „ქალები და ქალაქები“
უხმოდ რეკავს დო-რე-მი... უხმო ლა და *უხმო სი*...
უხმო ფას და უხმო სოლს უხმოდ უხმობს *სოხუმი*.

ქუდი რე დო ბოხოხია

წიგნებისთვის: „საკენკი“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„ქალები და ქალაქები“, „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“
როგორც ძუკუმ ვერ გაიგო, ქუდია თუ **ბ**ოხო**ხ**ია,
ისე ცხენმა გორგასალის – ჩიტია თუ **ხ**ოხო**ბ**ია!

უკანასკნელი მსაჯული: თეირანი, იალტა, პოტსდამი...

წიგნებისთვის: „აპოლიტკორექტული ადრესები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „ქალები და ქალაქები“ აკონტროლებს ზემოდან წმინდა სამ**უე**ლი, როგორ იყოფს მსოფლიოს დიდი სამ**ეუ**ლი.

თქვა რუქამ არაკი

წიგნებისთვის: „ანდაზები და აქანდაზები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიცოცხლე ***სახელოვანი...***
ამისი მთქმელი სხვა შოთა, სხვა საბა, ***სხვა ლეონია!***

პიგმალიონი

წიგნებისთვის: „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“, „წიგნები“
ამ ქალღმერთზე უკეთესი რაღა უნდა *გაეთალა!*
პიგმალიონს ქანდაკება გაუცოცხლდა – *გალათეა...*
ქვა არის თუ ცოცხალია, თუ შიგ ხელი ***არ ატაკე,***
ვერ გაიგებ... სუმოა თუ კენდოა თუ ***კარატეა!***

ლეოს ღვინით გაჯერებული გაბაასება ილოსი და მათესი

წიგნებისთვის: „აპოლიტკორექტული ადრესები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „გველები და არაგველები“
აირია ერთმანეთში ავი თესლი, *ამო თესლი,*
მალე ჩრდილო საზღვრის ხაზი მოადგება, *ოი, მლეთას*
ოთხივ მხრიდან – არაბეთი, ირანი და *ოსმალეთი,*
ყველამ წაკრა თითო ქიშტი, ეს მოცელა, *ის მოთელა, –*
ღვინოს ასხამს და გულმკვდარი ეუბნება *ილო მათეს, –*
სულ დაკუწეს საქართველო აღარ დარჩა *ასო მთელი...*
სხვა რა გზა გაქვს, გამწყრალ გულზე არ შეწყვიტო
სმა, ილოთე! –
თავად დიდი ჭიქით ხელში ეთანხმება *მათე ილოს!*
თუ მორწმუნე ელიაზარს ან ურწმუნო *თომას ელი,*
ვერ გამოთქვამ მაგ შენს წუხილს ლოგოსით და *მელოსითა,*
დასაბამით არ გამოსდის რუბიკონთან *ომი ლეთას...*
ლეთა არა, ხელადებში ღვინო უდგათ *მათ ლეოსი.*

ილო და მათე ავტორის შორეული ნაცნობები არიან.
ლეო იმათი მეგობარია.

ქვეყნებნაკლული ევროკავშირი ანუ ნატოს კარი ღიაა!

წიგნებისთვის: „აპოლიტკორექტული ადრესები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „გველები და არაგველები“ თუმც აქაც ისმის აურზაური ფესტივალთა და *ბიენალეთა,* ვინ დაიჯერებს, რომ ევროპაა ე საქართველო, *ე ალბანეთი?!*

კოზაკის ბედი აქლემთა ჩხუბებში

წიგნებისთვის: „აპოლიტკორექტული ადრესები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „სუმბურები და კალამბურები“, „გველები და არაგველები“
ებრძვი გერმანეთს თუ ებრძვი რუსეთს, იბრძვი
ნელსონთან *თუ ნაპოლეონთან,*
ბრძოლა მოგიწევს უდანაშაულო მსხვერპლთანაც, იცოდე,
ანუ პოლონეთთან!

ყოფილი ქართველი იუნკერი პოლონეთში

წიგნებისთვის: „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „სუმბურები და კალამბურები“, „კენტავრები და წყვილტავრები“
უნდა შეისწავლო *ენა პოლონური,*
თუ გაქვს სიყვარული *ნაპოლონური.*

ყველაფერი იყიდება!

წიგნებისთვის: „საკენკი“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „გველები და არაგველები“
სპეკულაცია:
აუ! სპეკალიც?

სარეკლამო ბანერი: სამიკიტნო „მაჭახელა“

წიგნებისთვის: „საკენკი“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „სუმბურები და კალამბურები“, „ქალები და ქალაქები“
სამი კინტო:
სამიკიტნო
„მაჭახელა“ –
ჭამე ახლა!

შვლის ნუკრის ნაამბობი

წიგნებისთვის: „რომეიქები და რიპეირები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „წიგნები“
რაზიკაშვილთა ვაჟაა მხოლოდ! თედო ვინაა, *ბაჩანა ვინო*...
ჩემს ანგელოზებს ვაჟას ცრემლებში ფეხები უნდა *ჩავაბანინო*.

გაზპრომს მორჩილებს ყოველი...

წიგნებისთვის: „აპოლიტკორექტული ადრესები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „გველები და არაგველები“
გაზი გინდათ? *ე კრემლი!* –
ასე ამბობს *მერკელი!*

მჯობნის მჯობნი

წიგნებისთვის: „წმაწურები და უწმაწურები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „წიგნები“
ვეფხის ერთისა მტყუნელმან ჰრქუა *ვეფხიტყაოსანი,*
მან ასჯერ მეტი დასწეროს, ვინცა *ტყნა ვეფხი ასიო.*

სულ სხვა მასშტაბი ანუ ფარდობითობის პრაქტიკა-2

წიგნებისთვის: „სუმბურები და კალამბურები“,
„კენტავრები და წყვილტავრები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
ჩვენ რომ გგონია **ა**სტეროიდი,
ზევსისთვის თურმე სტეროიდი**ა**!

შენს ქალაქს მიხედე, ბრატ, შენსას!

წიგნებისთვის: „ქალები და ქალაქები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „ბაბილონის გონდოლა“
შენატროდა შორით რიოს, *როს ბენდერი ოსტაპი,*
მუშტრის თვალის უყურებდა *რიბენტროპი ოდესას*...

ნაცარ(ქაქი)ქექია

წიგნებისთვის: „გველები და არაგველები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „აპოლიტკორექტული ადრესები“,
„წმაწურები და უწმაწურები“
უნდა ქექო ქაქი და ქექვა უნდა *ნაცარსაც,*
წვერცანცარა მერჩივნა ამ უწვერულ *ცანცარას*.

საჭრიჭინო

წიგნებისთვის: „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„წმაწურები და უწმაწურები“, „რიმეიქები და
რიპეირები“, „წიგნები“
მოჭრიჭინდა ჭორფლა გოგო... ჭრიჭი-ჭრიჭი, *ჭრიჭინა*...
ბიჭი დახვდა ბიჭანჭური... ბიჭანჭური, ***ჭანჭური...***
სულ გაკრიფეს, რაც ერთურთში ჰქონდათ რამე
ჭინჭარი
და ჭრელ კრაოტს აუტეხეს არნახული ***ჭრაჭუნი...***

კაიფი-22

წიგნებისთვის: „სელფები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“, „ქალები და ქალაქები“
მეყო, რაც რომ მომკერძეს ეს ამდენი *სამსალა,*
სულ წყალში ჩამიყარეს ჩემი ***ნამსახურია...***
ჯაიპურში გავღეჭავ, რა თქმა უნდა, *მასალას,*
ამსტერდამში გავსინჯავ, ვიცი, ***მარიხუანას!***

ელექტროქურა და ტელევიზორი არმენას ბუდკაში

წიგნებისთვის: „ბაბილონის გონდოლა“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „აპოლიტკორექტული ადრესები“
გამოთიშე, *არმენ პლიტა,*
ხედავ, ჩართეს *პარლამენტი!*

კიევი-1970

წიგნებისთვის: „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„სუმბურები და კალამბურები“, „საკენკი“,
„ქალები და ქალაქები“
რომ ამოგიცვამს მოკლე *შარვალი,*
არ შეგიშვებენ მაგით *ლავრაში!*

ე-მუზები და ე-კოცნები

წიგნებისთვის: „კომპ-ლექსები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“, „ბაბილონის გოდოლი“
არ შეგშურდება *ბუმბერაზების,*
როცა მოგივლენს *ე-ბარბი მუზებს,*
და თავად ხდები ***ე-ბუმბერაზი,***
როცა გაკოცებს ***ე-ბემბი, ზურა!***

მარშალი მიშელ ნეი თავად ხელმძღვანელობდა თავის დახვრეტას

წიგნებისთვის: „აპოლიტკორექტული ადრესები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „სუმბურები და კალამბურები“
რაის მიშელი! დიდი მარშალო, შენ უნდა გერქვას
აპოლონ, ნეი,
რო ემაგ შენი არტისტულობით შურით გახეთქო
ნაპოლეონი!

ყოველი საიდუმლოი

წიგნებისთვის: „გველები და არაგველები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„სუმბურები და კალამბურები“, „„სელფები“
იოანე ზოსიმე:
ოი, ენა ზემოსი!..

წითელი მოედანი

წიგნებისთვის: „აპოლიტკორექტული ადრესები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „სელფები“, „ქალები და ქალაქები“

აქეთ – ნეტარი *ვასილი,*
იქით – ნატური ***ლენინი...***
ვისი ედება *ვის ალი...*
ვსეირნობთ მე და ***ნინელი.***

შენ არ გჭირდება სხვა სამკაული

წიგნებისთვის: „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „სელფები“, „ქალები და ქალაქები“, „საკენკი“
სამკაულია
მუსიკა, ალა!

To whom it may concern-9

წიგნებისთვის: „აპოლიტკორექტული ადრესები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„გველები და არაგველები“, „ბაბილონის გონდოლა“
ჩმორი მარჩიელობს, –
მორჩი მორჩილებას?

ნუგეშინი

წიგნებისთვის: „მოციმციმე არითმია“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„სელფები“, „ქალები და ქალაქები“
ჰკივი ტკივილისად, გტკივა *კივილისად*...
უნდა მაგრად იყო, რა დროს *სიკვდილია!*

რეცენზია ქართული კალიგრაფიის ალბომზე

წიგნებისთვის: „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„წიგნები“, „სუმბურები და კალამბურები“
რა დაწერილი! *რა დახატული!..*
სიტყვა რაშივით *დარახტულია!*

ისევ ამირან და მარინა და კიდევ სხვა ორი

წიგნებისთვის: „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „კენტავრები და წყვილტავრები“, „სუმბურები და კალამბურები“

ვიცი, – გქვია ადამი, მე გეძახი ***ამირანს!***
ვიცი, გქვია ადამი, მე დაგარქვი *რამაზი,*
ვიცი, – ევა დაგარქვეს, მე დაგარქმევ ***მარინას,***
ვიცი ევა ბრძანდები, ჩემთვისა ხარ *ზამირა!*

სარაყიფო

წიგნებისთვის: „ქალები და ქალაქები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „სელფები“,
„წმაწურები და უწმაწურები“
ერთსა გთხოვ, მაკა, *მაკრინე,* –
იმ შენს რჩეულთან *მარკინე!*

ჭიაკოკონობა

წიგნებისთვის: „ლექსბორბალები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„სელფები“, „სუმბურები და კალამბურები“
ვერ ვიცანით –
ცეცხლის ალზე გამოუჩნდა მხოლოდ ***კანჭი...***
რა ვ-ვიცინეთ! –
დილას მივხვდით: ყოფილიყო თურმე ***ჭინკა!***

მინაწერი „სიტყვის კონაზე“

წიგნებისთვის: „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „წიგნები“, „სელფები“
და მივყვებით დიდო *სულხან,*
გავლებულსა შენგნით *ხნულსა!*

ელექტრონული ფოსტა

წიგნებისთვის: „კომპ-ლექსები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“
თუნდაც აღმოჩნდეს *მემილიარდე,*
თვით უნდა ღირდეს *მეილი რადმე!*

ვის ეყოფა ერთი ოყნა ლუდი?!

წიგნებისთვის: „სუმბურები და კალამბურები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „წიგნები“
ვისია კათხა?!
იფ-იფ! ოყნა, რა ოყნა!
საკითხავია –
ყოფნაი-არყოფნაი...

სეკეშფეჰერვარი - ალბა რეგია

წიგნებისთვის: „სელფები“, „პაატაფიზიკური რეფ-
ლექსები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „ქალები და ქალაქები“
აქ ტრიალებს დასტურ *მადი**არ**ული*
იშტვან მეფის სული მა***რა***დიული.

სტრატეგიული პარტნიორობის გამო

წიგნებისთვის: „აპოლიტკორექტული ადრესები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „გველები და არაგველები“
ზოგნი ამბობენ, *პარტნიორია,*
სინამდვილეში *არი პატრონი!*

სარკე ეკრას

წიგნებისთვის: „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „ქალები და ქალაქები“
კედელს სარკე უნდა *ეკრას,*
სარკე სულის *სარკ**მე**ლია,*
სხეულს ეკრას უნდა *სარკე...*
გაგაშიშვლა *სარკ**ემ**, ლია!*

1997: 26-მილიონიანი კონტრაქტი

წიგნებისთვის: „ფეხბურთიერთობანი“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „საკენკი“, „სპორტლექსები“
რაკი გახდა რივალდო მისი *საკუთრება,*
ითამაშებს დღეიდან უფრო *უკეთ ბარსა!*

ლამის სახლში შემოვიდეს ნუში...

წიგნებისთვის: „რიმეიქები და რიპეირები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „საკენკი“
როგორ გამილამაზე პეიზაჟი *უშნო,*
ზამთარს გამოქცეულო, მოქათქათე *ნუშო!*

To whom it may concern-12

წიგნებისთვის: „აპოლიტკორექტული ადრესები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „გველები და არაგველები“,
„კენტევრები და წყვილტავრები“
რომ მეგონა, პეტრე იყო, აღმოჩნდა, რომ *პატრია,*
ერთმანეთში ნუ გერევა პატრია და *პარტია!*

დელფოს სამისნო

წიგნებისთვის: „რიმეიქები და რიპეირები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „წიგნები“
როცა ეს ტრაგიკული *კალეიდოსკოპი,*
ჩაგიკაკლავს ყველაფერს დელფოს ***სამისნოში,***
კიკლი-კიკლი კიბესა, *კაკლე, ოიდიპოს,*
იმისი შნო აქციე შემწედ ***ამის შნოსი.***

América Latina

წიგნებისთვის: „ქალები და ქალაქები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„კენტავრები და წყვილტავრები“, „ბაბილონის გონდოლა“
აქეთ დიდი ქალაქების პლაზები და *პალასები,*
იქით – ტეგუსიგალპები, ლიმები და *ლაპასები*.

ნამდვილი ფოტოგრაფიის ნოსტალგია

წიგნებისთვის: „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „სელფები“
წითელ შუქზე მჟღავნდება სინამდვილის *შიფრი,*
რამდენი რამ ეტევა მაინც ამ ერთ *ფირში!*

დამატყვევებელი პეიზაჟი

წიგნებისთვის: „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „საკენკი“
მთაო, ზღვაო, *ტყევ,*
მე ვარ თქვენი *ტყვე!*

ცოდვილის ვედრება

წიგნებისთვის: „სელფები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“

ო, განმწმინდე, სტიქიონო, – მბანე, მხეხე, *მრეცხე!*
თუ ვერაფერს ვერ მიშველი, დამცხე ტალღა *მეცხრე!*

2004: ბობი ფიშერის ოფიციალური ქორწინების გამო

წიგნებისთვის: „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „სპორტლექსები“
სუმცირე და სუბევრი, სუნაკლები, *სუმეტი,*
მე რომ ვყოფილიყავი რობერტ ჯეიმს ***ფიშერი,***
თუ არ ეწყინებოდათ მიიკოს და *მეტიუს,*
ცოლად მეყოლებოდა კლაუდია ***შიფერი!***

მიიკო ვატაი – რობერტ ფიშერის მეუღლე.
მეტიუ ვონი – კლაუდია შიფერის მეუღლე.

კონვენციური ლექსის ახალი სიცოცხლე

წიგნებისთვის: „სელფები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“, „წიგნები“

ყველას ერთი რომ ჰგონიხარ, რეალურად სამი ხარ,
მაღლით უცხო ზარი რეკავს, უცხო წვიმის ხმა არის,
საიდუმლო სერობა და საიდუმლო სამხარი...
იმ კამეჩის სქელი ტყავი, გრძელი კუდი ამ ხარის...
ლექსი ლექსზე, წიგნი წიგნზე – ძველ რითმათა სამარხი,
ლუკმა გახდა ყველაფერი მატლისა და მახრისა,
ყურს ახალი რითმა ატკბობს, ორლესულად სახმარი,
სმენად მხეცნი მოვიდიან ქვეყნის ოთხივ მხარისა.
ზოგჯერ მტკიცე ხამს დასტური, ზოგჯერ მტკიცე ხამს არა!
ღმერთო, ფრთები არ დამაჭრა, ღმერთო რქები არ მასხა!
რა მოელის შიშველ მახას? გინდა ჩაცმულ მახას რა?
მაღლით წვიმა მოდიოდა, დაასველა მასხარა...

უცნობი ჯარისკაცის ომისწინა მონოლოგი

წიგნებისთვის: „სელფები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“, „აპილოტკორექტული ადრესები“

მალე უცნობი გახდება ჩემი სახელი და *გვარი,*
თეთრი ვარდები საფლავზე თვითონვე უნდა *დავირგა,*
დეკორაცია მეგონე, თოფო, რა ცუდ დროს *გავარდი,*
ჯერ მზად არ მქონდა საგზალი, ჯერ მზად არ იყო
გვარდია!

მატროსის წერილი კაპიტნის თანაშემწეს

თენგიზ ფიფიას

წიგნებისთვის: „სელფები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“
რა ვქნა, ძმაო, ვერ მომხიბლა აემ რანგმა, *აიმ ჩინმა,*
შენ მოგმართავ, ვინც მათ გვერდით მეც ადგილი *მამიჩინა,*
ადმირალი, კაპიტანი, ბოცმანი თუ ***მიჩმანია,***
ყველა ჯურის მეზღვაური ჩემს კოლეგად ***მიმაჩნია!***

არეული დავთრები

წიგნებისთვის: „აპოლიტკორექტული ადრესები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „გველები და არაგველები“
ეს რა გიქნა, *მოსკოვო,*
ერთი ციცქნა *კოსოვომ!*

ცთუნებულნი და მიტოვებულნი

წიგნებისთვის: „წმაწურები და უწმაწურები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „კენტევრები და წყვილტავრები“
მოტყუ**ნ**ებული
მოტყუებულ**ნ**ი.

სკოლის დამთავრების მე-5 წლისთავი

წიგნებისთვის: „სელფები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“
დაუყვება მოგონებებს ნოსტალგიის *კანტები,*
დღეს საღამოს სევდიანი გველოდება *ბანკეტი.*

გამოეჭვება

წიგნებისთვის: „სელფები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“, „საკენკი“
ბოლოს ნელ-ნელა გამიჩნდა *ნდობა,*
თითქოს ყინულმა დაიწყო *დნობა*.

გეოგრაფიის გაკვეთილი თურქულ ქალაქ ბითლისში

წიგნებისთვის: „ქალები და ქალაქები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „გველები და არაგველები“
თუ არა გაქვს იღბალი – კი იქნები *ბითლისი,*
თუ არა და, – ოლოლო! – დაგერქმევა *თბილისი!*

ავტორეცენზია

წიგნებისთვის: „სელფები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „საკენკი“
გახლავარ ჟურნალი
არ ვაგლახ ჟანრული.

ფოკას მონასტრები ანუ კაიფი-25

წიგნებისთვის: „სელფები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“
ტბაში მკაცრი ანარეკლი, უჩვეულოდ *საკაიფო,*
დედათა და მამათა და ნინოსი და *ფოკასია,*
ცდილობ, სულის ხრიოკები აპალმო და ***აფიკუსო,***
თუ რაიმე გამოგივა, ჩათვალე, რომ ***ფოკუსია!***

მოულოდნელი შეხვედრა ბელა ახმადულინასთან

წიგნებისთვის: „სელფები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“, „ქალები და ქალაქები“
თითქოს დალოცა *ბერმა ელიტა,*
ხიდზე გადადის *მატარებელი,*
გამყოლს აუწვა *ბერეტი ალმა,*
თავი თავისით *მეტრიალება...*
ბინდი ჩრდილების *მტერია, ბელა!*

A quien le interese

წიგნებისთვის: „ბაბილონის გონდოლა“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „მოციმციმე არითმია“
სახლში ნუ მიგაქვს შექსპირული *კორიანტელი,* –
კენტი არ ხარ, ვერ გაიგე? – *კენტი როლია!*
ცხვირსაც ნუ ასწევ, თავის ქება *კიტრია, ლეონ!*
მიდი, უთხარი, მოგვიტანონ *ორი ტეკილა!*

მეშვიდე გაკვეთილი

წიგნებისთვის: „სელფები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“, „ბაბილონის გონდოლა“
ავსტრია და გერმანია, ჩეხია და *ვენგრია,*
მოცარტი და ბეთჰოვენი, როსინი და *ვაგნერი,*
ვინ დიდი და ვინ პატარა, ვინ შინა და *ვინ გარე,*
რაც დო იყო ბავშვობაში, მგონი, გახდა *გვიან რე!*

To whom it may concern-23

წიგნებისთვის: „აპოლიტკორექტული ადრესები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „სუმბურები და კალამბურები“
მიგანქარდი, *მოღალატევ!*
გაღლეტილო *ამღლეტავო!*

ყაყაჩო წყნეთის გზაზე

წიგნებისთვის: „რიმეიქები და რიპეირები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „გველები და არაგველები“
ან გვალვას ემსხვერპლება, ან თოვლსა და *ან წვიმას,*
გაჭირდება გარჩევა წითლისა და *მწვანისა,*
ჯამ-ჯიხვებს რომ დაცლიან, წუთს ვინ მისცემს, *წამს ვინა?!*
დამსხვრევია ქილები წყნეთელ გოგოს *მაწვნისა...*

წითელი კაბა

წიგნებისთვის: „რიმეიქები და რიპეირები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„ქალები და ქალაქები“, „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“

და სკამზე, როგორც ნანადირევი,
ჰკიდია შენი ლამაზი კაბა.
ოთარ ჭილაძე

ვერცხლისწყალი, შეხედე, 40 გრადუსს *აშორდა,*
ხვატმა მწვანე გაახმო, მდინარენი *დააშრო...*
არ თქვა ახლა სიცხეში ჩემი ვნებაც *დაშრაო,*
სკამზე კაბა რო მოჩანს, გამარჯვების *დროშაა!*

კარიბული თავგადასავალი და ტანგადასავალი

წიგნებისთვის: „სელფები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“, „წმაწურები და უწმაწურები“

ყორანი არ გათეთრდების, ყველამ იცის *ზედმიწევნით,*
ზეთით ვწმინდე, ქვებით ვხეხე, ქვეით ვხეხე, *ზეით ვწმინდე,*
დაღალული ბოლო ცდაზე ერთადერთი *მიზნით წევედ:*
რომ ის შავი შოკოლადი გამეხეხა *ზედმიწვენით.*

დაბნეულობა დავირუსებული კომპიუტერის გამო

წიგნებისთვის: „სელფები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“, „კომპლექსები“
ვერ გამიგია, საიდან გაჩნდა ეს უჩვეულო *აპლიკაცია,*
ვინ შემომიგდო რაღაცა უცხო exe-ფაილი?! *ა, კლიპიცაა?!*
გათიშულია ალბათ კასპერსკის აღვირიცა და *ალიკაპიცა...*
რაღაც აკლია ჩემს ანტივირუსს, ხოლო ამ კატრენს
აკლია პიცა!!!

ლომისობა

წიგნებისთვის: „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“,
„(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“, „გველები და არაგველები“
შეფენილია ფერდობზე ***ცხორი,***
რომ რეკენ – ლომისის *ზარებ**ი**ა,*
ღვინო და პური, სისხლი და *ხორ**ცი**,*
საცაა გვეღირსება *ზ**ი**არება...*

მ-ეტნა-კლებობა

წიგნებისთვის: „სელფები“, „(სი)ტყვია (სი)ტყვიაში“,
„გველები და არაგველები“, „კენტევრები და
წყვილტავრები“,
„კომპლექსები“
ვიღას სჭირდება *ნეტა*
შენი საწყალი ***ლექსი,***
როცა ბობოქრობს *ეტნა* –
სოციალური ***ქსელი!***

13 კითხვა და 13 პასუხი 100 ანაგრამული ლექსის გამო (ინტერვიუ დავით ჩიხლაძესთან)

პაატა ნაცვლიშვილი უპასუხებს დავით ჩიხლაძის შეკითხვებს

— ვინ არის ანამარია და ხომ არ გადაჰკრა მან ასი გრამი, როდესაც ამ ლექსების დაწერა გადაწყვიტა? ანუ არის თუ არა ამ ლექსების შინაარსში – და მკითხველის გონებაც ხომ პირველ რიგში წაკითხულის შინაარსს „ეძებს“ – „ზაუმის“ ფაქტორი მოცემული, რაც, თავის მხრივ, ანაგრამული რითმების ასეთი მკაცრი სტრუქტურით არის გამოწვეული თუ განპირობებული?

— დიდი მადლობა, საინტერესო და ორიგინალური კითხვისთვის, დათო. შენც კარგად იცი, რომ ზოგჯერ კითხვა უფრო მეტს ამბობს მკითხველისთვის, ვიდრე პასუხი. შენი კითხვიდან ისე გამოდის, თითქოს ანამარია იმ ასი ანაგრამული ლექსის ავტორის ფსევდონიმი თუ ალტერეგოა, რომელთაც, ყველას ერთად, „ანამარიას გული“ დავარქვი, რაც თავის მხრივ ანაგრამა გახლავს ქვესათაურისა „ასი ანაგრამული“. არ ვიცი, რატომ გადაწყვიტე, რომ ანამარიას უკან ავტორი იმალება და რომ მას ამ ლექსების დასაწერად ასი გრამი სჭირდება ან ჰყოფნის! მით უმეტეს, რომ ანამარიას ვინაობა იმ ლექსში წერია, სადაც იგია ნახსენები და რომელსაც გრძელი, ლამის საგაზეთო სათაური აქვს: „ანამარიას გული ანუ ფიქრები გრაბენზე სეირნობისას 2005 წლის 12 მაისს“. მე ვფიქრობ, რომ თუნდაც მხოლოდ შინაარსის მაძიებელი მკითხველიც არ დამირჩება უკმაყოფილო ამ ლექსის წაკითხვისას. ზაუმური მასში არაფერი არ არის, პირიქით – ეს ავტობიოგრაფიული ლექსი, ისევე როგორც ბევრი სხვა

ამ ასეულიდან, ერთგვარად მემუარულია და მე იგი მეტისმეტად კონკრეტული და დოკუმენტურიც კი მგონია. შინაარსიც გამჭვირვალეა: დავდივარ ვენაში, მის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე – გრაბენზე, და ჩემს მეგობარ ანამარიაზე, სიკეთით სავსე მის გულზე ვფიქრობ. ლექსის მკითხველისთვის ნაკლებად საინტერესო მგონია, მაგრამ რაკი მეკითხები, გეტყვი, რომ ანამარია განტერ-ჰესი შვეიცარიელი ვიოლონჩელისტია, წლების განმავლობაში ვენის კონსერვატორიაში ასწავლიდა, სოლო კონცერტებით გამოსულა ევროპის სხვადასხვა ქალაქში, მათ შორის – თბილისშიც. მისი მეუღლე გახლდათ ცნობილი გერმანელი მუსიკოლოგი, აწგანსვენებული კლაუს განტერი. ჰოდა, ეს ანამარია ჩემი მასპინძელი იყო, როცა არცთუ ორიოდე დღით ვენაში მომიხდა ცხოვრება. მანვე დააინტერესა ჩემი პრობლემით ავსტრიის წითელი ჯვრის საზოგადოების ხელმძღვანელი ჰაინც-პეტერ სლატინი. სლატინის შესახებ ერთ ჩემს ინგლისურ მრჩობლედში მიწერია, რომელიც ამგვარივე ანაგრამული რითმითაა გაწყობილი და რომელიც „ლიტერატურულ გაზეთში“ დაიბეჭდა ამ ორიოდე თვის წინათ. ყოვლად რეალური და დოკუმენტურია ჩემს კიდევ ერთ ლექსში ჩამოთვლილი სხვა სახელებიც – სოსო, ნონა, ნია... მხოლოდ ერთია გამოგონილი, უფრო სწორად, სხვა ლექსიდან არის მოსული. მხედველობაში მაქვს ლექსი „მიე, მია!“, რომელიც იმავე გაზეთში დაიბეჭდა 2016-ში. სად არის აქ ზაუმი, მართალი გითხრა, არ ვიცი! ასევე შეიძლება გაიშიფროს ამ ასი ლექსის უმეტესობა. ხოლო „ანამარიას გული“ ასი ლექსის სათაურად უფრო ფართო მნიშვნელობით – ზოგადად სიკეთის, სათნოების, მეგობრობის, თანადგომის გამოხატულებად წარმოვიდგინე.



— მიგაჩნია, რომ შენს ამ ლექსებში შინაარსი სრულიად ფატალურია, ანუ თითქმის დამოუკიდებელი ხდება პოეტისგან? ან, უკიდურეს შემთხვევაში, ხომ არ არის ეს ერთგვარი ალგორითმული პოეზია, რომელიც მანქანამაც შეიძლება განახორციელოს? და ამ ერთგვარი მანქანურობის მიღმა რას გაუსვამდი ხაზს მათში, როგორც ავტორისეულ მხატვრულ სახეს?

— არა, არ მიმაჩნია. შინაარსი, ფატალური თუ არაფატალური, მთლიანად პოეტზე, ანუ ავტორზეა დამოკიდებული. რაკი მანქანას მუსიკის თხზვაც შეუძლია და ჭადრაკის თამაშიც, ალბათ არც ანაგრამებით გაწყობილი ლექსების დაწერა გაუჭირდება, ისევე როგორც ჩვეულებრივი კონვენციური ლექსისა და მით უმეტეს, ვერლიბრებისა თუ ვერბლანებისა. მაგრამ ამგვარი მანქანის პროგრამა მაინც ადამიანმა უნდა დაწეროს – პოეზიას ნაზიარებმა მათემატიკოსმა ან მათემატიკას ნაზიარებმა პოეტმა. სხვაგვარად მანქანა, რაგინდ დიფბლუ თუ როლსროისი იყოს, პოეზიას ვერ შექმნის. ვერც ანაგრამული რითმებით გააწყობს ლექსს. შინაარსს ხომ ვერა და ვერ მისცემს! დიდი ინტერესით გავეცნობოდი, მაგრამ მანქანის დაწერილი ანაგრამული ლექსები მე ჯერ არ მინახავს. მანქანა კი არა, ცალი ხელის თითებზე შეიძლება ჩამოითვალოს ის პოეტები, ვისაც აქა-იქ ოდესმე ანაგრამული ლექსები უწერია ნებისმიერ ენაზე. ხოლო ქართული ანაგრამული ლექსები ჩემამდე საერთოდ არ

მახსენდება. არადა, ქართულ ენას, ჩემი აზრით, ამ მხრივ ამოუწურავი შესაძლებლობები აქვს. იქნებ ესეც იყოს ქართული ლექსის განახლების ერთი ალტერნატივა. მე მესმის, რას გულისხმობ მანქანურობაში, მაგრამ არ მესმის, რას გულისხმობ მის მიღმა მხატვრული სახის ხაზგასმაში. ხომ შეიძლება ლექსის ფორმა, რაგინდ მანქანური გვეგონოს, თავად იყოს ერთიანი მხატვრული სახე?

— მიგაჩნია თუ არა შესაძლებლად ასეთი ალგორითმული სტრუქტურული თამაშების შედეგად ისეთი მეტაფორების გაჩენა, როგორიცაა, ვთქვათ, „ცისარტყელის მათრახის გადაკვრა?“ რამდენად მისაღებია შენთვის ასეთი ესთეტიკური შედეგები?

— კი, მიმაჩნია. აკი გაჩნდა ეს „ცისარტყელის მათრახი“?! ესთეტიკური შედეგებიც, რა თქმა უნდა, მისაღებია! ან რატომ უნდა იყოს ესთეტიკური შედეგი მიუღებელი? ისე, ამ კითხვით ანუ ჩემი მეტაფორის გამოყოფით შენს წინა კითხვასაც თვითონვე უპასუხე: მხატვრული სახის ხაზგასმას ვგულისხმობ. და იქნებ ის, რასაც შენ „ალგორითმული სტრუქტურული თამაში“ უწოდე, თავისთავად უკვე არის ის, რასაც „ესთეტიკურ შედეგს“ არქმევ?

— ხომ არ უახლოვდება ასეთი პოეზია გარკვეულ ინტელექტუალური ტიპის გასართობ თამაშებს?

— არათუ უახლოვდება, ის არის კიდეც გარკვეული ტიპის ინტელექტუალური თამაში. ოღონდ არა გასართობი. ყველა თამაში გასართობი როდია. თუნდაც სიტყვებით თამაში. თუნდაც ლექსწყობის გაქვავებული ფორმები, ტანკა-ჰაიკუთი დაწყებული და სონეტების გვირგვინით დამთავრებული. თუნდაც – მთელი წყობილსიტყვაობა. შენ, რასაკვირველია, კარგად იცი ნიდერლანდელი

ფილოსოფოსის და კულტუროლოგის იოჰან ჰოიზინგას ცნობილი ტრაქტატი Homo Ludens – „მოთამაშე ადამიანი“, რომელშიც ავტორი განსაზღვრავს თამაშის ფენომენის უნივერსალურ როლს მსოფლიო კულტურასა და ცივილიზაციაში. ახლა ამ წიგნზე საუბარი აქ დიდ დროსა და ადგილს წაიღებს. სხვა დროს სიამოვნებით ვისაუბრებდი შენთან ამ ტრაქტატზე, ისევე როგორც პოეზიის მიმართებაზე თამაშთან და თამაშისა – პოეზიასთან. იქნებ იმ საუბარ-საუბარში ას-ასი გრამიც გადაგვეკრა და ორას-ორასიც. აქ კი, მოდი, მკითხველს ერთად გავახსენოთ ჰოიზინგას ერთ-ერთი მთავარი დასკვნა: თამაში განსაზღვრავს წესრიგს და თავად არის წესრიგი. დიახ, ჩემს ლექსებში წესრიგია დაცული, მათ მიერვე, ამ ლექსების მიერვე დადგენილი წესრიგი. ყველა მათგანი წესიერი ლექსია! აქვე, მოდი, მკითხველს ისიც ვუთხრათ, რომ თამაშისმიერი წესრიგი არ ეწინააღმდეგება თავისუფლებას, სწორედაც – პირიქით: იმავე ჰოიზინგას აზრით, თამაში თავად არის თავისუფლების გამოვლინება.

— თუ კურსივებს მოვხსნით, შეიძლება თუ არა დარჩეს რაიმე მკითხველისთვის, რასაც ექნებოდა წმინდა პოეტური ხარისხი? როგორ ფიქრობ, შენი ასეთი ლექსების მაგალითზე, როდის რჩება ლექსი მაინც ლექსად ამ კურსივების გარეშე?

— მკითხველს გააჩნია. კურსივების მოხსნა ლექსებს არც არაფერს შესძენს და არც არაფერს შემატებს. ისევე, როგორც ნაკლები მნიშვნელობა აქვს, როგორი შრიფტით დაბეჭდავს რედაქტორი მათ. კურსივი ძირითად იმ მკითხველისთვის არის, რომელსაც ურითმო ლექსის ასეთი მოძალების პირობებში, რითმის გრძობა დაუჩლუნგდა ან ჰგონია, რომ რითმამ თავისი დრო მოჭამა და უიმედოდ გადაშენდა. ურითმო ლექსის საწინააღმდეგო არაფერი

მაქვს, თავადაც მაქვს ასეთი ლექსები, თანაც არა ერთი და ორი, მაგრამ, ჩემი აზრით, წყობილსიტყვაობა, პირველ ყოვლისა, სწორედ წყობილ სიტყვას გულისხმობს!

— აღიარებ თუ არა, რომ შინაარსის თვალსაზრისით შენი ლექსები სიურეალისტურ ელფერსაც იძენს ზოგჯერ, მაგ. აქ:

*არ თქვა ცოდვის, **არცა მოდის,***
ცხადს არჩიე სიზმარი:
*მზე არც ჩადის, **არც ამოდის,***
ზღვის ნაპირას მარი ზის...

ანდა:

თითქოს დალოცა ბერმა ელიტა,
ხიდზე გადადის მატარებელი,
გამყოლს აუწვა ბერეტი ალმა,
თავი თავისით მეტრიალება...
ბინდი ჩრდილების მტერია, ბელა!

— ზოგადად კი, ვაღიარებ! მაქვს ასეთებიც, მაგრამ სწორედ ამ ორ ლექსში, შენ რომ მოიხმე, არაფერი სიურეალისტური არ არის. ორივე მათგანი უწინ ფოტოგრაფიულია და თუ მაინცდამაინც სიტყვის ნაწილად „რეალისტური“ უნდა ვიხმაროთ, ორივე მათგანი ალბათ უფრო ჰიპერრეალისტურია, ვიდრე სიურრეალისტური. როცა სიზმრად (ან ცხადად) ხედავ, რომ ზღვის ნაპირას შენი შეყვარებული ზის, რომელსაც ზოგჯერ შეიძლება მარი ერქვას, შენთვის სულერთია მზე ამოდის თუ ჩადის – თავად მარი გახლავთ მზე! ჰოდა ასეთი სიზმარ-ცხადი, არც ცოდვაა და არც მოდა! სწორედ ეს წერია ლექსში. სად არის აქ სიურრეალიზმი?! მეორე ლექსი პირველზე უფრო დოკუმენტურია. ამის დასტურია მისი სათაური, რომელიც კითხვაში არ გადმოსულა და რომელიც მნიშვნელოვანი

მგონია ლექსის გასაგებად. წარმოიდგინე, მატარებელი გადადის ხიდზე, სამწერლო ელიტით სავსე ვაგონში ბელა ახმადულინა დგას კორიდორში, ფანჯარასთან, და უყურებს, როგორ ხოცავს ჩამოწოლილი ბინდი ჩრდილებს. იქვე ალისფერბეტერიანი გამყოლი, ანუ გამცილებელი ატუზულა. მეც იქვე ვარ და თავს ჩემდაუნებურად ვატრიალებ პოპულარული რუსი პოეტესასკენ, რომელსაც ლაივში პირველად ვხედავ...

— ეს კი მართლაც ლამაზი და თან სხარტი შინაარსის მქონე ლექსია:

მიაგდე სამზარეულო,
მესროლე მზერა, ასულო!

მაგრამ, მიგაჩნია რომ აქ სტრიქონები ერთმანეთს ერითმება და მიჩვეულია (ან მიეჩვევა როდისმე) მსმენელის ყური ასეთ გარითმვას?

ან აი, აქ:

აის კაბა ვიტრინაში ნაღდად არმანისაა,
თუმც სხვა ჰქონდა საზრუნავი იმ დღეს ანამარიას.

აი, აქ კი რითმა ჩემი აზრით საკმაოდ კარგად აღიქმება:

ბოლო დროს მაგრად აკრიფა –
უძახე ახლა აფრიკა!

— დიდი მადლობა ჩემი ლექსების სისხარტისა და სილამაზის აღნიშვნისათვის. კი, მიმაჩნია, რომ „აქ სტრიქონები ერთმანეთს ერითმება“. რაც შეეხება მსმენელის ყურს, იგი ამგვარ რითმებს ალბათ უფრო მალე და ადვილად მიეჩვევა, ვიდრე ვერლიბრებისა და ვერბლანების ურითმობას მიეჩვია თუ შეეგუა. ხოლო თუ ვერ მიეჩვევა, დარჩება მისი ყური მიუჩვეველი, ხოლო

ამგვარი ლექსები უჩვეულოდ და ეგ იქნება! საერთოდ, ყველა ლექსი ყურისთვის როდია განკუთვნილი. კონკრეტულად ეს ლექსები უფრო თვალისთვის და გონებისთვისაა დაწერილი, ვიდრე ყურისთვის. ყურისთვის დაწერილი ლექსები შენც ბლომად იცი და მკითხველმაც! მეც არაერთი მაქვს ასეთი.

— ნუთუ ასეთი ლირიკული ლექსები კურსივების გარეშეც სრულიად მისაღები არ იქნებოდა? თუ პოეზიაში არა მხოლოდ რითმების აღმოჩენა, არამედ მათი ხაზგასმაცაა ზეამოცანა?

— ზეამოცანის რა გითხრა, მაგრამ საუკუნეების წინათ რითმები კურსივით კი არა, ფერითაც გამოიყოფოდა – შავ-თეთრ ხელნაწერებში რითმები სინგურით იყო გამოყოფილი წითლად. შენ, რა თქმა უნდა, გინახავს არაერთი ასეთი ხელნაწერი! ხოლო კურსივი, ზემოთ, მგონი, უკვე გითხარი, ზოგადად კითხვას და ლექსებს გაუცხოებული მკითხველისთვის უფროა განკუთვნილი, ვიდრე შენებრ დაკვირვებული პროფესიონალისთვის.

— როდის დაიწყე ასეთი ლექსების დაწერა-შეგროვება? ეს რომელიმე ერთი ციკლია, თუ ყოველთვის ახლდა შენს შემოქმედებას ასეთი მიმართულება?

— შეგროვებით როგორ უნდა შემეგროვებინა, აკი გითხარი, სხვისი დაწერილი ასეთი ლექსები თითებზეა ჩამოსათვლელი, დაწერით კი სხვაგვარ ლექსებთან ერთად მრავალი წელია ვწერ. რამდენიმე ასეული მექნება. უბრალოდ, ცოტა მაქვს გამოქვეყნებული. საერთოდაც ცოტას ვბეჭდავ. რა ვქნა, ვერ ვბაძავ რედაქტორებს, რომლებიც გაზეთისა თუ ჟურნალის ნომერს არ გამოუშვებენ, საკუთარი ოპუსი არ დაბეჭდონ დიდრონი ფოტოებით, ან ქვეყნის პრეზიდენტებად და პოეზიის

მეფეებად არ გამოაცხადონ თავი! 33 წელიწადია რედაქტორი ვარ და არცერთ ჩემს გაზეთში თუ ჟურნალში არცერთი ჩემი ლექსი არ დამიბეჭდავს! სხვაგანაც მხოლოდ იმ შემთხვევაში ვბეჭდავ(დი), როცა თავად რედაქტორები მთხოვდნენ. ბოლო წლებში სწორედ ასე დაიბეჭდა ჩემი ძველი და კიდევ უფრო ძველი ლექსები როსტომ ჩხეიძის „ჩვენს მწერლობაში“, ლევან ბრეგაძის „ქართულ მწერლობასა“ თუ ირაკლი ჯავახაძის „ლიტერატურულ გაზეთში“. ასევე იბეჭდება „ანამარიას გული“ შოთა იათაშვილის „ახალ საუნჯეში“. არა, ეს ასი ლექსი ერთიანი ციკლი არ არის. ჩემი ცოდნით, ციკლი უფრო შინაარსით გაერთიანებულ ლექსებს გვიქვია. ეს ახალი რითმით გაწყობილი ლექსებია და სხვადასხვა ციკლებად მაქვს დალაგებული, რასაც მათი ქვესათაურები ადასტურებს. ხომ არის რითმა ასონანსური და კონსონანსური? ხომ არის რითმა ომონიმური? ჰოდა, ეს ანაგრამული რითმაა – სრულიად გამორჩეული რამ ლექსწყობაში. დანარჩენი დაე, კრიტიკოსებმა და თეორეტიკოსებმა იკვლიონ. აი, რას წერს ჩემი ერთი ამგვარი ლექსის გამო დასტურ ავტორიტეტული კრიტიკოსი და მკვლევარი ლევან ბრეგაძე:

„და ბოლოს სუპერ-შიუთელრაიმი – თანხმოვანთა ორი წყვილის გადაადგილება ერთი სიტყვის ფარგლებში:

მახინჯაური

კონდუქტორო, მაგ სასტვენში იქნებ ერთიც
ჩაგებერა,
რაღა დარჩა! გავიარეთ ბოლოსწინა გაჩერება!

ჩვენი აზრით, ამგვარი რითმის ეფექტი, მიმზიდველობა იმითაც უნდა იყოს გამოწვეული, რომ იგი თითქოს ომონიმური ანუ უზუსტესი რითმისა და არაზუსტი

კონსონანსური რითმის ერთ-ერთი სახეობის ნაჯვარია: ომონიმთან მას ის ანათესავებს, რომ სარითმო სიტყვები ზუსტად ერთი და იმავე ბგერებისგან შედგება, ხოლო კონსონანსური რითმისა კი ის გამოჰყოლია, რომ თანხმოვანთა თანმიმდევრობა არ არის დაცული“.

ლევანის წერილი, საიდანაც ეს ციტატა ამოვწერე, შესულია ორტომეულში, რომელსაც საკმაოდ გრძელი სათაური აქვს: „ევროპული და აღმოსავლური მყარი სალექსო ფორმები ქართულ პოეზიაში“. ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ მომზადებული ამ ორტომეულის პრეზენტაცია სულ ცოტა ხნის წინათ გაიმართა და შეიძლება შენ ჯერ არ წაგიკითხავს, მაგრამ, მენდე, – უაღრესად საინტერესო რამ არის და მასში ბევრ იმ კითხვაზეა გაცემული პასუხი, რომლების „ანამარიას გულის“ წაკითხვის შემდეგ შეიძლება გაუჩნდეს სერიოზულ ლექსთმცოდნესაც თუ პოეზიის უბრალო მოყვარულსაც და რომელთაგან შენ მხოლოდ მცირე ნაწილი დამისვი.

— ბობი ფიშერი და კლაუდია შიფერი ორივე გამოჩენილი ადამიანები არიან, მაგრამ ნუთუ მათი გვარების ანაგრამულ ჟღერადობას მათი ოჯახური იდილიაც უნდა შეეწიროს?

— მიყვარს სალაღობო კითხვები! იდილიური მგონი, არცერთი ეს ოჯახი არ ყოფილა. ფიშერი ათი წლის წინათ, სამწუხაროდ, ისე გარდაიცვალა, რომ ჩემი ლექსი არ წაუკითხავს და, ბუნებრივია, ვერც მისი „ოჯახური იდილია“ შეეწირებიდა ამ კატრენს! კლაუდია შიფერი კი არის ცოცხალი, მაგრამ არც მის ოჯახს ემუქრება რამე, თუნდაც დღედაღამ ჩემი ეს ლექსი იკითხოს! თუ რომელიმე ოჯახური იდილია ამ ლექსს უნდა შეეწიროს, ეს შეიძლება მხოლოდ ჩემი ოჯახი იყოს – ნინოს, ჩემს მეუღლეს, ალბათ

სულაც არ სიამოვნებს, რომ რაგინდ რითმის გულისთვის მე ცოლად კლაუდია შიფერი ვისურვე!!! ერთი სიტყვით, სალაღობო კითხვაზე პასუხიც სალაღობო გამომივიდა!

— ოდნავ მაინც შეიძლებოდა დაგვეშვა, რომ წინამდებარე ასი ლექსი იმ ერთი შედარებით მოზრდილი ლექსისათვის დაიწერა, რომელსაც „კონვენციური ლექსის ახალი სიცოცხლე“ ჰქვია?

— არა, არ უნდა დაგვეშვა! პირიქით, ეს ერთი ლექსი დაიწერა იმ ასი და კიდევ სხვა ასეულობით ლექსისათვის, როგორც ახალი ტიპის რითმების ერთგვარი პრეზენტაცია თუ მანიფესტი. თუმცა ეს ჩემი ამგვარი ლექსების პირველი პუბლიკაცია არ არის და ანაგრამული რითმებით გაწყობილი არაერთი ლექსი აქამდეც დამიბეჭდავს „ლიტერატურულ გაზეთში“. სხვათა შორის, ალბათ დაუკვირდებოდი, რომ სწორედ შენს მიერ დამოწმებულ ამ ლექსში რითმები კურსივით არ არის გამოყოფილი. შეგიძლია ესეც მიათვალო ჩემს პასუხს შენს იმ კითხვაზე, სადაც რითმებით კურსივით ხაზგასმის ზეამოცანურობაზე მეკითხებოდი.

— მიგაჩნია, რომ ინტერნეტის ეპოქაში პოეზიას მართლაც აღარ რჩება ადგილი, თუ ეს უბრალოდ ტრაფარეტული და ზოგადად გავრცელებული შეხედულების პერიფრაზია, მხოლოდღა ანაგრამული რითმისთვის ნათქვამი? გაგახსენებ, რომელ ლექსსაც ვგულისხმობ, როცა ამას გეკითხები:

ვიღას სჭირდება ნეტა
*შენი საწყალი **ლექსი,***
როცა ბობოქრობს ეტნა –
*სოციალური **ქსელი!***

— არა არ მიმაჩნია! და სწორედ ამაზეა ეს ლექსი! პერიფრაზისა

რა მოგახსენო და, მხოლოდ რითმისთვისაც რომ იყოს დაწერილი, არც ეს იქნებოდა დასაძრახი. მუხრან მაჭავარიანი ხომ გახსოვს:

„დღეს ქართველებს ჭეშმარიტად
საყვედური არ გვეთქმის,
ეს რა მიქნა ერთმა რითმამ,
გამახსენა არგვეთი.“

როგორც ჩანს, ასეთი რამეც მოსულა პოეზიაში. დოვინ-დოვენ-დოვლები და სილაში ვარდებიც ამის დასტურია. კიდევ ერთხელ დიდი მადლობელი ვარ, დათო, შენი საინტერესო, მართლა დასამახსოვრებელი კითხვებისთვის და იმედი მაქვს, ჩვენი ამ გაბაასების შემდეგაც ჩვენს კოლეგებსა თუ მკითხველებს არაერთი კითხვა გაუჩნდებათ „ანამარიას გულთან“ დაკავშირებით, მაგრამ მათი რაოდენობა ჩვენი კითხვა-პასუხის მერე

ალბათ უკვე თორმეტით ნაკლები იქნება! შევეცდები, ჩემი ცოდნის ფარგლებში მათ კითხვებსაც ვუპასუხო.

— პაატა, თითქოს დავასრულეთ საუბარი, მაგრამ კიდევ ერთი, მეცამეტე შეკითხვა უნდა დაგისვა აუცილებლად: ხომ დასაშვებია, რომ არამარტო ცალკეული სიტყვები ყოველ ცალკეულ ლექსში, არამედ შენს რომელიმე ასეთ ლექსს ანაგრამულად გაერითმოს ცალკე მდგომი მეორე მთლიანი ლექსი? და მერე ამ ორ ლექსს უკვე მომდევნო ორი რომელიმე ლექსი?! და ა. შ. და ა. შ., სანამ ლექსიკონი არ ამოწურავს თავის თავს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ეს პატარა ლექსები სინამდვილეში მეგალექსებია და ეს არის მათი ერთ-ერთი მთავარი დამსახურება. ეს არის ატომური აღმოჩენა ლინგვისტიკაში, რომელიც მეტაენას შეეხება და თითქოს მეორე და ახალი პოლუსია ჰაიკუს მეტაენისა. სხვაგვარი გარითმვის დროს ხომ რომელიმე ორი ლექსი ერთმანეთს ვერ გაერითმება, ერთ სხეულად ვერ იქცევა და ისინი ცალ-ცალკე ლექსებად დარჩებიან.

— კეთილი, იყოს მეცამეტე შეკითხვაც, მე ცამეტს არ ვუფრთხი, პირიქით, გარკვეული სიმპათიითაც კი ვარ მის მიმართ განწყობილი, მეცამეტე გოჭიც ყველაზე საყვარული მგონია... კი, რასაკვირველია, დასაშვებია ასეთი მეგალექსის თუ მეტატექსტის შექმნა და სრულიად შესაძლებელიც! ლობაჩევსკის გეომეტრიისა არ იყოს! ან რიმანის. ამის ერთი-ორი მარტივი ნიმუში ჩემს ანარგამებშიც მოიძებნება. ეს მით უმეტეს შესაძლებელია, თუ მანქანასაც დავიხმართ. არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ახლა, როცა მე და შენ ამ კითხვა-პასუხს ვცვლით იმეილებით, რომელიმე კირკიტა პროგრამისტი ლექსიკონისა და ფაქტორიალის დაქორწინებაზე მუშაობს. და იქნება მერე ანაგრამული რითმების გრიალი, სანამ, როგორც შენ ამბობ, ლექსიკონი არ ამოწურავს თავის თავს!

შეიძლება აქ მართლა იყოს ლინგვომათემატიკური რამ ამოცანა, მაგრამ რამდენად იგუებს ან გამოიყენებს ამას პოეზია, ძნელი სათქმელია. დარწმუნებული ვარ, ლექსიკონის ამოწურვას შენ ფიგურალურად ამბობ, თორემ ამ თვალსაზრისით ლექსიკონის ამოწურვა ძალიან შორეულ პერსპექტივაშიც შეუძლებელია! წარმოიდგინე, შენი სახელის ოთხასოიანი ფორმა – დათო – 24 ანაგრამულ ვარიანტს იძლევა და ყველა მათგანი უშინაარსოა. ალბათ ისევე, როგორც შენი შვიდასოიანი გვარის 5040 ანაგრამა. მე ყველა ვარიანტი არ გამისინჯავს. არა მგონია, დიდად შინაარსიანი რამ იყოს შენი გვარის, ვთქვათ, ამგვარი ანაგრამა: ძე ხლიჩა! შეიძლება ბევრმა მკითხველმა არ იცოდეს, რომ 10-ასოიანი პოეტური სიტყვა „სილაჟვარდე“ 3 628 800 ანაგრამულ ვარიანტს შეიცავს და დიდი ეჭვი მაქვს, მათგან არცერთი არ არის არათუ პოეტური, საერთოდ რაიმე შინაარსის შემცველი. მე ყველა ვარიანტი, ბუნებრივია, არც ამ შემთხვევაში გამისინჯავს! დეზოქსირიბონუკლეინზე ან ჰიდროელექტროსადგურზე აღარაფერს ვიტყვი! როგორ არ გაგახსენდება აქ მაიაკოვსკი – რომელიც იმ თავის ცნობილ ლექსში ამბობს, პოეზია იგივე რადიუმის მოპოვებაა – ერთ გრამს ერთი წლის შრომა რომ სჭირდება და ერთი სიტყვისთვის ათასობით ტონა სიტყვის მადნის გადამუშავება რომ გიწევს. რა თქმა უნდა გახსოვს აფორიზმად ქეული მისი ეს სტროფი, ფინინსპექტორთან საუბრისას ნათქვამი:

Поэзия - та же добыча радия.
В грамм добыча, в год труды.
Изводишь единого слова ради
Тысячи тонн словесной руды.

ალბათ არსებობს ამ ლექსის ქართული თარგმანიც, მაგრამ ახლა მისი მოძებნა გამიჭირდება. თანაც არა მგონია,

კონგენიალური თარგმანი იყოს, თორემ ამასავით ზეპირად მემახსოვრებოდა. ხოლო მაიაკოვსკის რადიუმიდან შენეულ თუ ჩემეულ „ატომურ აღმოჩენამდე“ ერთი ნაბიჯია! ოღონდ ძალიან დიდი ნაბიჯი, მაიაკოვსკიც რომ ვერ გადადგამდა, იმხელა. თუმცა, გეთანხმები, არის ჩემს პატარა ლექსებში მეგალექსობის გარკვეული პოტენცია. ალბათ ამიტომაც არის, რომ ერთი ჩემი მეგობარი მწერალი, რომელიც დაკვირვებით ადევნებს თვალს ჩემს პუბლიკაციებს, კარგა ხანია, მიკიჟინებს, პოტენციური ლიტერატურის სახელოსნო ჩამოაყალიბე, რაღაც ულიპოს მსგავსი, და მოწაფეები თუ მიმდევრები გაიჩინეო. ხოლო მეორე მეგობარი პატაფიზიკისკენ მექაჩება, თუმცა ალბათ ისედაც არა ვარ მისგან შორს – ერთი „ზედმეტი“ ასოღა მაშორებს. რა თქმა უნდა, მიაქცევდი ყურადღება, რომ ამ ასი ანაგრამის მესამედზე მეტი განკუთვნილია წიგნისათვის, რომლის სათაურია „პაატაფიზიკური რეფ-ლექსები“. დიახ, შეიძლება ეს პოტენციაც იყოს ჩემი ამ ლექსების, როგორც შენ ამბობ, „ერთ-ერთი მთავარი დამსახურება“. თუმცა სანამ მათი პოტენციური ენერგია კინეტიკურში გადაიზრდება, მე ამ ლექსების სხვა ღირსებას მინდა გავუსვა ხაზი, რომელიც ზედაპირზე ძევს: ამ 100 პაწაწა ლექსში არცერთი ძველი რითმა არ არის! არადა, 150-ზე მეტი სარითმო წყვილი და რითმათა რამდენიმე სიმრავლეა... აი, აქ კი უნდა დავსვა(თ) წერტილი, თორემ ძალიან გრძელი პასუხი გამომივიდა შენს მეცამეტე კითხვაზე! ჩავთვალოთ, რომ ამ ვრცელ პასუხს ზოგიერთი წინა პასუხის სიმცირე და ლაკონიურობა დააბალანსებს. თუმცა ბოლოს მეტაენამდე, ატომურ-ლინგვისტურ აღმოჩენამდე, ულიპომდე და პატაფიზიკამდე მივედით, ჩვენი საუბარი რომ ამ ბოლო კითხვით დაგვეწყო, ალბათ უფრო ღრმად და შორს წავიდოდი(თ), მაგრამ რაკი ასი გრამითა და ანამარიათი და(ვ)იწყე(თ),

რომელიც შენ თავიდან შენი მარგო კორაბლიოვასავით გამოგონილი პერსონაჟი გეგონა, მოდი, ისევ ასი გრამითა და ანამარიათი დავამთავროთ. მართლა ძალიან მოუხდა ასი გრამის კალამბური ჩემს ას ანაგრამულს! ჩვენც ძალიან მოგვიხდება ას-ასი გრამი ამ საუბრის მერე. ანამარიას – არა. მას, ვიცი, ღვინო ურჩევნია. განსაკუთრებით ხაშმის საფერავი უყვარს. არაერთხელ სპეციალურად ჩავსულვარ ხაშმში ანამარიას გულისთვის. „ანამარიას გულისთვის“ კი მასთან გადაღებული ორი ფოტო შევარჩიე, რომელსაც ამ ჩემს პასუხებთან ერთად ვაგზავნი რედაქციაში და კეთილად ვსარგებლობ რა მისი კეთილგანწყობით, რედაქტორს ვთხოვ, ერთ-ერთი მათგანისთვის მაინც გამოძებნოს ადგილი. მადლობასაც წინასწარვე ვუხდი, როგორც წესია. ღმერთმა ლექსიკონის ამოწურვამდე ყველანი კარგად გვამყოფოს, ჩემო დათო, – შენც, მეც, რედაქტორიც, მკითხველიც, ანამარიაც და, რაღა თქმა უნდა, მარგო კორაბლიოვაც!

ჯერომ როთენბერგი

ირაკლი ყოლბაია

ჯერომ როთენბერგი და ეთნოპოეტიკა



ჯერომ როთენბერგი, თანამედროვე პოეზიაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მიმართულების, *ეთნოპოეტიკის,* შემქმნელი, 1931 წელს დაიბადა ნიუ იორკში. მისი მშობლები პოლონელი ებრაელი ემიგრანტები იყვნენ, რომლებიც 20-იან წლებში ჩავიდნენ ამერიკაში – როთენბერგის ყველა ოჯახის წევრი, რომლებიც პოლონეთში (პატარა ქალაქ ოსტროვ-მაზოვიცკაში) დარჩნენ, ნაცისტებმა დახოცეს. გასაგებია, რატომ ახასიათებს როთენბერგი თავისი ბავშვობის სამყაროს „დეპრესიის, ომის და ჰოლოკოსტის“ ხანად –

რეალობა, რომელშიც ის დაიბადა, იყო რეალობა, რომელმაც დაუშვა აუშვიცი და ჰიროშიმა.

ნათელი მხარე პოეზია იყო, რაც ლამის თავიდანვე ცხადი გახდა პოეტისთვის. 16 წლის მიხვდა, რომ ენის გარდაქმნა პოეზიის გზით შეიძლებოდა, და რომ ენის გარდაქმნა, თავის მხრივ, ცნობიერების ცვლილება იყო, და, შესაბამისად, სხვა სამყარო(ები)ს შესაძლებლობა. ამან მალევე მოიტანა ინტერესი ექსპერიმენტული და ავანგარდული პოეზიებისადმი. ასეთი იყო საერთაშორისო ავანგარდი XX საუკუნის დასაწყისში, და, განსაკუთრებით როთენბერგისთვის, დადა და სურრეალიზმი. ხოლო ოკეანის იქითა მხარეს პირველი თაობის ამერიკული მოდერნიზმი, რომელიც ეზრა პაუნდის, გერტრუდ სტაინის, უილიამ კარლოს უილიამსის და სხვების ძიებებსა და ექსპერიმენტებში გამოიხატა. როთენბერგი თავად ახასიათებს პოეტს „მგრძნობიარე არსებად“, რომელსაც იმდენადვე სძულს, ზარავს, სძაგს ან ანრისხებს, რამდენადაც უყვარს და აღაფრთოვანებს: ომები და გენოციდები თითქოს ერთ ჯაჭვს კრავენ და წარმოადგენენ ისტორიას, როგორც კოშმარს: ებრაელები მის „წინა ქვეყანაში“; ინდიელები – „ახალში“. ამის მიღმა, ის კონსერვატიული გემოვნება თუ ძალები, რომლებიც ერთ მომენტში (40-50-იანებში) თითქოს ამარცხებენ იმ პასუხისმგებელ, სერიოზულ მოდერნიზმს, რომელიც როთენბერგს ეძვირფასება. გამოხატვის უახლესი ფორმები უკავშირდება მის სურვილს, ჩავიდეს პირველწყაროებამდე, აღმოაჩინოს არქაული, პრიმიტიული პოეზიები (აქედან *ეთნო*პოეტიკა). აფრიკული ზეპირსიტყვიერების შესწავლა უკვე სურეალისტებს და დადას მამებს ჰქონდათ დაწყებული (ტრისტან ტცარას, ბლეზ სანდრარს, სხვებს), ხოლო როთენბერგი ამას ახალ,

სისტემურ სახეს აძლევს და აქედან მომდინარეობს, აგრეთვე, მისი ზრდადი გატაცება პერფორმანსით. ის იწყებს ინდიელების სიმღერების „თარგმნას“ და ქმნის ხმოვან ლექსებს, შემდგარს უმნიშვნელო მარცვლებისგან, რომლებიც მხოლოდ ცოცხლად შესრულებისას იძენენ მუსიკალურ, და პოეტურ, ქსოვილს.

60-იანების ბოლოს როთენბერგი აქტიური პოეტია, გამოქვეყნებული აქვს 12 დიდი და მცირე კრებული: პოეზია, თარგმანები... ნიუ იორკში მის გარშემო იკვრება ძალიან ორიგინალური და ძლიერი პოეტების წრე, რომლებიც თავს Deep Image-ის პოეტებს უწოდებენ: დევიდ ანტინი, რობერტ კელი, კლეიტონ ეშელმანი, დაიან ვაკოსკი, არმან შვერნერი; მის პერფორმანსებში ერთვებიან მასზე უფროსი პოეტები: პოლ ბლექბერნი, ჯექსონ მაკ ლოუ (ჯონ ქეიჯთან ერთად, „შემთხვევითი“ (chance) და პერფორმანს – პოეზიის ფუძემდებელი). ამ დროს, 1968 წელს, გამოდის როთენბერგის ეპოქალური წიგნი, რომელიც პოეზიის მიმართულებას ცვლის და თან ანთოლოგიის ახლებურ მოდელს ქმნის (ხოლო ანთოლოგია თავისთავადაა კოლაჟი: მოდერნიზმის ცენტრალური ტექნიკა), „სიწმინდის ხელოსნები“ (Technicians of the Sacred), რომელიც თავს უყრის ზეპირსიტყვიერი, არქაული, პრიმიტიული, რიტუალური, შამანური ტექსტების წყებას, ამერიკებიდან, აფრიკიდან, ოკეანიიდან (აქედან, სათაური, რომელსაც როთენბერგი მირჩა ელიადესთან პოულობს: პოეტური აქტი, როგორც რეალობის *გასაკრალურება*)... მასში გვერდიგვერდ ვხვდებით აცტეკებს და ალენ გინსბერგს, ციმბირელ შამანებს და ლორკას... მსგავსი ანთოლოგია/ასამბლაჟი/კოლაჟი როთენბერგის ცენტრალური საქმიანობა ხდება და მისივე პოეზიის გვერდიგვერდ იქმნება იმ დღიდან დღემდე. მომდევნო წიგნებიც

ამერიკაში მცხოვრებ ტომებს ეკუთვნის, და როთენბერგი 1972-74 წლებს იროკუების ტომთან ერთად ატარებს ნაკრძალში; ამ პერიოდს ეხება მისი წიგნი „სენეკას დღიური" (A Seneca Journal, 1978) და მისი ანთოლოგია, "გოგრის მრხეველი" (Shaking the Pumpkin, 1972). მომდევნო ანთოლოგიაში, "ამერიკა: წინასწარმეტყველება" (America a Prophecy, 1973) ის კვლავ უახლეს ექსპერიმენტულ პოეტიკას უკავშირებს არქაულ წყაროებს: წიგნის სივრცეს იზიარებენ პრეკოლუმბური ამერიკის წყაროები და როთენბერგის თანამედროვე პოეტები – ანთოლოგია, როგორც გრძელი, კოლექტიური პოემა/კოლაჟი, რომლის ავტორიც კონტინენტი და მისი ცნობიერებაა. შემდეგ ის კვლავ „საკუთარი" წყაროებით და წარმოშობით ინტერესდება და მსგავს ეთნოპოეტიკას „ებრაელი მისტიკოსების, გიჟების და ქურდების სამყაროში" ეძებს, რაც "დიდ ებრაულ წიგნს" (A Big Jewish Book, 1978) ქმნის – წიგნში, კიდევ ერთხელ, თანაცხოვრობენ კაბალა და დილანი, თორა და ფრაგმენტი ალეხანდრო ხოდოროვსკის "თახვი"-დან – ყოველი მომდევნო გვერდი მოულოდნელი და გამოუცნობია. როთენბერგი იღებს *ანთოლოგიის* აკადემიურ, „სერიოზულ" კონცეპტს და მას დადა/ანარქისტულ სიგიჟედ აქცევს. მისი ყველაზე ახალი პროექტია "ლექსები მილენიუმისთვის" (Poems for the Millenium), რომელიც 1995 წელს დაიწყო და რომელშიც ის (პიერ ჟორისთან ერთად) მთელ ავანგარდულ პოეზიას უყრის თავს. წიგნი ცვლის წარმოდგენას არა მხოლოდ იმაზე, *რას* წარმოადგენს პოეზია, არამედ იმაზე, როგორ უნდა ვიკითხოთ, ვისწავლოთ და ვასწავლოთ პოეზია. ესაა, აგრეთვე, როთენბერგისეული მისალმება ახალი ათასწლეულისადმი.

“დიდი ებრაული წიგნის” პარალელურად, ჩნდება მისი საკუთარი ლექსების კრებული: “პოლონეთი/1931”, სადაც ის წარმოიდგენს და ხატავს იმ ებრაულ ყოფას, რომელიც შეიძლებოდა, ჰქონოდა (წიგნის სათაურში მისი დაბადების წელია მითითებული), ყოფას სამყაროში, რომელიც სრულად გააქრეს. ამრიგად, ავტორი პოეტის აჩრდილი – ორეულია. წიგნი დადა კომიკურობით და სიგიჟით დასტრიალებს ევროპელ ებრაელებს და მასში არსად მოიხსენიება *ჰოლოკოსტი,* თუმცა ის მაინც ბუდობს ამ გვერდებზე, მაინც შეუძლებელია იმის დავიწყება, რომ ვუსმენთ როთენბერგის ორეულს, რომელიც არ წავიდა ამერიკაში, რომელიც, სავარაუდოდ, დანარჩენებთან ერთად შეეწირებოდა ნაციზმს. 80-იანებში ის მართლა ჩავიდა პოლონეთში და მოინახულა სიკვდილის ბანაკების ადგილები, ჩავიდა სოფელშიც, სადაც მისი მშობლების ოჯახი ცხოვრობდა და რომლის ყველა მცხოვრებიც დახოცეს. მაშინ მეტაფორულობას *(ლიტერატურულობას)* კარგავს შამანის, როგორც მკვდრებთან მოსაუბრის დეფინიცია: როთებერგს ახსოვს ხალხური ებრაული მოტივი, *დიბუკი,* რაც დროზე ადრე მომკვდარი ადამიანის სულს ნიშნავს, მრისხანე სული, რომელიც უსახლდება ცოცხლებს და მათი პირით მეტყველებს. როთენბერგი უერთდება თავის სიწმინდის ხელოსნებს და თავის ხმას მოკლულ წინაპრებს უთმობს: ასე იქმნება როთენბერგის შედევრი, “ხურბნ” (Khurbn, რაც იდიშზე „უბედურებას“, „კატასტროფას“ ნიშნავს; პოლონელი ებრაელები ამ სიტყვით მოიხსენიებდნენ *ჰოლოკოსტს*). პაულ ცელანის, ედმონ ჟაბესის და სხვების კვლადაკვალ, როთენბერგს წვლილი შეაქვს „ევროპული მკვდრების წიგნის“ შექმნაში.

მაშასადამე, *მხილველი* (შამანი; ვიზიონერი) ამავე დროს *თვითმხილველია.* როთენბერგის 600-გვერდიან კრებულს,

რომელიც მისი პოეზიის და პროზის გენერალური რეტროსპექტივაა, ასეც ჰქვია: “თვითმხილველის თვალი” (Eye of the Witness, 2013); გაითვალისწინე, აქ, რომ eye არის აგრეთვე I: *მე,* ესე იგი, *თვითმხილველის მე*. როთენბერგის *მე,* მისი *თვალი* და *ხმა,* ბევრად მეტია, ვიდრე ერთი კაცის, ერთი პოეტის ეგო: ის *მთელი პოეზიის მეს ატარებს*.

ირაკლი ყოლბაია

არსებობს ავანგარდი, რომელსაც ვერავინ დაამარცხებს (ინტერვიუ ირაკლი ყოლბაიასთან)

ირაკლი ყოლბაია: “სიწმინდის ხელოსნების” პირველივე გვერდზე იკითხება დაიან ვაკოსკის სიტყვები: „მე ყოველთვის ისეთი პოეტები მეყვარება ყველაზე მეტად, როგორებიც არიან გინსბერგი და როთენბერგი, რომლებიც სერიოზულ, ვნებიან, მწუხარე საკითხებზე წერენ“. ეს მშვენიერია, მაგრამ დამაფიქრებელი: განა არ შეიძლება, ასევე გამართლებულად ითქვას: „…ისეთი პოეტები, როგორიც როთენბერგია, რომელთანაც მწუხარება და სერიოზულობაც კი აუცილებლად ერწყმის მხიარულს, ცელქურს, ლაღს, სულაც სასიხარულოს — უშუალოდ კრეაციის აქტს“? რას ფიქრობთ ამაზე? მე ვაცნობიერებ მწუხარების იმ სიმძიმეს, რომელსაც საკუთარ პოეზიაში მიმართავთ: თქვენ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოეტი ბრძანდებით იმათ შორის, რომელთაც პოეტური შემოქმედება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყეს და რომელთა რეალობაც, გარკვეულწილად, ჰოლოკოსტმა (ან „ხურბნ“-მა) და ჰიროშიმამ განაპირობა. და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ამ პოეტებს შორის, თქვენ განსაკუთრებით აიღეთ საკუთარ თავზე ერთგვარი მოვალეობა, გელაპარაკათ ამ საკითხებზე. ასე ვიტყოდი, რომ თქვენ, რამდენიმე სხვასთან ერთად, მიიღეთ გადაწყვეტილება (ვციტირებ ოლსონს) „ხელი მოგეკიდათ/ გული დაგედოთ ამ მკვდრებისთვის“[1]. ვგულისხმობ: დამოწმებას, სამყაროს განცდას, როგორც ლექსის ერთ-ერთ პასუხისმგებლობას.

ჯერომ როთენბერგი: მე როგორც მახსოვს, დაიან ვაკოსკი აქ „პოლონეთი/1931“-ზე ან, შესაძლოა, ცოტა უფრო

გვიანდელ „სენეკას ჟურნალზე“ ლაპარაკობდა, შემდეგ ის განაგრძობდა და ცდილობდა, ხაზი გაესვა, თუ რას გულისხმობდა პოეზიაში, „რომელსაც ისტორიული ან არქეტიპული თემები აქვს, რომელიც ცდილობს, წარმოადგინოს გარკვეული კულტურა და რომელიც, განსაზღვრული სახეთმეტყველებითა და სტილიზებული ლექსიკით, გადმოსცემს აღქმის მთელ მოდელს“. ყოველივე ეს კარგად ასახავს, თუ რის მიღწევას ვცდილობდი მაშინ, და მოგვიანებითაც, უკვე სულ სხვა გზებით, და რომელთა რიგსაც უდავოდ ეკუთვნის ის დიდი ანთოლოგიები და ასამბლაჟები, როგორიც „სიწმინდის ხელოსნებია“. და მაინც, მხოლოდ „მწუხარე“ (თუნდაც შევსებული „სერიოზულითა“ და „ვნებიანით“), ალბათ შეზღუდული დახასიათებაა, და ჩემი, გინსბერგის ან ნებისმიერი სხვა პოეტის მხოლოდ პატარა, ცალკეულ ასპექტს გამოხატავს – ამას, ცხადია, ვაკოსკიც აღიარებს, როდესაც განავრცობს თავის ფორმულირებას. მე იოლად შემიძლია ჩემი შემოქმედების სხვა მრავალ ასპექტზეც ვიფიქრო, რომელსაც მსგავსი დახასიათება უგულებელყოფდა — ვგულისხმობ უფრო ექსპერიმენტულსა და ცელქურს, ანდა სულაც რითმულს და პერფორმანსულს.

ამის თქმით, ცხადია, ოდნავაც არ უარვყოფ „მწუხარებას“ ან *პასუხისმგებლობას* — თუკი მეც, თქვენსავით, ასე ვუწოდებ ლექსს, რომელიც ყველა შესაძლო გზით ემოწმება იმ საშინელებებს, რის გარემოცვაშიც გავიზარდეთ და რასაც, ამ წამამდე გვიწევს, რომ თვალი ვუსწოროთ. მე ამას იმ ყველაფრის სარჩულად ვხედავ, რასაც ვაკეთებ, მაშინაც კი, როდესაც ვეძებ ახალ გზებსა და პროცედურებს, მათ შორის იმათ, რომელთა წყალობითაც სხვათა ხმებს, სხვათა მყოფობებს ვუშვებ

ლექსში. ეს, ალბათ, თვითკმაყოფილი თვითგამოხატვის ანტიდოტია — აქციო ლექსი წყაროდ ბედკრული მკვდრებისთვის და არა თვითგამოხატვის ხელსაწყოდ: სხვა ხმების, სხვა დროების თავშეყრის ადგილად.

ი. ყ. ვფიქრობ, სწორედ ეს მაინტერესებდა ჩემს პირვანდელ კითხვაში: თქვენი პოეზიის ეს ორმხრივი ბუნება, „სერიოზული/მწუხარე“ და „ლაღი/კომიკური“. ვიცი, რომ მსგავსი სიორმაგე ყოველთვის იყო პოეზიის კუთვნილება თუ უნარი, მაგრამ ამ კონტექსტში უფრო მეტად თქვენზე ვფიქრობ, ვიდრე გინსბერგზე, რამდენადაც თქვენთან ამ ცელქობას და სილაღეს უშუალოდ კრეაციის დონეზე ვგრძნობ, ანუ ძალზე ფუნდამენტურად. ეს სილაღე თუ სიცეტე (საიდანაც მოდის პოეტის, როგორც ტრიქსტერის, ამერიკული კოიოტის ან ევროპული მელიის მოდელი) პოეტური აქტივობის ბირთვს უშუალოდ პროცედურებში ახლავს თან. აქვე მაგონდება იესო ქრისტეს სიტყვები მესამე საუკუნის სირიული ტექსტიდან: „თუკი გაიგებ იმას, რაც მე ვარ, იცოდე: ყოველივე, რაც ვთქვი, წარმოვთქვი სილაღით, და ოდნავაც არ მრცხვენოდა ამის“ („წმინდა იოანეს საქმენი“)

ჯ. რ. ვფიქრობ, აქ სულ მცირე, ორი იმპულსი მოქმედებს: ზოგადად, სამყაროს სკეპტიკური და ირონიული აღქმა და თამაშის ელემენტი, რომელიც, მჯერა, მოიძებნება ყველა პოეზიაში, როგორც ენის ხელოვნების განვითარებულ ფორმაში. ვფიქრობ, ამაზე ფიქრობდა პლატონიც, როდესაც პოეტები თავისი ავტორიტარული სახელმწიფოდან გარიცხა. პლატონისთვის უდავოდ ცნობილი იყო, რომ პოეზიის წყაროები საკრალური მასხარების, კლოუნების და ტრიქსტერების ტრანსგრესიულ თხრობებსა და კომიკური შესრულებებშია. პლატონი ამათ „ღმერთებისადმი მიძღვნილი ჰიმნებით და

განთქმული ადამიანების ხოტბით“ ანაცვლებს. ჩემთვის კი პირიქით, ღმერთებისა და ადამიანების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება სოციალური და სულიერი სიჯანსაღის ნიშანია, ღრმად გამჯდარი ადამიანის გონებაში — არ ვამბობ, რომ ეს ერთადერთია, რისი მოცემაც პოეზიას შეუძლია, მაგრამ მიმაჩნია, რომ ამის გარეშე ის, მეტწილად, ცარიელი ჭურჭელია. აქვე დავამატებდი და ხაზს გავუსვამდი, რომ თქვენს მიერ ციტირებული იესოს სიტყვები აპოკრიფული, სულაც ერეტიკული წყაროებიდანაა, და გამოხატავს ასეთი განზე მდგომი ან გარიყული ტექსტების მნიშვნელობას, ჩემთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს არეალს ძველი თუ ახალი სივრცისა და დროის პოეზიისა და პოეტიკის ახალი რუკების შედგენისას.

ამ სიცელქის თუ სილაღის მეორე ასპექტი უწყვეტ ფორმალურ ექსპერიმენტებსა და ხერხებს უკავშირდება, როგორც ერთგვარ ლირიკული თამაშის თეორიას, თამაშის ელემენტს ყველა პოეზიაში, ფანტაზიისა და წარმოსახვის კავშირს (თუ ძველ რომანტიკულ ტერმინებს მივმართავთ[2]) — და ეს „უშუალოდ პროცედურებში“, როგორც თქვენ ბრძანეთ. ჩემთვის, მას მერე, რაც პოეზია გათავისუფლდა ტრადიციული რითმისა და მეტრისგან, პროცედურების ეს საკითხი უამრავი მიმართულებით გრძელდება; ხშირად ის სტრატეგიაა, რომ გამორიცხოს მეტისმეტად ბევრი ექსპრესიონიზმი და სუბიექტურობა კომპოზიციის პროცესიდან. მაგალითად, რამდენიმე წლის წინ დავიწყე კომპოზიციაში ებრაული ნუმეროლოგიური სისტემის (რიცხვწერის), გემატრიას გამოყენება, რომელიც იმ პრინციპს ეყრდნობა, რომ ივრითის ანბანის ყველა ასო ამავდროულად ციფრია. შესაბამისად, ყველა ებრაული სიტყვა ამავდროულად გარკვეული ციფრების ჯამია. ეს

მეთოდი ისეთი სიტყვების „გატოლების“ უფლებას იძლევა, რომლებიც ერთსა და იმავე რიცხვს უდრის. ამრიგად, მე ვიყენებ ტრადიციულ ებრაულ ფორმას, რომელიც, ამავე დროს, საოცრად ჰგავს გასული საუკუნის პირველი ნახევრის მოდერნისტული და პოსტმოდერნისტული პოეზიის ექსპერიმენტებს[3].

როდესაც ამ ტექნიკით შევქმენი ლექსების ციკლი, „14 სადგური“ იმ ქალაქების შესახებ, სადაც ნაცისტური სიკვდილის ბანაკები მდებარეობდა, ვთვლიდი, რომ ეს „ობიექტური“ პროცედურები არ გამორიცხავდნენ მტკივნეულ მნიშვნელობას ან ჩემს მისდამი დამოკიდებულებას.

ამ ყველაფერს, ალბათ მივყავარ შენი შეკითხვის ბოლო პუნქტთან: „სიხარულის“ შეგრძნება, რომელსაც ქმნა იწვევს, და რომელიც ალბათ საპირისპიროა იმ მწუხარებისა თუ სერიოზულობის, რომელზეც თქვენ და ვაკოსკი ამახვილებთ ყურადღებას. ეს ის თვისებაა (სინამდვილეში კი გამოცდილება), რომელსაც ხანდახან რთულად ვაღწევ, მაგრამ რომელსაც, ვფიქრობ, ძალისხმევა აჩენს მაშინ, როდესაც გამოიღებს ენერგიას, რომელიც მაძლევს უფლებას, განვაგრძო. ამას, ყველაზე მეტად, მგონი, პერფორმანსის დროს ვგრძნობ, თუნდაც ისეთი მგლოვიარე ნაწარმოების შესრულებისას, როგორიცაა „ხურბნ“; ეს ალბათ ერთგვარი ნუგეშია, შვებაა, რომ მოვახერხე იმის თქმა, რაც ვთქვი.

არის, რა თქმა უნდა, სხვა ლექსებიც, რომლებშიც საერთოდ არაა მწუხარება.

ი. ყ. არ შემიძლია, არ შევეხო იმ დროსა და ადგილს, რომელშიც და სადაც პოეტი გახდით (50-იანების ბოლოს და 60-იანების დასაწყისში). ჟაკ რუბომ[4] ამას უწოდა

„პოეზიის ამოფრქვევა ამერიკაში“, და მრავალი ჩვენგანი დღემდე ამ მოვლენას სწორედ ასე აღიქვამს. ჩვენ აღფრთოვანებულები და შთაგონებულები ვართ ამ ამოფრქვევით, თუმცა უკვე ნახევარი საუკუნით (და მრავალი კილომეტრით) ვართ დაშორებულები მას. ამიტომ გთხოვთ, გაგვიზიაროთ პირადი შეხედულება ამ დროზე, ამ „დიდ აფეთქებაზე“. ამას რომ გეკითხებით, ისიც მიტრიალებს თავში, რომ მრავალი ჩვენგანისთვის დონ ალენის ანთოლოგია[5] და, მოგვიანებით, თქვენი ასამბლაჟები და კრებულები საციცოცხლო მნიშვნელობის ისტორიული დოკუმენტებია, და ამავე დროს მიწვევა, ნებართვა, ჩვენც მიგვეღო მონაწილეობა სიტყვის რევოლუციაში.

„თითქოს სადღაც ყინული გატყდა,“ გვაუწყებს, სიხარულით, უილიამ კარლოს უილიამსი, საკუთარი დროის შესახებ (პირველი თაობის პოეტური ავანგარდი ამერიკაში). რა იყო მსგავსი ყინულის ტყდომის მომენტი თქვენს დროში? „ერთადერთი ახალი ამბები პოეზიაა“, წერდა, მახსოვს, რობერტ კელი. რა იყო ის „ახალი ამბები“, რომლებიც თქვენ მოგქონდათ?

ჯ. რ. ეს წარსული, ზოგიერთი ჩვენგანისთვის, შორეულ წარსულად არ აღიქმება, თუმცა ვიცით, რომ არის. ჩემთვის და ბევრი ჩვენგანისთვის, „ახალი ამბები“ 50-იანების ბოლოსკენ, ერთდროულად სიახლეც იყო და ღრმა წარსულის კვალსაც შეიცავდა: რწმენას, რომ უფრო ადრეული და ტრანსფორმატორული მოდერნიზმი, რომელიც შუამდგომმა თაობამ დამარხა[6], ჯერაც ცოცხალი იყო და მზაობას იმისთვის, რომ უფრო ღრმად აღმოგვეჩინა მისი ტრანსფორმატორული ბუნება, ვინაიდან გვწამდა, რომ ჩვენი დრო ამას ითხოვდა. მაშინაც ზუსტად ისევე, როგორც დღეს, ყველა მხრიდან მძლავრდებოდა

ავტორიტარიანიზმი. პოეზიაში უშუალო რეაქცია ამ პროცესებზე კონტრპოეტიკა იყო, მიმართული იმათ წინააღმდეგ, ვინც გზას უხერგავდა ექსპერიმენტულს და ახალს. მგონი, ყველა ჩვენგანისთვის, ამას თან ახლდა აღფრთოვანება ახლად გამოჩეკილი „ახალი ამერიკული პოეზიისით“. მაგრამ მრავალი ჩვენგანისთვის ეს სიახლე ამერიკით არ შემოიფარგლებოდა და წინამორბედებს ვხედავდით არა მხოლოდ პაუნდის, უილიამსის, სტაინის ან კამინგსის სახით, არამედ ევროპული პოეზიის ახლო წარსულშიც. ამასთან ერთად, დავიწყეთ არქაული, ხშირად დავიწყებული წყაროების ძიება და აღმოჩენაც მთელი სამყაროდან. ამიტომ, ჩემი ძიება ეთნოპოეტიკის მიმართულებით კარგად ერგებოდა ამ ატმოსფეროს. ამავე დროს, ვაცნობიერებდი, რომ ამით ვაგრძელებდი საქმეს, რომელიც ტრისტან ტცარამ, ბლეზ სანდრარმა, სურეალისტებმა და სხვებმა დაიწყეს. იმასაც გავუსვამდი ხაზს, რომ „სიწმინდის ხელოსნები“ იქიდან ამოიწვერა, რასაც მე და რობერტ კელი „ღრმა სახე-ხატს“ (deep image)[7] ვეძახდით. ამავდროულად, მეც და სხვებიც თავით გადავეშვით პერფორმანსულ პოეზიაში და ესეც არქაული ზეპირსიტყვიერების განახლებად გვესახებოდა. ხშირად უგულებელყოფენ იმ ფაქტს, რომ პერფორმანსის პოეზია თანამედროვე ჯაზს და მაშინ ახალშობილ როკენროლსაც უკავშირდება.

ანუ სწორედ 50-იანების ბოლო და 60-იანების დასაწყისი იყო, როდესაც პოეზიის სამყარომ საოცარი სისწრაფით იწყო გაფართოება. მაშინ მე ნიუ იორკში ვიყავი, ანტინთან, კელისთან, შვერნერთან, ჯორჯ ეკონომუსთან, როშელ ოუენსთან და სხვა პოეტებთან ერთად. მალევე დავუკავშირდი პოლ ბლექბერნს, ჯექსონ მაკ ლოუს და მრავალ სხვას. უფრო მერე, პოეტებს ნიუ იორკის გარეთაც:

რობერტ დანკანს და გარი სნაიდერს, რობერტ ქრილის, ლუის ზუკოვსკის და ჯორჯ ოფენს, ანსელმ ჰოლოს და ნათანიელ ტარნს ინგლისში, ენცენსბერგერს გერმანიაში, რუბოს და ჟან-პიერ ფეს საფრანგეთში, Fluxus-ის[8] პოეტებს მთელი სამყაროს გარშემო. უსასრულოდ შეიძლება ჩამოთვლა.

და რა შემიძლია ამაზე ვთქვა, გარდა იმისა, რომ რასაც ვშვრებოდით, სწორი იყო, მაშინაც და მომდევნო წლების მანძილზეც, ეს კი სულ უფრო და უფრო მაგრძნობინებდა თავს პოეტების ვრცელი კომპანიის ნაწილად. ეს იყო ჩემთვის „დიდი აფეთქება“, რადგან მაძლევდა უფლებას, არ ვყოფილიყავი შეზღუდული ან გამოკეტილი, ვყოფილიყავი სამყაროს ნაწილი, მეძებნა და მეცადა, გაუთავებლად, ახალი შესაძლებლობები და მომერგო ისინი პოეზიისთვის. ეს იყო ის, რაც მოგვიანებით ჩემმა ფრანგმა მეგობარმა, მიშელ ჟირუმ, დაახასიათა, როგორც „ავანგარდი, რომელსაც ვერავინ დაამარცხებს“.

ცვლილებები და მღელვარება პოეზიით არ შემოიფარგლებოდა და 60-იანების ბოლოს ყველანი სრულად ვიყავით ჩართულები წინააღმდეგობის დინამიკაში.

ი. ყ. დიფ იმიჯი, ეთნოპოეტიკა, ტოტალური თარგმანი, ომნიპოეტიკა... ეს მხოლოდ ერთი-ორია იმ უამრავი კონცეპტისა თუ პრაქტიკისგან, რაც თქვენს წვლილს გამოხატავს თანამედროვე პოეზიაში. ყველა თქვენი წიგნი — პოეზიის კრებულები, ვრცელი ანთოლოგიები და ასამბლაჟები თუ თარგმანები — ამ წვლილის ნაწილია. და ცხადია, ზემოთ მოყვანილი ცალკეული კონცეპტები და პრაქტიკებიც ერთიმეორეს ამარაგებენ და კვებავენ. ძალიან მინდა, ერთი-ორი სიტყვით განმარტოთ ეს

კონცეპტები, რადგან ამჟამად ისინი, შეიძლება, შედარებით ბუნდოვანი იყოს ზოგიერთი ქართველი მკითხველისთვის. ისე, პირადად მე, განსაკუთრებით მაინტერესებს მიმართულება, რომელიც ბოლო დროს მიიღო ამ ძიებამ, ვგულისხმობ აუტსაიდერულ და იატაკქვეშა (Subterranean) პოეზიას[9].

ამრიგად, საქმეში ერთვება ყველანაირი პოეზია, რომელთაგანაც მრავალი არც კი მოიაზრებოდა მანამდე პოეზიად, რომლებიც, საუკუნეთა მანძილზე, გამოხატავდნენ რაღაც რადიკალურს, ექსტრემალურს, in extremis, და შეიცავდნენ, როგორც დიდრომ თქვა, „რაღაც ბარბაროსულს, ვრცელს და ველურს“ (და აქ კლეიტონ ეშელმანის კონცეპტზეც ვფიქრობ: პოეტი, როგორც „ორმოს დირიჟორი“[10]); ამის ნაწილია ეგრეთ წოდებული „პრიმიტიული“ ხალხის ზეპირსიტყვიერება, შამანიზმი, ებრაელი „მისტიკოსების, გიჟების და ქურდების“ ნაწერები, საუკუნეების მანძილზე წაშლილი, განადგურებული და დამარხული ხმები, ძალადობის მსხვერპლების, ერეტიკოსების, მკრეხელების, „მენტალურად აშლილების“ სიტყვები, მაგრამ ამასთან ერთად, უნდა ითქვას, რომ ამ დანკანისეული „მთლიანობის ნადიმის“ წევრები არიან უბრალოდ პოეტებიც, ისინი, ვინც უდავოდ ეკუთვნიან „პოეტების სამოთხეს“[11] (რომელიც, სინამდვილეში, ლიმბოა, დანტეს ჯოჯოხეთის პირველი წრე, და არა სამოთხე).

ერთი სიტყვით, მოგვიყევით თქვენი პირადი მთლიანობის ნადიმის თუ პოეტების სამოთხის შესახებ, რომელსაც უკვე ნახევარ საუკუნეზეა მეტია, რაც ქმნით. და, თქვენი აზრით, რა შეიძლება (თუკი შეიძლება), მომავალმა პოეტებმა შეჰმატონ მას?

ჯ. რ. ახლა, როდესაც ამ ასაკს მივაღწიე და შემიძლია ასე შორს გავიხედო წარსულში, მაოცებს, თუ როგორ გამოიყურება ეს 50-60 წელიწადი. განვავრცობ იმ ტერმინებს, რომლებიც თქვენ ახსენეთ: ახლა მეჩვენება, რომ გატაცება „დიფ იმიჯით“ ადრეულ 60-იანებში იყო ჩემი მცდელობა, განმევრცო ჩვენი სურეალისტი წინამორბედების ზოგიერთი მიმართულება და, ამავე დროს, გამომეცოცხლებინა ადრეული ამერიკული ავანგარდის იმაჟიზმი და ობიექტივიზმი[12]. რამდენიმე წელიწადმა და რობერტ კელისთან და რობერტ დანკანთან საუბრებმა ახალი სიღრმე დამანახა „ღრმა სახე-ხატში“, რომელიც ღრმა წარსულს უკავშირდებოდა, რამაც, თავის მხრივ, თარგმანისა და კვლევის გზით, იმასთან მიმიყვანა, რასაც ეთნოპოეტიკა ვუწოდე. თავიდანვე მაინტერესებდა კომპოზიციის ნაწილობრივ ან მთლიანად სხვათა სიტყვებით შექმნა. ამას ანთოლოგიებით, კოლაჟებით და თარგმანის გზით ვაღწევდი. ასე გამიჩნდა „ტოტალური თარგმანის“ იდეა (ანუ, თარგმანი, რომელიც შეიცავს არა მხოლოდ სიტყვების ან მნიშვნელობების, არამედ ჟღერადობის და გარემოების თარგმანსაც)[13], მაგრამ მრავალი სხვა გზაც იმის მისაღწევად, რასაც ჰაროლდო დე კამპოსი „ტრანსკრეაციას“, ხოლო მე „გასხვავებას“ (othering) ვუწოდებ. ამასთან, მსურდა, რამდენადაც შემეძლო, მეტად გამეშალა სივრცე, ჩამერთო ის, რაც მანამდე გარიცხული, სულაც დაგმობილი იყო, ვინაიდან ვგრძნობდი, რომ მათი გზით პოეზიის ენა მეტყველებდა. ამაში მართლაც არის რაღაც იმის მსგავსი, რასაც დანკანი „მთლიანობის ნადიმს“ უწოდებდა, და რასაც მე *ომნი*პოეტიკას ვეძახი.

ამრიგად, იმის დიდი ნაწილი, რასაც აქ ვამბობ, მიმართულია დღეს რასიზმისა და ეთნოციზმის განახლებული ფორმების წინააღმდეგ, რის აღზევებას

ყველგან ვამჩნევთ ჩვენს გარშემო – დღეს, როგორც ნახევარი საუკუნის წინ, ეს არის ძახილი პოეზიებისა და სიცოცხლეების მრავალფეროვნებისთვის, და რასაც ჩვენს ნაწერებს შეუძლიათ, ხელი შეუწყონ. მე ამას ვრცელ პროცესად ვხედავ, რომელიც გრძელდება და რომელიც არ შემოიფარგლება პოეზიის ვიწრო ჩარჩოებით. და მაინც, სწორედ ეს სფერო, პოეზიაა ის, სადაც მე გადავწყვიტე, მეცადა ჩემი ძალები და წვლილი შემეტანა (ვინ იცის?) მთელი სამყაროს ერთგვარი მოდელის აგებაში.

ლექსები

ინგლისურიდან თარგმნეს ირაკლი ყოლბაიამ და შოთა იათაშვილმა





ბნელ სიტყვა ხურბნში

[14]

მათი ყველა სინათლე ჩაქრა
მდუმარებდა მათი სიტყვები,
მიედინებოდა
მოგონებებად საცხენო გზებზე
მალკინერის ქუჩას აღწევდა
მშობლის ენაზე იყო დიდი უბედურება
იცლებოდა მისი სიტყვები
მეტყველებისგან
უბრუნდებოდა კენტადმყოფ სიტყვას
ბავშვის სიტყვას
ჩაწითლებულ თვალად ნათქვამს
გაყინულ ტბორზე
როგორც მათ მიერ ამოითქვა
მეც ისევე ამოვიღებ მას შენი ხმიდან
და დავარწევ
ამ ძველთაძველ და ბნელ სიტყვას
ვინც მას უწინ ამბობდა
ახლა კრინტსაც არა ძრავს

DOS OYSLEIDIKN (გამოცარიელება)

ოსტროვაში თაფლის ქუჩიდან
თაფლის ხალხი სად გაიკრიფა?
ცარიელი ცარიელი
მიოდოვა ცარიელი
პურის საცხობი ცარიელი ვარშავისკენ გზა ცარიელი
ხის სახლები ყვითელი ფერის სახლები ბათქაშით შელესილი
ცარიელი სახელის ლანდი მათ კარებზე კვლავაც აკრული
შადაი[15] და მისი ჩრდილი მშობლიურ ენას ანადგურებენ
მშობლის ენა თუმც ცარიელი
მსგავსად გზებისა სადაც დავდივართ
და გზას ვიკვლევთ ბავშვთა ჯგროებში
ბებერი ქალები ქალაქის საბჭოდან გამოსულები ნიავდებიან
ბებერი გლეხები ცარიელ ურმებს ეზიდებიან ცარიელ გზებზე
და კი არ ფანტავენ არამედ ქმნიან სიცარიელეს
ცარიელი თაფლის გემო
ცარიელი ბლითები თითებს შიგნით რომ უყრი
ცარიელი მჟაუნას სუპი ცარიელი ტუჩ-პირიდან რომ იწუწება
და განსაზღვრავს რომელიღაც სხვა პოლონეთს
დაკარგულს ჩვენთვის მთვარესავით
დაკარგულს ჩვენთვის
ცარიელი საათის კოშკი თავის სინათლეს ოთხმხრივ რომ ზომავს
მჟაუნა ბაღებში ღვთისმშობელი კი გზისპირებზე
ცარიელი მატარებლების შუქ-სხივებში
ხარ-ძროხები ღმუიან მხოლოდ

ისე როგორც თვალდაცვარული ებრაელი ყარიბები
ბუზები ჯერაც არსებობენ
და მათ ასხედან თვალის კაკლებზე
მატარებლები აღმოსავლეთით მიდიან და
ცარიელი სახლების ხვრელში (ხვრელოკოსტში)
ცვივდებიან
თივის ზვინებზე აყუდებულ იმ ცარიელ კიბეებში
რომლებზედაც არვინ აძვრება
ცარიელი ოსტროვა და ცარიელი ოსტროლენკა
ცარიელი ძველი სახლები ვიჟკოვთან ახლოს უღრან
ტყეებში
აგარაკები გლეხები რომ აქირავებენ
და იძინებენ თავად თავლებში
ბიალოს ტყე ყველა მხარეს გადაჭიმული
უკან იხევს რაც უფრო მეტად ვუახლოვდებით
დასაჩემებლად
ცარიელი მუხები და ნაძვის ხეები
კაცი წიგნით ცარიელ თხრილში
ისე როგორც ერთ დროს ურიებს სჩვეოდათ კითხვა
ცივ პოლონურ სინათლეში მამებიც ისხდნენ
დედებს ტყის პირას ფეხი მოერთხათ
ნათელი გზა მიდიოდა ტრებლინკასაკენ
სხვა ქალაქებთან ბროკის ნაპირთან
ბუგის გასწვრივ
ნალაქაშებო ჭაობები
ძროხები ხეს გამობმული
აქეთ-იქით დადიან მათი მოჩვენებები
ხვალ ისინი დაფრთხებიან გაჩერდებიან
პოლონეთის ეს ცარიელი ველ-მინდვრები
ცივია მათი ფეხებისათვის
შავი წყალი ცარიელი ტუმბოდან წვეთავს
ყინულის ბორცვს ქმნის

მებარგულენი განიმქვრევიან ჩირაღნის შუქზე
ბავშვის სახეს იპოვიან ფსკერზე ისინი
უხილავს და გაყინულს და ქვაზე აღბეჭდილს

DOS GESHRAY (კივილი)

„აღასრულე შენი კივილი“ ვთქვი მე
(რატომ ვთქვი?)
რადგან კივილი მისი იყო და არა ჩემი
ჩვენ ორს შორის ეკიდა და კაშკაშებდა
მუდამ ეკავა
შუაგული ადგილი ჩვენი შეგრძნებებისთვის
შემდეგ ვიღაც სხვა მოვიდა ღრმად ჩახედა
მის თვალებს და იპოვა იქ მოგონება ცხენების რემის
წითლად შეღებილ ბორბლებზე უფრო სწრაფად
მქროლავის
პოლონელებმა დღესასწაული
დაჯავშნეს მაგრამ ერთმა ურიამ
გამოკეტილმა კარადაში დაიკივლა
ტანზე კივილის სამოსი ეცვა
რომელსაც ხმა არ ჰქონდა და ამიტომაც
ბზრიალებდა სამყაროს ირგვლივ
ისე ველურად რომ ქვებს ამსხვრევდა
ფეხსაცმელებს გროვებად ყრიდა შესასვლელებში
ლურსმნებს ფანტავდა საგნები მოწმობენ
— ამბობს კანონი —
ფეხსაცმელები და ეს ნივთები მეტად ძვირფასი
მსგავსად თმებისა და კბილებისა
თავიანთი აქმყოფობით მოწმობენ თუმცა
ვერ ვიტყვი რომ ისინი ტკივილს იზიარებენ
ან აჩვენებენ ეს ფოტოებსაც არ შეუძლია
საიდანაც ანათებენ მკვდრების მზერები
ყავარჯნები მათ გროვაში კიდურების პროთეზები
მოწმობენ და სათვალეები მოწმობენ და
ჩემოდნები ბავშვთა ბაჩები გერმანელი ტურისტები

ამ სასცენო დადგმაში რადაც გადაიქცა ოსვენციმი
ასოები მის ჭიშკარზე ჯერაც ანათებს
ჯერაც დიდად აწერია
ARBEIT MACHT FREI
ხოლო მის გვერდით HOTEL
და GASTRONOMIC BAR
ჰაერში იხსნება ადგილის სული
გულგრილი მისი მყოფობისადმი
მსგავსად სხვათა აჩრდილებისა
ბიძა გლოვობს
ქუთუთოები უყავისფრდება
თვალი მენჯის ძვლიდან გამოსდის
ეს კაცია რომლის ტანიც
კიბორჩხლისაა
ნაწლავები გარეთა აქვს გამოყრილი
ხოლო მისი ბავშვების ხორცი ვარდისფერია
და მისგან გარეთ გამოკიდული
მისი მუხლებზე აიწონა-დაიწონაა
მათთვის არ არის ჰოლოკოსტი
მხოლოდ ხურბნია
სიტყვა მხოლოდ მკვდრებისგან თქმული
რომ ამბობენ: ჩემი ხურბნი
ჩემ შვილთა ხურბნი
მხოლოდ ეს სიტყვა დაუშვა ლექსმა
იმიტომ რომ ის მათია
ის კივილის პრელუდიაა
ის შიგ აღწევს
ტრაკის ხვრელიდან
ნაწლავებში მიიკლაკნება
სანამ ყელიდან
არ ამოხეთქავს
ყვირილის სახით კივილის სახით

მისი კივილი არის რომ მარხევს
მოქვითინეს ოსვენციმში
და ლექსს მოსვლის ნებას რთავს იგი

მცირე სელექცია „სიწმინდის ტექნიკოსებიდან“

ამოარჩია და როთენბერგის წიგნში შესულ ვერსიებზე დაყრდნობით თარგმნა ირაკლი ყოლბაიამ

[ზუნი, ინდიელები]

[16]

მოდით, ამოდით კიბეზე; ყველანი შემოდით; ყველანი დასხედით.
ჩვენ ღარიბები, ღარიბები, ღარიბები, ღარიბები, ღარიბები ვიყავით,
როდესაც მოვედით ამ სამყაროში მწირი ადგილიდან,
სადაც წყლის სხეული დაშრა ჩვენი მსვლელობისთვის.
მიმოყრილი ღრუბლები ფარავენ დედამიწას.
ყველანი ოთხ-ოთხჯერ მოდით თქვენი წვიმებით:
დადაბლდით კიბის ძირამდე & გაშეშდით:
მოგვგვარეთ თქვენი წვიმები & დიადი წვიმები.
ყველა, ყველანი მოდით, ყველანი ამაღლდით, ყველანი შემოდით, ყველანი დასხედით.

[ალენ გინსბერგი] ულურუს სიმღერა

როცა წითელი გუბურა ივსება თევზები ჩნდებიან
როცა წითელი გუბურა შრება თევზები ქრებიან.
ყველაფერი რაც უდაბნოზეა ნაგები მტვრად იქცევა.
ელექტროკაბელები ტრანსმისია მავთულები
ჩამოგლეჯილი.
ხვლიკი ხალხი კლდიდან გამოვიდა.
წითელმა კენგურუ ხალხმა დაივიწყა თავისი სიმღერა.
მხოლოდ ოთხ ჩხირიან კაცს ძალუძს სიმფსონის უდაბნოს
გადაკვეთა.
ერთი წვიმა ფოთლებით ამწვანებს წითელ უდაბნოს.
წვიმის ერთი წვეთი იწყებს სამყაროს.
როდესაც წვიმა შრება, სამყაროს დასასრული დგება.

[კატო, ჩრდილოეთ კალიფორნია]

წყალი წავიდა ამბობენ. მიწა არ იყო ამბობენ. მაშინ წყალი
მხოლოდ, არა მთები, ამბობენ. ქვები არ იყო ამბობენ.
ხეები არ იყო ამბობენ. ბალახი არ იყო ამბობენ. თევზები
არ იყო ამბობენ. ირმები არ იყო მაშინ ამბობენ.
ცხენირმები არ იყო ამბობენ. დათვები არ იყო ამბობენ.
ავაზები არ იყო ამბობენ. მგლები არ იყო ამბობენ. დათვები
არ იყო ამბობენ. ხალხი წყალმა წაიღო ამბობენ. დათვები
წყალმა წაიღო ამბობენ. ავაზები წყალმა წაიღო ამბობენ.
ირმები წყალმა წაიღო ამბობენ. კოიოტები არ იყო მაშინ
ამბობენ. ყორნები არ იყო ამბობენ. ბუები არ იყო ამბობენ.
კაკაჩები არ იყო ამბობენ. ქორები არ იყო ამბობენ.
გულწითელები არ იყო ამბობენ. გნოლები არ იყო ამბობენ.
მწყერები არ იყო ამბობენ. ჩხიკვები არ იყო ამბობენ.
იხვები არ იყო ამბობენ. სვავები არ იყო ამბობენ. ყანჩები
არ იყო ამბობენ. ბუკიოტები არ იყო ამბობენ. ტყისქათმები

არ იყო ამბობენ. კოდალები არ იყო ამბობენ. ტოროლები არ იყო ამბობენ. მაშინ მიმინოები არ იყო ამბობენ. მაშინ კოდალები არ იყო ამბობენ. მაშინ თოლიები არ იყო ამბობენ. მაშინ ვარხვები არ იყო ამბობენ. მოლაღურები არ იყო ამბობენ. მაშინ ჯაფარები არ იყო ამბობენ. ბეღურები არ იყო ამბობენ. მერცხლები არ იყო ამბობენ. ჭინჭრაქები არ იყო ამბობენ. ბულბულები არ იყო ამბობენ. მაშინ ყვავები არ იყო ამბობენ. მაშინ მელიები არ იყო ამბობენ. ველური კატები არ იყო ამბობენ. მაშინ წავები არ იყო ამბობენ. წაულები არ იყო ამბობენ. მაშინ ცხენირმები არ იყო ამბობენ. მაშინ კურდღლები, რუხი ციყვები არ იყო ამბობენ. მაშინ თრიები არ იყო ამბობენ. წითელი ციყვები არ იყო ამბობენ. ბურუნდუკები არ იყო ამბობენ. მაშინ ტყის ვირთხები არ იყო ამბობენ. მაშინ კენგურუ-ვირთხები არ იყო ამბობენ. მაშინ გრძელყურა თაგვები არ იყო ამბობენ. მგალობელი ფრინველები არ იყო ამბობენ. მაშინ მტრედები არ იყო ამბობენ. მაშინ ბატები არ იყო ამბობენ. მაშინ რუხი წეროები არ იყო ამბობენ. მაშინ სინდიოფალები არ იყო ამბობენ. მაშინ ქარი არ იყო ამბობენ. მაშინ თოვლი არ იყო ამბობენ. მაშინ ყინვა არ იყო ამბობენ. მაშინ წვიმა არ იყო ამბობენ. მაშინ ჭექა არ ქუხდა ამბობენ. ხეები არ იყო როდესაც არ ქუხდა ამბობენ. არ თენდებოდა ამბობენ. ღრუბლები არ იყო ამბობენ. ნისლი არ იყო ამბობენ. არ ჩანდა ამბობენ. ვარსკვლავები არ იყო ამბობენ. ძალიან ბნელოდა.

„არსებობს გამეორების მნიშვნელოვანი საკითხი“ – გერტრუდ სტაინი

[გამეორება მართლაც ერთ-ერთი უმთავრესია იმათგან, რაც არქაულს / „პრიმიტიულს“, ანუ რიტუალურს და ავანგარდულს ერთმანეთთან აკავშირებს, იქნება ეს პოეზიაში, თუ შემოქმედებითი გამოხატულების სხვა

ფორმებში. გერტრუდ სტაინი ყველაზე რადიკალურია, ალბათ, ამ მიმართულებით, თუმცა მკითხველს ვურჩევ აგრეთვე შეხედოს, მაგალითად, პაულ ცელანის „სიკვდილის ფუგას“, რომელიც, სხვათა შორის, სულ პირველად სწორედ როთენბერგმა თარგმნა ინგლისურად;

მეორე მხრივ, ის, რაც გასათვალისწინებელია აქაც და სტაინთანაც (და მომდევნო, ძველსა თუ ახალ მაგალითებშიც), არის ალბათ თვით ***დასახელების*** *აქტი (naming - როგორც ამას როთენბერგი უწოდებს), რომელიც, შესაძლოა, არქეტიპული პოეტური ქმედება იყოს, რაც ალბათ იმას ნიშნავს, რომ სულ პირველი პოეტი სულ პირველი ადამიანი იყო, ადამი]*

[გერტრუდ სტაინი] მუცლის აწევა

აკოცე ჩემს ტუჩებს. აკოცა.
ისევ აკოცე ჩემს ტუჩებს აკოცა.
ისევ აკოცე ჩემს ტუჩებს ისევ და ისევ და ისევ აკოცა.
ბუმბულები მაქვს.
ნატიფი თევზები.
თუ ფიქრობ გარგრებზე. ჩვენ გველამაზებიან. არა მხოლოდ მათი ფერი, მათი თესლებიც გვხიბლავს. ცვლილებას ვხედავთ მასში.
რაღაც უჩვეულო მუცლის აწევაში.
ამაზე სალაპარაკოდ მოვედი.
ქიშმიში შევარჩიე ანუ მარცვლები მარცვლები კარგია.
შეიცვალე სახელი.
შეკითხვა და ბაღი.
წვიმს. ნურას იტყვი მასზე.
ჩემი ბავშვი ცომის გუფთაა. რაღაც მინდა ვუთხრა.
ცვილის სანთლები. ჩვენ ვიყიდეთ უამრავი ცვილის სანთელი. ზოგიერთი მოხატულია. ისინი არავის აუნთია.
ვარდებს არ ვახსენებ.
სწორედ.
მოკლედ.
შეკითხვა და კარაქი.
ვფიქრობ კარაქი მშვენიერია.
მუცლის აწევა ისეთი კარგია.
მუცლის მსუქნად აწევა.
ჰო საოცრებაა.
შენ გინდოდი.
ისევ თქვი.
მარწყვი.
აწევა მუცლის გვერდით.

აწევა მუცლის სათნოდ.
მიმღერე ვამბობ.
ზოგი ცოლია და არა გმირი.
აწევა მუცლის მხოლოდ.
მიმღერე ვამბობ.
მუცლის აწევა. მოსაზრება
მუცლის აწევა იკრავს მეტ პრიზებს.
შესაფერია.
ქუდი მოვირგე.
მოსაფერებლად.
შენ გეფარება.
რა თქვი ჩემს მოსატევებლად. რთული ფურცელი და
მიმოფანტული.
მუცლის აწევა ისე სათნოა.

[აცტეკური] განსაზღვრებები

სოკო
მრგვალია, დიდი, როგორც მოჭრილი თავი.
სარკის ქვა
მისი სახელი არსაიდან მოდის. ის მაღაროებში მოიპოვება; მისი მოტეხა შეიძლება. ამ სარკის ქვათაგან ერთი თეთრია, ერთი შავი. თეთრი — კარგია შიგ ჩასახედად: სარკე, წმინდა, გამჭვირვალე რამ. მას დიდგვაროვნების სარკე უწოდეს, მმართველების სარკე.
შავი — არაა კარგი. ის არაა შიგ ჩასახედად; მასში კარგი არ გამოჩნდები. ისაა (ასე ამბობენ), რომელიც სახეს ებრძვის. როცა ვინმე ასეთ სარკეს იყენებს, მისგან მოჩანს დაბრეცილი პირი, დასიებული ქუთუთოები, სქელი ტუჩები, დიდი პირი. ამბობენ რომ უშნო სარკეა, სარკე, რომელიც სახეს ებრძვის.
ამ სარკეთაგან ერთი მრგვალია; ერთი გრძელია; მას *აკალტეცკატლს* უწოდებენ. ეს სარკის ქვები მაღაროებში მოიპოვება, შეიძლება მათი გაპრიალება, დამუშავება.
მე ვამზადებ სარკეს. მე ვამუშავებ მას. მე მას ვამსხვრევ. მე გამომყავს ის. მე მას ვხეხავ. მე მას ქვიშით ვაპრიალებ. მე მას წმინდა სახეხი ქვიშით ვაპრიალებ. მე მას ღამურის მძღნერის წებოს ვუსვამ. მე მას ვამზადებ. მე მას თხელი ლერწმით ვაპრიალებ. ის ბზინავს. მე ჩემს თავს ვხედავ სარკეში. იქიდან მოვჩანვარ ჩემსავე სარკეში; მასში ვტკბები ჩემი თავით.
გამოქვაბული
ის გრძელია, ღრმა; ის ვრცელდება, იშლება, ვიწროვდება. ის შეკუმშული ადგილია, შევიწროვებული ადგილი, გამოღრუტნული ადგილი. ის ქმნის გამოცარიელებულ ადგილებს. მასში არის გაუხეშებული ადგილები; მასში

არის ხორკლიანი ადგილები. ის საშიში, შემზარავი ადგილია, სიკვდილის ადგილი. მას სიკვდილის ადგილი ჰქვია, რადგან მასში არის სიკვდილი. ის სიბნელის ადგილია; მასში აბნელებს; მასში სულ სიბნელე დგას. ის პირღია დგას, პირღიაა. ის პირღიაა, პირმოკუმულია. მას აქვს პირები, რომლებსაც შიგნით შეჰყავხარ.
მე გამოქვაბულში ვათავსებ ჩემს თავს. მე შევდივარ გამოქვაბულში.
უფსკრული
ის ღრმაა — რთული, საშიში ადგილი, სიკვდილის ადგილი. ის ბნელია, ის ნათელია. ის უფსკრულია.

[დევიდ ანტინი] განსაზღვრებები მენდისთვის

(ფრაგმენტი)

დანაკარგი არის მნიშვნელობის გაუთვალისწინებელი
შემცირება ან გაქრობა, რომელიც შემთხვევითობიდან
მომდინარეობს
მნიშვნელობა არის ქმედითობა არის ძალა არის
ბრწყინვალება
აგრეთვე ის არის ხანგრძლივობა
რამის დაკარგვა გასაღებების თმის ვინმეს
გაფიქრება გვტკენს
ის უმყოფოდ წარმოსახვითად ყალბად იქცა
ცრუ გასაღები არ გააღებს ნამდვილ კლიტეს
ცრუ თმა არ გაჭაღარავდება
მენდი არ დაბრუნდება
მაგრამ ლტოლვა წარმოსახვითი არაა
ჩვენ ჩვენს თავებში უნდა დავეშვათ
იატაკზე რომელიც წარმოსახვითი არაა
სადაც შიმშილი ცხოვრობს და სწყურია
შიმშილი წარმოიდგინე პური წყურვილი წარმოიდგინე
წყალი
ჭიქა წყალი იატაკზე ეცემა
წყურვილი უდაბნოა
მნიშვნელობა ჭიქა წყალია
დანაკარგი ძირს დაცემული წყლიანი ჭიქაა
დანაკარგი არის წყლის ჭიქის გაუთვალისწინებელი
შემცირება ან გაქრობა, რომელიც შემთხვევითობიდან
მომდინარეობს
ჭიქა ჭიქის ნატეხები
იატაკი არის შემთხვევითობა

იატაკი არის იატაკი
არის შემთხვევითობა
დამზადებული ხისგან
ცეცხლი არის შემთხვევითობა
პური იწვება
წვა არ არის შემთხვევითობა
მკვდრების მყოფობა წარმოსახვითია
არყოფნა ნამდვილია
ამიერიდან ეს მისი გამოჩენის წესი იქნება
ასე ჩნდება ნარინჯისფერ ქურთუკში და სამუშაო შარვალში
და ლურჯ პერანგში
მისი თმა შავია მისი თვალები შავია
და ლურჯი კიბორჩხალა კბენს მის გრძელ თითებს
ის ცდილობს პური დაიჭიროს
ცდილობს პირთან წყალი მიიტანოს
მისი პირი უდაბნოა
წყლიანი ჭიქა არ მივა
წყლიანი ჭიქა მის თითებს უვარდება
იატაკი ხისგანაა დამზადებული ის იწვის
ის ჭიქის ნატეხებითაა დაფარული
რომლებიც შემთხვევითობიდან მომდინარეობენ
მისი სახე საათის ჩაბნელებული სახეა
ის რადიუმითაა მონიშნული
ჭიქა ეცემა მისი სახიდან
საათი სახე რომელშიც სალამანდრაა
რომლის თვალებიც რადიუმით ანათებენ
რადიუმი არის მნიშვნელობა რომელიც მარად მცირდება
რადიუმი არის მნიშვნელობა რომელიც მარად ქრება
რკინა აგრეთვე მნიშვნელობაა
მაგრამ ის ნაკლებად ანათებს ვიდრე რადიუმი
დანაკარგი არის მნიშვნელობის გაუთვალისწინებელი
შემცირება ან გაქრობა, რომელიც შემთხვევითობიდან

მომდინარეობს
მნიშვნელობა არის ქმედითობა არის ძალა არის
ბრწყინვალება
აგრეთვე ის არის ხანგრძლივობა
თუ არის აქ საკმარისი მდუმარება წყლის ჭიქისთვის
თუ ბნელა საკმაოდ პურისთვის

[უიტოტო, კოლუმბია] შესაქმე

თავდაპირველად სიტყვამ წარმოშვა მამა.
ლანდი, მხოლოდ ლანდი არსებობდა თავდაპირველად: მამა შეეხო ილუზიას, შეიგრძნო რაღაც იდუმალი. არაფერი არსებობდა. სიზმრის მეშვეობით ჩვენმა მამამ, ნაი-მუ-ენამ სხეულთან დაიჭირა ზმანება, და დიდხანს და ღრმად ჩაფიქრდა.
არაფერი არსებობდა, თუნდაც ჩხირი ხილვის დასაკავებლად: მამამ სიზმრის ძაფს გამოაბა მოლანდება და თავისი სუნთქვის დახმარებით დაიჭირა ის. მან ჩაყვინთა, რათა ზმანების ფსკერზე ჩაეღწია, მაგრამ იქ არაფერი იყო. არაფერი არსებობდა.

მერე მამამ კვლავ მოსინჯა იდუმალების ფსკერი. მან სიზმრის ძაფს გამოაბა ცარიელი მოლანდება და ზედ ჯადოსნური ნივთიერებები დააწურა. შემდეგ, სიზმრის მეშვეობით, მან ის მოიხელთა, როგორც ნედლი ბამბის კონა.
შემდეგ მან მოიხელთა ზმანების ფსკერი და აბაკუნა და აბაკუნა მასზე ფეხი, მჯდარმა, ბოლოს და ბოლოს, თავის საოცნებო მიწაზე.
ახლა მიწა-ზმანება მისი იყო, მან განმეორებით აფურთხა ნერწყვი, რომ ხეები გაზრდილიყვნენ. შემდეგ ის გაწვა თავის მიწაზე და ის ზეცის სახურავით გადაფარა. რადგან ის იყო მიწის პატრონი, ლურჯი და თეთრი ცა მოათავსა მის თავზე.
მაშინ რაფუ-ემა, ის, რომელსაც მოთხრობა აქვს, მჯდარი ცის ძირას, ჩაფიქრდა და შექმნა ეს ამბავი, რათა ჩვენ შეგვეძლოს მისი მოსმენა დედამიწაზე.

[პესტოჰომუჰკატი, მეინი] ვარსკვლავები

რადგან ჩვენ ვარსკვლავები ვართ. რადგან ვმღერით.
რადგან ჩვენი სინათლით ვმღერით.
რადგან ცეცხლის ჩიტები ვართ.
რადგან ცის სიგანეზე ვშლით ფრთებს.
ჩვენი ნათელი ხმაა.
ჩვენ გზა გაგვყავს სულისთვის
სიკვდილში მისი მოგზაურობისთვის.
რადგან სამი ჩვენგანი მონადირეა.
რადგან ეს სამი დათვზე ნადირობს.
რადგან არასდროს ყოფილა ჟამი
როცა ეს სამი არ ნადირობდა.
რადგან ზიზღით ვუყურებთ მთებს
ეს ვარსკვლავების სიმღერაა.

[გერტრუდ სტაინი] თეთრი მონადირე

თეთრი მონადირე ლამისაა გაგიჟდეს.

[ქრისტოფერ სმარტი] Jubilate Agno (ფრაგმენტი)

რადგან ყვავილთა გაორმაგება მებაღის ნიჭის გამრავლებაა.
რადგან ყვავილები დიდი წყალობაა.
რადგან უფალმა ყვავილების კონა თავისი ხელობით შექმნა მდელოში და ხოტბა შეასხა შროშანს.
რადგან არ არსებობს სიმაღლე სადაც ყვავილები არ არიან.
რადგან ყვავილებს დიდი სათნოება აქვთ ყველა გრძნობისთვის.
რადგან ყვავილი ღმერთს ადიდებს და ფესვი უტევს მოწინააღმდეგეს.
რადგან ყვავილებს თავისი ანგელოზები ჰყავთ, ღვთიური ქმნილების სიტყვებიც კი.
რადგან ყვავილების ქარგას მარად მოძრავი სულები ქსოვენ.
რადგან ყვავილები კარგია მკვდრებისთვისაც და ცოცხლებისთვისაც.
რადგან ყვავილების ენა არსებობს.
რადგან ყვავილების აზრი საღია.
რადგან ნატიფი ფრაზები ყვავილებია მხოლოდ.
რადგან ყვავილები სწორედ ქრისტეს პოეზიაა.
რადგან ყვავილები სამკურნალოა.
რადგან ყვავილები მუსიკალურია ოკულარული ჰარმონიისთვის.
რადგან ყვავილების ნამდვილი სახელები ჯერაც სამოთხეშია. მებაღე ღმერთის ნომენკლატორია.
რადგან წირვისთვის ჯობს, მხოლოდ ზოგიერთი ფსალმუნი იკითხებოდეს.
რადგან ა სწავლის დასაწყისი და სამოთხის კარიბჭეა.

რადგან ბ ბევრი და ხმაურიანია.
რადგან გ გართული და გარეულია.
რადგან დ დაბლაა.
რადგან ე არის ერთადერთი — ასეთია ცალკე აღებული ინგლისური ასოების ძალა.
რადგან ვ ვნებაა.
[...]
რადგან უმეცრება ცოდვაა, რადგან ცოდნა ლოცვაში მოდის.
რადგან ყვავილები ხედავენ, და პაპის მიხაკები მას იცნობდნენ.
რადგან სახის პარსვა მამათმავლების მოგონილია, რათა კაცები ქალებს დამსგავსებოდნენ.

[აცტეკური] ყვავილების მიძღვნა

მე გავცემ ყვავილებს. მე ვთესავ ყვავილებს. მე ვრგავ ყვავილებს. მე ვაგროვებ ყვავილებს. მე ვკრეფ ყვავილებს. მე ვკრეფ სხვანაირ ყვავილებს. მე ვაშორებ ყვავილებს. მე ვეძებ ყვავილებს. მე გავცემ ყვავილებს. მე ვალაგებ ყვავილებს. მე ძაფზე ვასხამ ყვავილებს. მე ძაფზე ვაცვამ ყვავილებს. მე ვამზადებ ყვავილებს. მე ვქმნი მათ ფართოდ, უსწორმასწოროდ, მრგვალად, ყვავილების მრგვალ თაიგულებს.
მე ვამზადებ ყვავილის ყელსაბამს, ყვავილწნულს, ყვავილის ქაღალდს. მე მათგან სამკაულს ვამზადებ. მე რაღაცას ვყნოსავ. მე მათ ვყნოსავ. მე ვინმეს ვაყნოსინებ რამეს. მე მას ვაყნოსინებ. მე ვინმეს ვთავაზობ ყვავილებს. მე მას ვაძლევ ყვავილებს. მე მას ვუძღვნი ყვავილებს. მე ყვავილებით ვამარაგებ ვინმეს. მე ვინმეს ვუძღვნი ყვავილების ყელსაბამს. მე მას ვუძღვნი ყვავილის ყელსაბამს. მე ვინმეს ვახურავ ყვავილწნულს. მე მას ვუძღვნი ყვავილწნულს. მე ვინმეს ვმოსავ ყვავილებით. მე მას ყვავილებით ვმოსავ. მე ვინმეს ვანადგურებ ყვავილებით. მე ყვავილებით ვანადგურებ მას. მე ყვავილებით ვაზიანებ ვინმეს. მე ყვავილებით ვაზიანებ მას.
სასმლით, საჭმლით, ყვავილებით, თუთუნით, ოქროთი, ყვავილებით, სიტყვებით. მე მას ვატყუებ, მე ვამბობ „მე ყვავილებით ვეფერები მას. მე ვინმეს ვაცდუნებ. მე გრძელი სიტყვით მივმართავ ვინმეს. მე მას სიტყვებით ვარწმუნებ“.
მე ვინმეს ვაძლევ ყვავილებს. მე ვამზადებ ყვავილებს ან ვაძლევ ვინმეს, რომელიც ლხინის დღეს შეინახავს. ანდა უბრალოდ განვაგრძობ გაცემას, ვინმეს თავში ვათავსებ

ყვავილებს, ვინმეს ხელს ვთავაზობ ყვავილებს. ან ყელსაბამს ვაძლევ ვინმეს, ან ვინმეს ყვავილწნულს ვაძლევ.

[ჩეროკი] მკვლელი

ფრთხილად: ჩემი დანა შენს სულს ხვრეტს
მისმინე, რაცარუნდაგერქვასშენ
მგლის ხალხთაგან ერთ-ერთო
მისმინე მე შენს ნერწყვს ჩავფლავ მიწაში
მისმინე მე შენს ძვლებს დავფარავ შავი კაჟით
მისმინე “ “ “ “ “ “ “ “ “ “ ბუმბულები
მისმინე “ “ “ “ “ “ “ “ “ “ ლოდები
რადგან შენ მიდიხარ იქ სადაც ცარიელია
შავი სამარე იმ მთაზე
მისმინე შავი მიწა დაგმალავს, გიპოვის
შავ ქოხს
იქ სადაც ბნელა, იმ ქვეყანაში
მისმინე ყუთი მომაქვს შენი ძვლებისთვის
შავი ყუთი
კუბო შავი კენჭებით
მისმინე შენი სული იღვრება გარეთ
მისმინე ის ლურჯია

*[აქ და დაბლა, მხილველურ ასპექტს ემატება ერთი, ძალიან საინტერესო უნარი თუ თვისება, რომელსაც, შეიძლება, პირობითად **ფერწერა** ვუწოდოთ; აქ ვფიქრობ განსაკუთრებით მნიშვნელობაზე, რომელიც ავანგარდულ ხელოვნებაში შეიძინა სინესთეზიამ (იფიქრე კანდინსკის ფერთა თეორიაზე); პოეტიკაში, მსგავსი უნარის ემბლემური გამოხატულება ალბათ არტურ რემბოს „ხმოვნებია“, ან ფედერიკო გარსია ლორკას „მთვარეული ბალადა“ („მწვანე მწვანე მე შენ მინდიხარ მწვანე“...)]*

[დაიან ვაკოსკი] ლურჯი ორშაბათი

ლურჯი მძივთა გროვების ჩაღვრილი მის ძუძუებში
და ურთიერთმოკაკუნე მის იდაყვებთან;
ლურჯი აბრეშუმის
შროშანის ქალაქს რომ ფარავს ღამით;
ლურჯი მისი კბილების
ცივ ტოსტს რომ კბენენ
და იმსხვრევიან ქუჩებში;
ლურჯი შეღებილი გვირგვინის ფურცლების ოქროსფერ
მტვრიანა
ენაგადმოკიდებული
მისი კაბის ღობეზე
ოპერაში/ოპალი შეკრული მის ტუჩქვეშ
და მთვარე გამსკდარი მის თავზე როგორც
სისხლად წითელი ხვლიკების ღვარი.
[...]
შენ ღებავ ჩემს სხეულს ლურჯად. აივანზე
ფაფუკ ტალახიან ღამით, შენ მღებავ
ღამურის ფრთებით და კრისტალით
კრისტალი
კრისტალი
კრისტალი შენს ხელში ღამეს
ჭრის, კეცავს აბანოზის ვეშაპის კანს
და ჩემი სახე, ლურჯი ახალი შაშხანების,
და ჩემი კისერი, ლურჯი ეგვიპტის,
და ჩემი ძუძუები, ლურჯი ქვიშის,
და ჩემი მკლავები, ლაფან-ლურჯი,
და ჩემი მუცელი, დარიშხანა;
ელექტრობა წვეთავს ჩემგან როგორც ნაღები;
მდის სიყვარული რომელსაც ვერ გამოვიყენებ — როგორც

აკაცია
ან ჟაკარანდა — ნაცვენი ლურჯი & ოქროსფერი ყვავილები,
ქუჩაში გასრესილი.
[...]
რომ შემეძლოს კიდევ ერთი ბოლო სიმღერა ვიმღერო
მორაკრაკე წყლით ჩემს ტუჩებს შორის
ვიმღერებდი ყელგახლეჩილი,
ლურჯი საუღლე ვენა ამოხეთქავდა ამ შავ აჩრდილ პულსს
და ჩემს ტუჩებზე
გავაჩერებდი ვულკანურ ლოდს
ამოცარიელებულს ჩემი ვენებიდან. ბოლოს და ბოლოს
ჩემი ბავშვები ამოხდილი
ჩემი სხეულიდან. ბოლოს და ბოლოს ჩემი სისხლი
გამყარებული და ოკეანეში ჩაგორებული.
ის ლურჯია.
ის ლურჯია.
ის ლურჯია.

[ბიტაჰატინი, ნავახო] ღამის სიმღერა

ღმერთების საუფლოში
განთიადისგან ქმნილ სახლში
საღამოს მწუხრისგან ქმნილ სახლში
შავი ღრუბლისგან ქმნილ სახლში
წვიმისა და ნისლისგან, ყვავილის მტვრისგან,
კალიებისგან ქმნილ სახლში
სადაც ბნელი ნისლი ფარდებად ედება კარებს
გზა რომლისკენაც ცისარტყელაზეა
სადაც კლაკნილი ელვა დგას კენწეროში
სადაც მამრი წვიმა დგას კენწეროში

ო მამრო ღვთაება
შენი შავი ღრუბლების მოკასინებით, მოდი ჩვენთან
შენი შავ ღრუბელში გახვეული გონებით, მოდი ჩვენთან
შავი ჭექა-ქუხილით შენს თავზე, მოფრინდი ჩვენთან
გამოყვანილი ღრუბლებით შენს ფერხთით, მოფრინდი ჩვენთან
შავი ღრუბლით ქმნილი შორი სიბნელით შენს თავზე, მოფრინდი ჩვენთან
წვიმისგან და ნისლისგან ქმნილი შორი სიბნელით შენს თავზე, მოფრინდი ჩვენთან
შენს თავზე მაღლა გადაჭიმული კლაკნილი ელვით
შენს თავზე მაღლა გამოკიდული ცისარტყელით
წვიმისგან და ნისლისგან ქმნილი შორი სიბნელით შენი ფრთების ბოლოებში, მოფრინდი ჩვენთან
კლაკნილი ელვით, გამოკიდული ცისარტყელით შენი ფრთების ბოლოებში, მოფრინდი ჩვენთან

წვიმის და ნისლის ბნელი ღრუბლისგან ქმნილი შორი თითქმის სიბნელით, მოდი ჩვენთან

სიბნელით დედამიწაზე, მოდი ჩვენთან

ამათით ვნატრობ ქაფს მოტივტივეს დიადი ხორბლის
ფესვების თავზე მდინარე წყლებზე
მე გავიღე შენი შესაწირი
მე გავამზადე ბოლი შენთვის
ჩემი ფეხები აღდგნენ ჩემთვის
ჩემი კიდურები აღდგნენ, ჩემი სხეული აღდგა, ჩემი გონება
აღდგა, ჩემი ხმა აღდგა ჩემთვის
დღეს, გამოიღე შენი გრძნეულება ჩემთვის

ჩემგან შორს წაიღე შენ იგი
ჩემგან შორსაა წაღებული
ჩემგან შორს ქმენი

სიხარულით მე ვჯანმრთელდები
სიხარულით ვგრილდები

ჩემს თვალებს უბრუნდებათ ძალა, ჩემი თავი გრილდება,
ჩემი ფეხები აღიდგენენ ძალას, მე კვლავ მესმის

სიხარულით მერთმევა გრძნეულება
სიხარულით დავიარები, ტკივილგამძლე დავიარები,
შიგნიდან სინათლით სავსე დავიარები, ლაღად დავიარები

უხვი ბნელი ღრუბელი მსურს
მცენარეული სიუხვე მსურს
ყვავილის მტვრის სიუხვე, უხვი ნამ-ცვარი მსურს

დაე სიხარულით მოვიდეს შენთან მაამებელი თეთრი
ხორბალი და გამოგყვეს დედამიწის ბოლოებამდე
დაე სიხარულით მოვიდეს შენთან მაამებელი ყვითელი
ხორბალი, მაამებელი ლურჯი ხორბალი, ყველა სახის
მაამებელი ხორბალი,
ყველა სახის მცენარეები, ყველა სახის საქონელი, ყველა

სახის ძვირფასი თვლები, გამოგყვნენ დედამიწის ბოლოებამდე

[...]

მშვენებაში მივდივარ
მშვენებით ჩემს წინაშე
მშვენებით ჩემ ზურგსუკან
მშვენებით ჩემ თავსზემოთ
მშვენებით ჩემ თავსზემოთ და გარშემო დავდივარ
მშვენებაში აღესრულება
მშვენებაში აღესრულება

2. პოეზია

თამუნა ანტიადამიანი ჭყოიძე

დებიუტი

*** * * (ურთიერთობები...)**

ურთიერთობები
სკამების
მაგიდების
მერხების
ფანჯრის რაფების
ქვეშ მიკრულ
საღეჭ რეზინებს ჰგვანან
ღეჭავ
ღეჭავ
ღეჭავ
ღეჭავ
ღეჭავ
იქამდე ვიდრე
კარგი გემო აქვთ
ვიდრე მათგან ბუშტების გაბერვაა შესაძლებელი
ან მოგუდული გატკაცუნება
ენის ჩაბრუნებული მოძრაობით
მერე კი
მიიხედავ
მოიხედავ
და სადმე მიაკრავ
არც ურნაში ჩააგდებ
არც ქუჩაში დააგდებ
არც გადააგდებ
არიან ასე მიწებებულები
წლების განმავლობაში
ვერც ვერავინ ამჩნევს
არც არავინ იცის მათი არსებობის შესახებ
თუ სრულიად შემთხვევით

დამლაგებელმა არ იპოვნა
უხერხული სიტუაციისგან გულშეწუხებულმა სტუმარმა არ
ააფათურა თითები ფანჯრის რაფაზე
თუ შენ პატარა შვილს სათამაშო არ შეუგორდა მაგიდის
ქვეშ
და გამოღებისას თავი არ მიარტყი
იმ ადგილს სადაც ერთ დროს "დაბერებული" საღეჭი
რეზინა მიაწებე
თვალებს მოჭუტავ
ნატკენ ადგილს ხელით მოსინჯავ
ჭუჭყისგან გაშავებულ
გამომშრალ
გამაგრებულ მასალასაც იმავე ხელით შეეხები
გაგეღიმება
ეცდები გაიხსენო
რომელი იყო
როდინდელი
როგორი არომატით
მაგრამ რა თქმა უნდა
ვერაფრით გაიხსენებ
ან რატომ უნდა გაიხსენო
საღეჭი რეზინების მეტი რა არის
და არა მარტო საღეჭი
რეზინებიც უამრავია
დაღეჭვაც ბევრი რამის შეიძლება
არ არის აუცილებელი რეზინა იყოს
ოღონდ იყოს
რამე
თუნდაც დასაღეჭი

დავუშვათ რომ ვცხოვრობთ

წამოდი “ნამდვილი“ ცხოვრება გაჩვენო
ნამდვილი და არა ზუსტი
მე არ მინდა რომ შენ ხედავდე უშეცდომოდ
სხვისი გამოცდილების ხარჯზე სპეკულირებით
წუთებს აგროვებდე
“დრობუსში“ საათის ანაბარი გახსნა და
155 წლის ასაკში ბედნიერებისგან გაკოტრდე
არ დაიჯერო რომ “იმ სხვებმაც“ ის განიცადეს
რასაც შენ განიცდი
როცა მათ გამოცდილებებს ჩაყლაპავ
არაფრის გემოს იგრძნობ
და თუ მაინც გაჯიუტდები
ყლაპე ყოველ დილით უგემოვნების ნერწყვები
რა საჭიროა იხელმძღვანელო გამოცდილი
ინსტრუქციებით
მხოლოდ იმიტომ რომ უშეცდომობა გარანტირებული
გქონდეს?
დავუშვათ
ყველა ადამიანი გამოცდილებით ცხოვრობს
და ბედნიერია
მაგრამ ბედნიერია ყველა ვინც გამოცდილებით
ცხოვრობს?
თუ ერთი ადამიანი მაინც არის უბედური
ცდა არაზუსტია
წამოდი და მე გაჩვენებ რომ
დედამიწა იმხელაა
რამხელაც შენ გინდა რომ იყოს
შეიძლება წლების მატებასთან ერთად
გაფართოვდეს ან შეიკუმშოს

მაგრამ ამას მხოლოდ შენ აღმოაჩენ
წამოდი და არაზუსტად ვიაროთ
დავუშვათ რომ ვცხოვრობთ

ფურთხი

რა კარგი იქნებოდა აქლემი რომ ვყოფილიყავი
ზურგზე ამობურცული კუზივით მეყვარებოდი –
რომ ვერ ვხედავ, მაგრამ ვიცი ჩემი სხეულის
განუყოფელი ნაწილია და მსიამოვნებს,
რომ ჩემია და ჩემშია,
როგორც ფურთხის წელვადი გუნდა.
რა იქნებოდა აქლემი რომ ვყოფილიყავი?
კუზში დავიგროვებდი მთელი წლის სამყოფ
დარდსა და წყენას და ყოველდღე გაგიღიმებდი.
ვერავინ მაიძულებდა მელაპარაკა და ნაცოხარი ამომეღო
მანამ, სანამ არ მომბეზრდებოდა
ტუკებივით დაპრესილი სიტყვების გადმოფურთხება.
გადმოვაფურთხებდი და ჩემი სათქმელიც ეს იქნებოდა –
პირველი თოვლივით ფაფუკი ფურთხის უზარმაზარი
გუნდა.

გველისმჭამელი

მე გველისმჭამელი ვარ
მე ვერ ვხედავ
მე ვხედავთ
მე მრავლობითი რიცხვი ვართ
მე გვიხარია
როცა ქუჩაში ნამდვილ მათხოვარს ვხედავთ
და მე გვიხარია
როცა გვაგინებენ
გულწრფელად გვაგინებენ
მე ვდგავათ ავტობუსის გაჩერებებზე და ხელს ვუქნევთ
ღმერთს რომელიც მარტოა
რომელმაც გამოგვიგონა და რომელიც გამოვიგონეთ
მე მოგვწონს თამაში მარტოობანა
მე ყოველ ღამე დამალობანასაც ვთამაშობთ
თვალებს ვხუჭავთ და დილამდე ვითვლით
და ადამიანები იმალებიან საწოლებში
ზოგიერთები ვერ ახერხებენ დამალვას
ვერ პოულობენ სახლებს
ან არ აქვთ საწოლები
დღე ახალ თამაშს ვთამაშობთ
“ამის პატრონმა რა ქნას?”
პატრიოტი გახდეს და ფეხები დაიბანოს
სამშობლოს მიწაზე სუნიანი ფეხებით სიარული
მკრეხელობაა
ჩახედოს ქალს პირდაპირ მკერდში
კაცია და რა ქნას თვალი გაურბის
ამაზეა ნათქვამი: “თვალი მკერდის წილ...”
აიღოს მოსწავლის ბარათით სამგზავრო ბილეთი
მაინც ვერ შეამჩნევენ რომ ორი შვილის დედაა

ცხოვრებაში ერთხელ უღალატოს პრინციპებს და ნაგავი
ჩააგდოს სანაგვე ურნაში
წაიკითხოს 790 სიტყვიანი CV
და დაასაქმოს დაუსაქმებელს პირდაპირ თავზე
ამის პატრონმა რა ქნას?
გველის ხორცი შეჭამოს
მე არ გვიყვარს ხორცი
მე მე ვართ
მხოლობითშიც და მრავლობითშიც
მე პირველი პირი ვართ
და ოთხ წელიწადში ერთხელ
ქვეყნის პირველი პირიც
მე გვირჩევენ
სულ გვირჩევენ

თხამ ვენახი შეჭამა

მალთაშუა დისკოს ფიბროზული რგოლის გარღვევა
ნიშნავს რომ
მე დახრილი ვარ
დაახლოებით ისე როგორც პიზის კოშკი
შესაძლებელია "გადახრებიც" მაწუხებს
ამის შესახებ ჯერ ვერაფერს გეტყვით
მაგრამ არც თქვენთანაა უკეთესი მდგომარეობა
ჩემი გადახრილი გადასახედიდან
ყველანი დახრილები მეჩვენებით
და საერთო ჯამში ისე გამოვიყურებით
როგორც ერთმანეთის შიშველ სხეულებზე მცოცავი
ლოკოკინები
სველ წერილებს რომ ვტოვებთ ალაგ-ალაგ
ანტენებიანი რქებით ვიბღვირებით
მთელი ცხოვრება ზურგზე აკიდებულ
მამაპაპისეულ სახლებს დავათრევთ
და იმ სახლების "ზალაში" ვკვდებით
სადაც კუბოს გატანის შემდეგ ქელეხის სუფრას
შემოვუსხდებით
და ვიხსენებთ თუ როგორ ვიქეცით ლოკოკინებად
როგორ გადაიხარა ჩვენი ხერხემალი
გადატყდა
და მიწამ შეჭამა
მოდით ვნახოთ მიწა
რამ შეჭამა მიწა?
რა ერქვა გარდაცვლილის მამას?
მეხუთე ჭიქას ფეხზე ადგომით ვსვამთ
ძვლები ძაღლებს გადაუყარეთ
შენ გენაცვალე

ფლავი ცივი იყო
ხაშლამა მლაშე
ბლუ
ბლუ
ბლუ
ბუ

წერტილი

ერთ პაწაწინა წერტილზე ვდგავარ
რომელიც იმდენად პატარაა
რომ თუ ფრთხილად არ ვიქნები
შეიძლება გადავვარდე
და ნეკნები დავილეწო
მაგრამ საქმე იმაშია რომ
მისი უდიდებულესობა წერტილი
არ მაძლევს დალეწვის საშუალებას
მარცხენა ტერფზე მახატია
შავია და ხალია
რა უცნაურები არიან წერტილები
სადაც უნდათ იქ იზრდებიან
აბა ცხვირი კი არ ამოგივა ადამიანს ნებისმიერ ადგილას
არც პირი
არც ყურები
არც ძუძუები
და არც ძუძუს თავები
მხოლოდ წერტილებს აქვთ სრული თავისუფლება
ყოვლისშემძლე თმასაც კი არ შეუძლია ფეხის გულზე
ამოსვლა

*** * * (ქარო...)**

ქარო
ნუ წაიღებ ცელოფნებს ტყეში
დატოვე კორპუსების წინ
ნაგვის ურნებთან
მაღაზიის ვიტრინებთან
ბაზრის დახლებთან
ნუ შეგვარცხვენ ტყეში მისულებს
ნუ მოგვცემ უფლებას გავიხსენოთ
თუ რა მნიშვნელოვანია პოლიეთილენი ადამიანის
ცხოვრებაში
ქარო
ვიცი რომ გესმის ჩემი
მეც მესმის ხოლმე შენი ზუზუნი
ნუ მოვატყუებთ ერთმანეთს
შენ შენი ნაგავი წაიღე
ჩვენ ჩვენსას მივხედავთ
თორემ მილიონი წლის შემდეგ
როცა სამუდამოდ გაქრება ინტერნეტი
განადგურდება ყოველგვარი ვიდეო და აუდიო ჩანაწერი
ხმოვანი სიგნალი თუ ფოტოსურათი
დედამიწას კი უცხოპლანეტელები დაეპატრონებიან
ნამარხებში აღმოაჩენენ ცელოფნის გაურწნელ გვამებს
პლასტმასის ბოთლებს
თეფშებს
სათამაშოებს და იფიქრებენ რომ
პოლიეთილენი იყო ერთადერთი ცოცხალი არსება მზის
სისტემაში
რომლებმაც ჩონჩხები მოიშინაურეს
ქარო

შენი საქმე არ არის არც
პოლიტიკა
არც საზოგადოება
არც სამართალი
მითუმეტეს ნარკოტიკი
ლგბტ-თა უფლებები
ბავშვები
ლოთები
პანჩურამორტყმული კატები და ძაღლები
ჩვენ უშენოდაც მოვაგვარებთ ყოფით პრობლემებს
პლურალურ სამყაროში
ოღონდ შენ ცელოფნებს არ გაეკარო

* * * (სად მიდიან მეტასტაზები გაქრობის შემდეგ...)

სად მიდიან მეტასტაზები გაქრობის შემდეგ?!
ბავშვობაში მეუბნებოდნენ თმას რომ დაივარცხნი და
გარეთ გადაყრი
ჩიტები დაიჭერენ და ბუდეების ასაშენებლად
გამოიყენებენო
ჰოდა იქნებ მეტასტაზებიც
ჩიტებს მიაქვთ ბუდეების ასაშენებლად
და ასე აწყობენ ჩვენი თმითა და ტკივილებით
ფუმფულა სახლებს
ჩვენ კი ვრჩებით მელოტები და სრულიად ჯანმრთელები
კანზე მიმხმარი ფერადი ლაქებით
და ვოცნებობთ გადავიქცეთ ჩიტებად
რომლებიც დაფრინავენ
ღრუბლიან ცაზე
მზიან ცაზე
ნისლიან ცაზე
ქარიან ამინდში
და სულ ფეხებზე კიდიათ
სიმსივნური წარმონაქმნებიც და გაცვენილი თმაც
მოკვეთილი მკერდიც და ამოჭმული საშოც
რაც მთავარია ჩიტებს ბუდეები აქვთ
ადამიანებს – ზამბარიანი საწოლები
სადაც ყოველ ღამე
საღეჭ რეზინებს ატკაცუნებენ სიბნელის ჩასაქრობად
დახუჭული თვალების ქვეშ კი
გუგულის ბუდეებს ბაგაბუგი გაუდით

ობობები

ობობები რთავენ აბლაბუდებს.
მთელი მათი ცხოვრება აბლაბუდაა,
სახლები აბლაბუდებია,
გზები – აბლაბუდას ქსელები.
სიყვარულიც ერთი დიდი აბდაუბდაა –
საცეცებით გადაცემული სპერმის წვეთები...
ობობებიც ასე ფიქრობენ ადამიანებზე.

ადამიანები

ზოგჯერ ადამიანებიც ჯდებიან
და როცა ჯდებიან
ჭირდებათ დატენვა
...
იყო დრო როცა
ბატარეის მაგივრად
ელემენტს იყენებდნენ
გადააგდებდი ძველ ელემენტს
ჩაიდებდი ახალს და მორჩა
საქმე მოგვარებული იყო
ახლა სულ სხვაგვარადაა
ადამიანებს ჭირდებათ დამტენი
არც შემცვლელი
არც სასმელი
არც სიგარეტი
არც შოკოლადი
არც მაკიაჟი
არც მანქანა
არც ტელეფონი
...
ერთჯერადი სუპივითაა ადამიანი –
თუ გახსნი
წასულია მისი საქმე

ოდნავ რომანტიკული ლექსი

ყოველთვის როცა მიწისკენ იყურები
ხედავ ფეხსაცმელს
რომელიც ჩემი რჩევით იყიდე
და გახსენდები
ყოველთვის როცა მიწისკენ ვიყურები
ვხედავ ფეხსაცმელს
რომელიც შენი რჩევით ვიყიდე
და მახსენდები
ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს დრო
ვიფიქროთ ერთმანეთზე
ჩემი ფეხსაცმლის ლანჩი
ჯერ ისევ ახალივით გამოიყურება
შენი ფეხსაცმლის ტყავი
ოდნავ მტვრიანია

* * * (იყო და არა იყო რა...)

იყო და არა იყო რა
მდგრადი განვითარების მეტი რა იქნებოდა
იყო ცარიელი ურნები
და სავსე ქუჩები
ადამიანები იზეპირებდნენ ფუნქციებს
ნივთები ბაძავდნენ ადამიანებს
ადამიანებმა განვითარების აპოგეას მიაღწიეს
და დადუმდნენ
როგორც იქნა
ტექნიკაც განვითარდა

* * * (პარანორმალური მოვლენაა მაგრამ...)

პარანორმალური მოვლენაა მაგრამ
შენობები აქრობენ სურვილებს
ცუდმა არქიტექტურამ შესაძლოა
გაანადგუროს ადამიანთა დაწყვილების
ყველა შესაძლო კომბინაცია
საფუძველი ჩაუყაროს ვერშემდგარ კავშირს
ან მოგტეხოს კისერი
თუ ქვემოდან ზემოთ აკვირდები
ჯერ კიდევ დაუსრულებელ ბეტონის ჩონჩხს
რომლის სილუეტიც
ბევრად უფრო ამაზრზენია სიბნელეში
განსაკუთრებით მაშინ როცა
ძალიან რომანტიკულ და სენსიტიურ ხასიათზე ხარ
და ფიქრობ რომ
ყველა გზა და პერსპექტივა
ფოთლების შრიალთან
და ჩიტების ჭიკჭიკთან მიგიყვანს
მაქსიმუმ
კედელთან აყუდებულ
არაპროპორციულად ჩახლართულ წყვილთან
რადგან ასეთ წყვილებში
როგორც წესი
ერთი მაღალია
მეორე დაბალი
ერთი მსუქანია
მეორე გამხდარი
ხოლო ‘‘ფერი ფერსა მადლი ღმერთსა‘‘ ბიჭები და გოგოები
რატომღაც არასდროს დადიან ქუჩებში
არ დგებიან ჩაბნელებულ კედელთან

და არ გამოხატავენ გრძნობებს საჯაროდ
ისინი წარმატებულად ზუსტად ჰგვანან
იმ შენებობს რომლის ძირშიც
ასევე წარმატებულად და ზუსტად
ანდომებენ მიწებებას

გიორგი ბუნდოვანი (გიორგი მორჩილი)

შეძახილი სააღდგომო!

მოსჩანს, როგორც მინარეთი ან მაიას პირამიდა,
ან სატურნის “ხულახუფი”, ბალერინის “პაჩკის” დარი...
მოსჩანს, ვით პოსეიდონი, აღმართული მდინარიდან,
დედამიწის თლილი ღერძი, ორბიტათა მონაგარი.

მოსჩანს ნაღმზე გაწოლილი ამ პლანეტის ცხელი ბირთვი,
აფეთქდება დაბადებად, სხვა სიცოცხლის კონსტრუქცია...
ჩაყინული უკვდავებად, ორგანიზმთა ჯარი – კირქვის,
– აპოკალიფტურად დავსძენ, სამყარო ხომ მოხუცია!

მზის სხივებში ირუჯება გალაქტიკის ოაზისი,
დალეწილი რუბიკონი – ოზონის შრე გახეთქილი...
არსებობის საიდუმლო, ეს ღიმილი მონა ლიზის,
მოსჩანს სახე შემოქმედის, ბარდ-ეკლისგან დაჩეხილი!..

კუბოების ლეგიონებს კუჭში იტევს მიწის ფაშვი.
სარკოφაგებში მუმიებს ეონები სიზმრად ღალავს...
და ბეთლემში მოვლენილი, ხარებიდან ქმნილი ბავშვი
– თვისი მეორედ მოვლენით – არმაგედონს გადაფარავს!..

საკრალური სინერგია

ფერთა კვეთა, სხივთა დაშლა და ჰაერთა ჰერალდიკა,
ერთადერთი, ფიქრთა წაშლა, მონაფერი ეგზოტიკა...
არნახული-დანახულით დანალექი სიო შთება,
ჩუმი ჩქამი ჩამიჩუმით ნაკადულთა სარკეს სწყდება!

იგვირისტებს მეწამულად დაკოკრილი იის სევდა,
მე მით ვტკბები, მით ვივსები, მიქარწყლდება მრუმე ელდა;
და ფიფქებით ნაფეთქები თეთრადკლული ზვავის ზარი
ბორგვა-ფორთხვით გადაფარავს, დამეხშობა ხედვის კარი.

სად სათუთად ისუსება შორ ხანძრების მწველი კერა,
სად სალმუნად მეფერება ამორძალთა მფრთხალი მზერა...
იქ მივიწევ, პოეზიით ვაფსალმუნებ სულის ხრიოკს,
ვემსგავსები ასკეზაში გამობრძმედილ მაშვრალ ინოკს...

და პეპლების და ნექტრების ჟრიამულში ვნათლავ ტკივილს,
ჩემი განცდა-მწუხარება ზეცისაკენ კრძალვით ივლის...
ტკბილ ფუტკრების ზუზუნია! ზანზარია სალ კლდეების,
მენატრება ჰარმონია სხივთმონაფერ სახეების.

– ცრემლთა ნამი, ვით ცუნამი, თვალებიდან მორწყავს ფრესკებს,
მე კი ერთი უმეცარი, შემოგწირავ ამ კნინ ლექსებს!..

პეიზაჟი

ამოიფურჩქნა, ამოიფრქვა, მზეებრ, ეს სუნთქვა,
სხივთამოფენით, გაზაფხულმა, აწვიმა ლოცვა
ქარების ამბორს, დამაქცევარს, მაგრამ ვნებიანს,
მე მირჩევნია იაგუნდთა გმირული ხოცვა.

მე ვუდარაჯებ, რახანია, ტყვედშთენილ სითბოს,
სითბოს და სევდას, მიმოქარგულს ხსოვნის კედლებზე...
და შემოვდივარ, მუხლმოყრილი, მონაზონივით,
და ვიხატები, ფრესკებივით, შენს მკრთალ ხელებზე.

სად კვამლის ტევრში, სად მოქანცულ, მკვდარ მიმოზებში,
დაკარგავ მრავლად იავარქმნილ უმანკოებას...
პილიგრიმს ვგავარ, გადასერილს, დანთქმულს
ქვესკნელად,
მღვიმის სიცივეს, სიმარტოვეს, ცვეთილ დროებას.

ხანდაზმულ ყოფას ქედს მოვუხრი საზარ კივილში...
მე კენტად გეტრფი, ამ ლექსების იდუმალ თრთოლვით;
ეს მარტიც კვდება, უსაშველოდ დამზრალი ქროლვით,
ეს ფიქრიც იწვის საუკუნოდ მარტვილ სინდისში.

აყვავილდება, ამოსკდება, მზეებრ, ეს სუნთქვაც
ცისარტყელებით, გაზაფხული ლოცვებით მოწვიმს.
ქარების ამბორს, დამაქცევარს სატრფოთა ხვედრის,
მე შევადარებ იაგუნდთა ათასფერ ქორწილს.

წყეული სამძიმარი...

მარადისობის ლაბირინთებს მიღმა, გარეშე დროის, სივრცის გარეშე
უსაფუძვლობის ჰიპერბოლა, თრიაქი სულთა და ცის ჰავერდი,
კრიალებს მზერა, რა ბასრია წარსულის ექო, რა ულმობელი...
ხეების ძირში ტლაპოებმა ფესვები ალპო. გასკდა ქვესკნელი
და მე უეცრად, არც მიგრძვნია, ისე დავბერდი.

გზებს წელავს ხავსი, ხავსს კი თრთვილი ანესტიანებს,
ციყვისთვალება, ენასველი, ფართხალა ბავშვი;
სიყრმის წამზომი წლების უკან ჩაჟანგდა მყარად!
მე ვიზმორები, დაუღლელი ალქაჯის დარად.

ტყეები სდუმან, ხან კი ქარში აღავლენენ წყეულ სამძიმარს...
სულ მარტოდმარტო, უსიერად, უსასოდ მარტო.
ამ დაბურულში, ამ წყვდიადში ტორტმანებს ფიქრი
და ვით სკაროსი, ოკეანის სადაფში მივქრი
ლაღი ფარვანა.

სიმულაციის პირმშო არ ვარ, არც ვარ კენტავრი.
საკრალურ ფერებს შეაგროვებს ჩემში მუსიკა,
ხარაბუზების აღლუმებით ჰაერთა მდევნი...
განტოტვილ ძარღვებს, ქსელებს მათგან, ბადეებს ნერვთა
მიმო დაანთხევს აბლაბუდად კოშმარულ ხეთა –
შიზოფრენია პარალელურ სამყაროების...

სხვა ენის გემო

სიცივე ხერხივით დახრიალებს სხეულის ყველა კუნჭულში,
ნორმატიული აქტივითაა ეს სიცივე, ჩემთვის;
მოსჯილი მაქვს ამტანობა; ქვა და რკინობაა ჩემი სტატუსი.
როგორც ლახტი, მიწისპირს ამათრახებს ეს ენა ურჩი...
ბევრი დამპირდა ჩიკორს, ჯილას და ზარის კენჭებს,
ბევრმა იმედის ჩისბურგერი ნაცრად მიქცია!..
არის არარა, ილუზია, მხოლოდ ფიქცია –
საამაყო-სამყარო მთელი!
ეს სულთა რთველი, უმაღლესი მაჭარი ზეცის, განა ღვინდება,
მთვარემ მუხლუხო მუზარადად აიკრა გარსზე,
მრეში ხველებით დედამიწას სურდო გადმოსდო.
ჩვილურ ნდობისებრ გამოვიშვერ მოხერხილ ხელებს,
ცრუ იავნანას წავუმღერებ კეთროვან ნერვებს.
როცა ხეებზე ბუდეები კოკრებად სხედან...
ვიშვები მე-დან!
იქ ყაისნაღით ქსოვენ ხავსებს ჩუმი წვიმები.
როგორ მოვუყრი თავს ფიქრების სხარტ კოლექციას,
როგორ მინდოდა ეს ფიქრები ლექსად მექცია!
სისხლის სვეტებად აშოტილან ანცი ვნებები,
გავხდები გვამი, დახვეწილი, პათოგენური,
ამ პედესტალზე, ყავარჯნებით, მაინც შევდგები!
სოკოსპირულად დიდ კოკებში ჩაასხამს ღმერთი,
ცა იკრიჭება...
ღრუბლის მურაბა იხარშება და იწრიტება.
ლითონის გემო, გემო ჟანგის, გემო ყინვისა;
მტვრიანი გემო. გემო მიწისა!
სხვა ენის გემო.

მკვდარი პოეტის სადღეგრძელო

სასმელი მოკვდა! მოკვდა სასმელი...
თუ მე მოვუკვდი სასმელს ტროპიკულს?
სადაც არმსმელი კვდება სასჯელით,
შემდეგ ახარებს სულ სხვა ოპიუმს.

გაჩერდა გული, როგორც კასკადი –
გაკრთა ნიმΦებით ლექსის ბახუსი;
შემთვრალ პოეტთა ბლანტი ნაკადი
დგას, ვით დაღლილი, ხმელი კაქტუსი.

ყანწები ცვალა ელიტ-ფუჟერთა,
ბოკალ-საწრუპთა ბროლის ჟღრიალმა,
მწერალთა სახლის ძირძველ სურნელთა
და უცხოელთა სვეცკურ წკრიალმა.

რა ბომონდია, რა სიფსიხეა?!
სად გაქრა ძველი მგოსნის მუნდირი?
დღეს პოეზია – სიტყვის ციხეა,
მე ამ ციხიდან, დღემდე, სულ ვყვირი!

და ვდგავარ მე აქ, განსხვავებულით,
ვით ეშაΦოტთან მკვდარი პოეტი,
მაკულატურად ქცეულ კრებულით,
ფიქრში ქაოსით, ხელში სონეტით...

აწ გაგვიმარჯოს, როგორც გუშაგებს,
როგორც სტროფებით შვილმკვდარ პერსონებს!
ჩვენს„ოსვენციმებს“ და ჩვენს „გულაგებს“!..
ლექსებით დავწვავთ ჯალათ მენტორებს!

* * * (ამ სიცივემ მტეხა, მწყვიტა...)

ამ სიცივემ მტეხა, მწყვიტა
მაგრამ ვუძლებ, როგორც დვრიტა...
ვით ენძელა, თოვლის ქოხში
გავეხვიე ძირძველ ნოხში...
დავიფარე საბნად ხველა,
ქალამნებად ცისარტყელა...
და ამ სენმა ლუკმად მკვნიტა,
კვლავაც ვუძლებ, როგორც დვრიტა...
როგორც კენტი მიწის თაგვი
თმებით ცოდვებს ისევ დავგვი.
გამისხლტება ხელთ იმედი,
შემოვძახებ – სად ხარ დედი?
უცაბედად ჩნდება სხივი,
ვიკრიბები, როგორც მძივი...
და ფანტელებს აჩენს ლოცვა,
სულს ამრთელებს ფსკვნილზე ცოცვა...
სულ ამაო ჯახირია,
არსებობა ნახირია!
გამოთბება ძვლებშიც მალე;
შემეწიე, დავიღალე!..

* * * (ნაცრისფერ ფიფქებს იაგუნდად დათრთვილავს ღამე...)

ნაცრისფერ ფიფქებს იაგუნდად დათრთვილავს ღამე,
არყის წვეროდან ჭოტი წყევლას თაგვებს უგზავნის...
ამ სინანულით ნაღვერდლებად ცრემლებში ვნამე
ეს ბალდახინი, ცხედროვანი მრუმე სუდარის.

აუწყვეტია აღვირივით კლდეებზე ქარბუქს,
გამომხმარ კლანჭებს ზედ იმშრალებს ტანზე ღამურა;
და როგორც შორით გადაგდებულ, მოკვეთილ მამლუქს,
ცივ უკუნეთში სიო კოცნის მბჟუტავ ნათურას.

ტაძრების თავზე ჯვარცმა კივის, სისხლით იცლება...
სამრეკლოების ალილუია ლითონში დნება;
ოქროს ბარძიმი დაფარნის ქვეშ მადლით ივსება,
ბერი მუხლებზე, ტრაპეზის წინ, უჩუმრად დგება.

როგორც მითიდან გაპარული, ლაღი ფასკუნჯი,
დღეს სული ჩემი მიაწყდება კასკადებს წელთა!..
უფლისმიერი ნაბოძები დიდი საუნჯის –
საიდუმლოთა, საშინელთა, ვეახლო ნეტა!

ფსალმუნთა რიგებს, საფლავებზე მობნეულ ტიტებს,
მტარვალ ასპიტთა გესლოვანი ფარავს ენები...
მალულად ვკოცნი ნაზარევლის დაჩეხილ თითებს,
სახეზე ქსელად მეხლართება მისი ვენები.

და კრავი თეთრი, ანგელოსი ცეცხლივით მკვეთრი,
შორ კაბადონთა ზღაპრად თლილი უსაზღვროება...
არის შრიალი, ფორიაქი ობოლი კედრის,
ვით გოლგოთაზე შეწირული უმანკოება...

3. პროზა

მარიკა მამალაძე

პასუხები

– ჰო, ყველას აქვს სუსტი მხარე, ჩემი ორიენტაციაა, შენი კიდე მთავარი – არაადამიანი ხარ კარგად განვითარებული ორიენტირებით! – ჩავყვირე ყურმილში და გავთიშე. მისი მოსმენა აღარ მინდოდა. ეს მაშინ ხდება, როცა სათქმელი არ გაქვს და პასუხებსაც აღარ ელი...

გმირთა მოედანზე ვიყავი, საცობში... სხვები, აი „იმისნაირი“ ჭკვიანები, შესაბამის ზოლში კი არ იდგენენ, მესამე ხაზად მოძრაობდნენ და საპირისპიროდ დაძრულ ნაკადს ავიწროებდნენ. იყო პიპინი და გაიწიე-გამატარე. რას უნდა ელოდო სხვას, როცა პიკი საათია...

– ღორო, გგონია, ეხლა ჩემს რიგში ჩაგაყენებ?! აი ეგრე, იყავი ეხლა ეგრე, გაშეშებული ცხვარივით. ხო, შენ, შენ გეუბნები, ცხვარი მე კი არ ვარ, ამ ნაკადს რომ მორჩილად მივყვები, შენ, შენ ხარ! – შავ, დაბურულმინიან ჯიპს მივაძახე. შავი ჯიპი სტატუსია, ინდოელებს ახლა რომ შეექმნათ რელიგია, უმაღლესი კასტის პირმშო შავი ჯიპის პანორამიდან გაჩნდებოდა... აბა ჩემი ვერცხლისფერი პრიუსი მონათა კლასია. ფართო გასაქანს მიჩვეული ღვთაებრივი მანქანა უკიდურესად ჩემს მხარეს გადმოიწია, ლამის სალონში შემოიჭრა და ხელი შემომხვია... არ დავუთმე, პირიქით, მეც უკიდურესად მარცხენა მხარე დავიჭირე და ის იძულებული შეიქნა, უფრო მეტად გადასულიყო საპირისპირო ზოლში. ისმოდა საყვირებისა და მრავალსართულიანი მოხსენიების ხმები... ეს ყველაფერი სიამოვნებას მანიჭებდა, სამართლიანობის განცდა დიდი ადრენალინია, მითუმეტეს, თუ პრივილეგირებულ კლასს ეხება საქმე.

– ეი, გამომხედე, აქეთ, შენ, ჰო შენ! ღმერთს გზააბნეული ცხვარი რომ უფრო მეტად უყვარს, არ გაგიგია?! – მომაძახა შავი ჯიპიდან მამაომ და ფანჯარას კიდევ უფრო დაბლა ჩაუწია.

– უკაცრავად, არ ვიცოდი! – მოულოდნელობისაგან შევცბი.

– უყურე ამას შენ, არ იცოდა, კაბას რომ ხედავ ზრდილობიანი ხდები, ხომ?! ოხ, შე ფარისეველო... გადააყენე ერთი, აი ცირკთან, ხიდის ქვეშ!

– გადავაყენო რა, პატრული ხარ?! – იმდენი გიჟი და ახირებული დადის ქალაქში, პატრულის იმედი მაქვს. უფრო სწორად, იმედი კი არ მაქვს, ერთადერთი, რაც ამ დროს მაგონდება, ისაა, რომ პატრულს უნდა დავურეკო... ეს პატრულიც, დიდი ვერაფერი, მკვდარზე გვირგვინი, მოვლენ, ილაპარაკებენ, იცინებენ და მერე დიდ ფურცლებს შემავსებინებენ. წერა არასდროს მიყვარდა, მასწავლებელი ხელებში სახაზავს მირტყამდა ცუდი კალიგრაფიის გამო. მესამე კლასში დაადგინეს, რომ მიოპია მქონდა და ამის მერე მასწავლებელს სახაზავი აღარ დაურტყამს, მხოლოდ ნიშანს მაკლებდა. ერთს კი არა, ორს. გუშინწინ, სამსახურიდან რომ გამოვედი, ერთი აგრესიულად მოცლილი ამეკიდა... მოიცა, მოიცა, შენ ის არა ხარო?! დამცინავად შემომქირქილა და სვლას აუჩქარა ჩემი მიამრთულებით... გამოვიქეცი, მანქანაში შევხტი თავქუდმოგლეჯილი, როგორც იქნა, გასაღები მოვარგე და გამოვქროლდი... ერთი ეგაა, სანამ იმ ნაგიჟარს გადავურჩებოდი, გულში გავიფიქრე, ღმერთო, თუ მართლა არსებობ, მიშველე-მეთქი...

– გადააყენე, სანამ გარდამისახიხარ! – არ შემეშვა საგზაო წესების დამრღვევი ანაფორიანი ჯიპი, უფრო სწორად კი ჯიპი ანაფორიანი. მამაოები ყოველთვის მაღიზიანებდნენ:

ზემოდან იყურებიან – მე ცოდვილი და ის კიდევ ღმერთის მსახური. იმათი ცხოვრება ჭეშმარიტია, ჩემი ცოდვილი და სამუდამო განსაცდელისათვის განწირული... რელიგიურ წიგნებს ბავშვობაში ვკითხულობდი, ეკლესიაშიც დავდიოდი, ვეზიარებოდი, აღსარებას ვამბობდი... პირველად მაშინ ვიკითხე, რა საჭირო იყო სქესი, როცა შეიძლებოდა უბრალოდ ადამიანი ყოფილიყავი. ეგ რანაირად, უსქესოდო, ვერ მიმიხვდა მამაო. ახსნას შევეცადე. შენო, ეშმა გიზისო და დღეში სამჯერ უნდა ილოცოო და ასი მეტანია აკეთოო, ასე მითხრა... იქიდან მოყოლებული, ვგრძნობდი, რომ რაღაც ისე ვერ იყო, იმიტომ კი არა, რომ მეტანიების კეთებისაგან „პარკეტჩიკების“ ავადმყოფობა ავიკიდე, იმიტომ რომ პასუხებს ვერ ვპოულობდი...

რამეს, არაშაბლონურს რომ ვიკითხავდი, ეგ ღმერთმა იცისო, ასე მამხნევებდნენ. ღმერთი არცთუ ისე ძალიან მომწონდა, იმიტომ რომ ხშირად ბრაზდებოდა და სჯიდა ადამიანებს... იესო პირიქით, დასჯილებს კურნავდა. დასჯა ყველაზე ცუდი რამაა, რაც ოდესმე გამოგონებულა. თუ ვინმე შემავიწროვებს პატრულს იმიტომ კი არ ვიძახებ, რომ დავსაჯო, იმიტომ, რომ თავი დავიცვა, ღმერთს კიდე თავის დაცვა არასდროს დასჭირვებია, ყოველთვის ყველაზე ძლიერი და მაგარი იყო, იესოსაგან განსხვავებით...

ამ ბოლო დროს სულ ხელებზე ვიყურები, ალბათ იმიტომ, რომ საჭესთან ვარ და კიდე იმიტომაც, რომ ყველაზე კარგად ნებისმიერი ადამიანი თავის ხელებს ხედავს. რომ შემეძლოს, უფრო თხელი და გრძელი თითები მექნებოდა, ჩემი იმაზე მოკლეა და მსხვილი. ბევრ რამეს შევიცვლიდი გარეგნობაში. ზუსტად ვიცი, ერთ დღეს ისეთი გავხდები, როგორიც მინდა.

მშობლებმა რომ წინასწარ იცოდნენ, როგორი შვილი ეყოლებათ, უფრო ნაკლები ბავშვი გაჩნდებოდა, ან პირიქით, უფრო მეტი. ეგ სტატისტიკა ჩემს მდგომარეობას არ აიოლებს, მე უკვე ვარსებობ, იმის მიუხედავად, გავამართლე თუ არა მათი მოლოდინი. დედაჩემი არ მელაპარაკება, მამა დიდი ხნის წინ წავიდა სახლიდან, ჩემი ძმები სადაც მნახავენ, ცემით მემუქრებიან... როცა ღმერთი ადამიანს ქმნიდა, ალბათ წინასწარ იცოდა, რაც გამოვიდოდა, თუ არ იცოდა – ეგეც ეპატიება... ამიტომაც არ ეწოდა ადამს ღმერთის შვილი და დარჩა მხოლოდ და მხოლოდ პირველი ადამიანი... რომ შეიძლებოდეს, მეც ასე ვიტყოდი. არავის ვეკუთვნი, არავის შვილი ვარ და არავის და, მხოლოდ და მხოლოდ ანა-ბელპირველი. ერთადერთი და განუმეორებელი. ბუნებამ განსაკუთრებით იზრუნა ჩემზე და საბოლოო დაღიც დამასვა, აქამდე არსებულ საზრუნავებს შორის ახლა კიდე ახალი, სასამართლოც დამემატა.

საჭე ძალიან მიყვარს, მანქანის ტარება ჩემი გატაცებაა, შემიძლია საათობით ვატარო, მაგრამ საცობებში დგომას ფეხით სიარული მირჩევნია... საჭესთან ყოფნა იმითაა კარგი, რომ სულ ფიქრობ, ფიქრობ და თან კარგ მუსიკას უსმენ... გმირთა მოედნის საცობმა ჩვეულ დროზე მალე გაიწოვა, ისე, როგორც მილში გაჭედილმა წყალმა... კარგად რომ ამოტუმბავ, სივრცის მაქსიმალურად გადავსების შემდეგ წნევა თავისას იზამს, ერთი გრანდიოზული „დღლუმპ“ იქნება და მილიც იხსნება, შეგუბებული ნაკადი სიღრმეებს დააწვება.

წრეებს ვარტყამდი, კარგად, საკაიფოდ ბნელოდა, სახლში წასვლას ვწელავდი. სახლში წასვლა არ მინდოდა. ვინმესთან დარეკავდა ადამიანი, მაგრამ არავინ მახსენდებოდა. ასეა, ერთ ადამიანს რომ მიებმები და

იმედებს ააგებ, მერე ყველას ჰკარგავ, საბოლოო ჯამში კი მარტო რჩები... ესეც ჩემი ფანტაზიაა, ესეც არაა მართალი, ერთია – მე რას წარმოვიდგენ, და მეორე კი – რაც სინამდვილეა, სწორედ ეგაა ჩემი ცხოვრების მთავარი პრობლემა, ჩემი განცდები და დამდგარი რეალობა ერთმანეთს არ ემთხვევა. სხეულის შემთხვევაში ეს გადაჭრადი პრობლემა აღმოჩნდა, სხვა დანარჩენი კი განუზომლად რთული. მთლად უმეგობროც არ ვარ, რამოდენიმესთან დარეკვა თუ შემეძლო და იმათ კიდე, ზუსტად ვიცოდი, რომ ჩემთვის აღარ სცალიათ. ჩემს პრობლემებს და წუწუნს, კარგა ხანია, ადეკვატურად არ განიხილავენ, „დიდ და მასშტაბურ“ ამბებში არიან ჩაფლულნი, მე კი რა? არაფერი, მხოლოდ ჩემი თავი და გადამისამართებული პასუხისმგებლობები...

უამრავი მცდელობის შემდეგ მაინც ვერაფერი გავუგე ამ დაუსრულებელ წრეებს გმირთა მოედანზე, ან, იქნებ გავუგე და ორიენტაციას ვაბრალებ იმას, რაც სულ სხვა რამის ბრალია. წასასვლელი რომ არსად გაქვს, იმის მიუხედავად რომ სახლიც გაქვს და კარიც, საკრედიტო ბარათიც, მანქანაც, ეგაა მთელი ტრაგედია... ცირკთან, ხიდის ქვეშ ჯიპი შევნიშნე, ფარები დამიციმციმა.

მოვკრუგე და უკან მივუყენე... კარგა დიდი პაუზის შემდეგ გადმოვიდა მანქანიდან. სტანდარტულ მამაოს არ ჰგავდა, მაღალი, გამხდარი და გვარიანად გამოპრანჭული იყო. „კარწიე დეკლარეიშენი“-ს სუნი მეცა, ამ სურნელზე ყოველთვის ჭკუას ვკეტავდი, ისიც კი გავიფიქრე, დაღლილობისგან მოლანდებები ხომ არ დამეწყო-მეთქი, მაგრამ როცა უფრო მომიახლოვდა და ჯვრის საკოცნელად მოვიხარე, ყველაფერი ცხადი გახდა. არაფერი მომლანდებია.

– კარგა ხანი მალოდინე...

– უნდა გარდამსახოთ? – გახუმრება ვცადე. მაგრად მეუცნაურებოდა მამაოს საქციელი. ცნობისმოყვარეობამ მძლია და იმიტომაც დავპარკინგდი ხიდის ქვეშ. რაც არ უნდა არაპროგნოზირებად ამბავში გავხვეულიყავი, ეგრე მერჩია. ჩემი ადვილად გამოსაცნობი დღის წესრიგი სხვა არაფერი იქნებოდა, თუ არა სახლში ტელევიზორის წინ მოკალათება, ჭიქა შავი ყავა და საინფორმაციოს სამსაათიანი ჩხავილი. მეც არ ვიცი, რატომ ვუყურებ ამ საინფორმაციო გადაცემებს, ძალიან არ მომწონს, მაღიზიანებს, ტელესერიალების ყურებას კიდევ ეგ მირჩევნია. უქმეებზეც დიდ ვერაფერ დროს ვატარებ, უფრო ხშირად ექიმებთან მივდივარ, ხანდახან გოგოები თუ შევიკრიბებით და კლუბში წავალთ... იქ კიდე, ერთმანეთზე შეწეპებულები, ჯერ კარგად ვსვამთ და მერე ლიზბიანკებივით ვუფათურებთ ხელებს ერთმანეთს. სცენის ცენტრში თვალდახუჭული ვცეკვავთ, თან ერთი ხელი ზემოთ გვაქვს აწეული, ვინმე თუ მოგვიახლოვდება და გამოლაპარაკებას ცდის, ვიღიმი და ენას მეექვსე კბილზე ვიდებ... კლუბის კაცები მანც ყველაზე უცნაური ხალხია, ლიზბიანკები არ აღიზიანებთ და „ფედერალისტებს“ დედას აგინებენ, ჩემზე რომ არაფერი ვთქვა... გოგოებისთვის ეგრე არაა, მთავარია, შენ კაცს არ გაეპრანჭოს სხვა ქალი, დანარჩენი მეორეხარისხოვანია. კლუბში გაცნობილ ნასვამ მამრებზე ყურადღებას ნაკლებად ვხარჯავ, კარგად მესმის, რომ ყოველთვის მოინახებიან ჩემზე სრულყოფილი და ახალგაზრდა გოგონები, რომლებიც უარს არაფერზე ეტყვიან, აჰყვებიან...

– შუქნიშანი არაა, სწრაფად უნდა გადავიდეთ, ჩქარა, ჩქარა!– ხელი მაჯაში ძლიერად ჩამჭიდა მამაომ. თვალის

დახამხამებაში ქუჩა მეცხრეკლასელებივით გადავირბინეთ.

– სწრაფად, დაგვიანდა! – მომაძახა, გზას რომ დავადექით. სიარული გამიჭირდა, ეს ტაბლეტების ბრალიც იყო... ის კარგი სპორტსმენივით მიდიოდა წინ. ნამდვილად უცნაური ვინმე იყო, ეჭვიც კი შემეპარა, რომ ნამდვილ მამაოს მივყვებიოდი.

პანიკამ ამიტანა, მუხლები ამიკანკალდა, ეს მოქნილი სპორტსმენი კაბაში, შეიძლება მანიაკი ყოფილიყო, აქვე გამომჭრიდა ყელს და მიმაგდებდა. რატომ იგონებს ადამიანი თავგადასავლებს, რატომ ვერ აფასებს იმას, რაც აქვს, ცხელი ყავა და საინფორმაციო არ ჯობდა ყველაფერს?! ცხელი ყავა, საინფორმაციო, და მარტო ყოფნა კვირა საღამომდე... ისე მარტო, რომ შეიძლება ჯობდეს კიდეც მანიაკთან სეირნობდე ტყეში.

– ერთი წუთით?! – რაც შემეძლო ხმამაღლა დავიყვირე. მოტრიალდა. საუბრის გაგრძელება მინდოდა, მაგრამ საკუთარი გულისცემა ყელში მებჯინებოდა. მიწაზე წამოვჯექი და ღრმად სუნთქვა ვცადე. ჯიბეში სიგარეტი მოვიძიე, სანთებელა – ვერ. მამაომ ჯიბიდან ასანთი ამოიღო და გამომიწოდა.

– რანაირი მამაო ხარ? არ ხარ მამაო?! – წინ მედგა და ამპარტავნად იცინოდა.

– რატომ, მოძრაობის წესებს რომ ვარღვევ და ასანთს ჯიბით ვატარებ? – მამაოს სიძულვილი აშკარა იყო, აკვირდებოდა ჩემს სამოსს, თითებს, შეხსნილ ქურთუკს, გარღვეულ კოლგოტს.

– უეჭველი ისაა, რომ შავი ჯიპი გყავს, ეგეთები მარტო თქვენ გყავთ. ნუ, მარტო თქვენ თუ არა, უმეტეს

შემთხვევაში, აი, ეგ ჯიპები თქვენია... სიგარეტის მოწევა ცოდვა მეგონა და ასანთი მომეცი... მგონი მანიაკი ხარ, კი აშკარად მანიაკი ხარ!

– გაჩუმდი, ნუ სცოდავ!

– მაპატიეთ! – ტონს დავუწიე და თავი დავხარე.

– შეგინდობ... მართალია, ტყეში შენნაირი არავის უნდა გაჰყვეს, ვინც არ უნდა იყოს...

– რატომ, საშინელი ვარ და მომკლავს? მაგიტომ წამომიყვანე?! ჩემი გაუპატიურება თუ გინდა, არსად გამქცევი არ ვარ, მაგრად დავიღალე – ვუთხარი და გამეცინა.

– ადექი! – ზიზღით მიმაძახა, ქუდი შეისწორა. დავემორჩილე.

ალბათ მიცნო, გავიფიქრე და დავმშვიდდი. რთული არ იყო, ცოტახნიანი დაკვირვება და ეჭვის თვალით შეხედვა ჰყოფნიდა. რაც არ უნდა ყოფილიყო, თანახმა ვიყავი, აღარ მეშინოდა. წინა კვირას გამოწერილი ფეხსაცმლის დარდი მქონდა, გზაში ხის ნაფოტს წამოვდე და ცხვირი გავუფუჭე. ფეხსაცმელები ყოველთვის მიყვარდა, თუ საჭირო გახდებოდა ამისათვის თავსაც გავწირავდი, ბიუჯეტი რა მოსატანია.

– სად მუშაობ? – მკითხა, აღმართს რომ გავცდით, ტყე გამოვიარეთ და ჩვენს წინ მკრთალად განათებული შენობა გამოჩნდა.

– მე ანა-ბელი მქვია, ვულე-ვუში ვმუშაობ. მთავარი მენეჯერი ვარ, ოთხი ფილიალი მაბარია. სერტიფიკატიც მაქვს ხარისხის, პარიზში ავიღე.

– ეს ანა-ბელი რაა, კათოლიკე ხარ, ხო? პარიზებში კი მისცემდნენ შენნაირს სერთიფიკატს. ყველანაირი გარყვნილება ევროპიდან მოდის... – განათებული შენობა დაუსრულებელი ეკლესია აღმოჩნდა, ხარაჩოები მიედგათ გარედან და გზა მოესწორებინათ...

– როგორ ჩემნაირებს, შემომხედე და მითხარი, როგორი ვარ?! – სისხლი თავში მაწვებოდა, ცრემლებით ამევსო სახე. აღარც ღამის მეშინოდა, აღარც ტყის და არც მამაოსი. იმ წამს მზად ვიყავი ყველას და ყველაფერს შევბრძოლებოდი, ვინც ჩემს არსებობას ეჭვქვეშ დააყენებდა.

– გზას აცდენილი ხარ, შენ! – განაჩენივით მომახალა, წელში გაიმართა და კმაყოფილება იგრძნო.

– გზას აცდენილები ღმერთს უფრო უყვარს! – პირველად მიშველა ღმერთის სახელმა, სხვა შემთხვევებში ამ დროს „ფუი ეშმაკს“ მომაძახებდნენ.

– ჰოდა ილოცე, მაგისთვის მოგიყვანე აქ!

* * *

რიგში ყოველთვის მიწევდა დგომა, მიუხედავად იმისა, რომ ექიმთან ვიზიტი მკაცრად განსაზღვრულ საათზეა ჩანიშნული. რიგში დგომა მოუცლელობის გამო კი არ მაღიზიანებს, არამედ სულ სხვა რამის გამო... ყოველთვის გამოჩნდება სხვა განყოფილების რიგიდან ერთი-ორი მოხალისე, გინებას რომ დამიწყებს... ამ ზაფხულს მსგავსი პრობლემების თავიდან ასაცილებლად პატარა რემონტიც კი გააკეთეს და ჩვენს განყოფილებაში დიდი გამჭვირვალე კარი დაკიდეს, იქ შემოსვლა საშვის გარეშე ვერავინ რომ შეძლოს.

ჰორმონალური თერაპია ხანგრძლივი პროცესია. მორჩილად ვსვამ ყველა აბს და ზედმიწევნით ვასრულებ ვარჯიშებს. ჩემი სხეული ნელ-ნელა იმ სახეს იღებს, რომელზეც ყოველთვის ვოცნებობდი. მჯერა, ზუსტად ის ვიქნები, ვისკენაც ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევ წინ.

– რა ჯიშია... რასა ჰგავს... უბერავს... დარეხვილია... ნაზიკო, ნახე რა... ეს მახინჯი... ამის დედა... დაიჭირეთ, დაიჭირეთ, მოკალი, მოკალი! – ჩემი დევნა იმაზე ადრე დაიწყო, ვიდრე გავაცნობიერებდი, რომ საზოგადოებისაგან განსხვავებული მოთხოვნლებები და შეხედულებები მქონდა. ადრეული ასაკიდან, მაშინ, როცა სხვებს ჯერ კარგადაც არ ჰქონდათ გათვითცნობიერებული სქესის მნიშვნელობა. მახსოვს, ასე მოხდა: ოთხი წლის ვიყავი, ადრე გამეღვიძა, საწოლიდან დაუხმარებლად გადმოვღოღდი, ყველას ეძინა... აივანზე გავედი, მოაჯირის კიდეში დავჯექი, ფეხები ჰაერში გამოვკიდე და მზეს შეფიცხებული ჩემს ხელებს დავაკვირდი... ვფიქრობდი, რა ლამაზია, რა ლამაზია გლუვი კანი და თეთრი თითები...

– ანა-ბელ! მობრძანდით, ექიმი გელოდებათ – ოთახის კარი გაიღო და სასიამოვნო გარეგნობის გოგონამ მიხმო. ჩემი ექიმი ორმოცდაათს გადაცილებული ქალია, შვილები არ ჰყავს, არც ქმარი, ჩარჩოში მაგიდაზე დედისა და მამის ფოტო უდევს... მაინც რა არის ადამიანი, ის, რაც უნდა რომ განახოს, რომ არის, ის, რაც უნდა რომ შენ მასზე იფიქრო... ჩემს ექიმს უნდა, ვიცოდე, რომ ყველაზე მეტად დედა და მამა უყვარს, მე კი მინდა იფიქროს, რომ ძალიან მოწესრიგებული და წესიერი ადამიანი ვარ. ზედატანს ვიხდი და ლამაზად ვკეცავ სკამზე, ლიფსაც ვიხსნი...

– ანა-ბელ, ძვირფასო, ასეთი ბიუსტჰალტერი არ გამოგადგება, რაც შეიძლება რბილი და დამყოლი შეარჩიე,

გუბკები პრობლემა არაა, თუ გინდა ჰქონდეს, მაგრამ მე მაინც თავისუფალს გირჩევ... ეს ძალიან მოჭერილია... აი, ნახე, აი აქ, კბილანის კვალი გემჩნევა – ხელს ნაზად მკიდებს მკერდზე და სარკეში ნაჭდევს მაჩვენებს... – კანი კარგ მდგომარეობაში გაქვს, ასეთ შედეგს არ ველოდი მოკლე დროში... – კმაყოფილია, მომწონს, რომ მაქებს, მე თუ არა – ჩემს სხეულს, სხეულს, რომელიც ჩემია, მიყვარს და როგორც იქნა დავიბრუნე...

– ფსიქოთერაპავტთან კიდევ დადიხარ, თუ დაასრულე?

– კურსი წინა კვირას დავასრულე... ძალიან კმაყოფილი ვარ, უფრო მეტად დარწმუნებული ვარ საკუთარ თავში. მშვიდად ვარ... პლასტიკურ ქირურგთან ორ თვეში მივდივარ, დიდი იმედი მაქვს, რომ მისი ჩარევის შემდეგ საბოლოოდ შევძლებ მშვიდად ცხოვრებას... სამსახურში წინა კვირას მითხრეს, რომ ჩემი თანხმობის შემთხვევაში დიდი საიმოვნებით გადამიყვანენ ბათუმში, დასავლეთ საქართველოს ყველა ფილიალს მე ჩამაბარებენ. ალბათ სექტემბრიდან გადავალ. მეც ეგ მინდა, ახალი ქალაქი, ახალი ცხოვრება...

– ძალიან კარგი, ხომ ხედავ ყველაფერი ისე ეწყობა, როგორც შენ გინდა! თავს გაუფრთხილდი, ჩემგან თავისუფალი ხარ – მეუბნება ექიმი და მიღიმის. კარგი ქალია, სულ იღიმის, მოვლილია, გემოვნებით აცვია და შანელ „შანსი“ ასხია... სუნამო ჩემთვის ბევრ რამეს ამბობს ადამიანზე, შემიძლია მათი ხასითიც გამოვიცნო ამის მიხედვით. შანელ „შანსი“ იმ ქალების არჩევანია, თავისი საქმის იმედი რომ აქვთ და ცხოვრებისეულ პრობლემებს ღირსეულად უმკლავდებიან. ასეთი ქალები ყოველთვის რაღაცას მალავენ... იმიტომ მალავენ, რომ ასე აღზარდეს:

სხვას მხოლოდ გაღიმებული სახით უნდა ესაუბრო და შენი პრობლემები შენთვის დაიტოვო.

საღამოს ნინას ვურეკავ, ჩემი თანამშრომელია, კონსულტანტად მუშაობს და დაწინაურება უნდა. ნინამ თბილისში დამოუკიდებლად ცხოვრება გადაწყვიტა და ბიძაშვილთან ერთად თემქაზე ბინა იქირავა. სამსახურში დროულად რომ მოვიდეს სახლიდან ორი საათით ადრე გამოდის, გემოვნებით აცვია, მაკიაჟის კურსები გაიარა, ყველაზე მეტად ქალაქელი ბიჭის პოვნა და გათხოვება უნდა. ნინა და მისი ბიძაშვილი ვერანდაზე მეპატიჟებიან. ნინას ბიძაშვილი ცოტა მეგოიმება, მაგრამ არ ვიმჩნევ, მეჩვენება, რომ სულ ცდილობს, წამკბინოს, ნინა ყოველთვის აგრძნობინებს, რომ არ მოწონს მისი საქციელი.

ერთმანეთს შარდენზე ვხვდებით და ვსეირნობთ. მე ახალი მოკლე ვარდისფერი კაბა მაცვია, ნინოს შავი, გრძელი და მოტკეცილი, ნინო ჩემზე დაბალია, ბიძაშვილი კი ზემოდან გვიყურებს, გრძელი ზედატანი აქვს და მოკლე ფეხები. გოგოებს ვეუბნები, რომ დღეს მე ვპატიჟებ და საცეკვაოდ ბარში მივდივართ.

– მაგრად შეიცვალე, მგონი ყველა შენ გიყურებს, ჩვენ ვეღარ გვხედავენ... – მეუბნება ნინას ბიძაშვილი და ჯინ ტონიკს სვამს.

– ჰოო, მადლობა... სულ მალე ყველაფერს მოვრჩები და აღარ მომიწევს ექიმებთან სიარული... ძალიან მაგრები არიან, მეც არ ველოდი ასეთ შედეგს...

– ანა-ბელ, მეც მინდა შენნაირი ლამაზი ვიყო! – მეუბნება ნინა და მეხუტება... ასე იცის, ორი ჭიქის შემდეგ მოწყვლადია, ყველა უყვარს და ეფერება. ვგრძნობ ნინას

ახურებულ სხეულს, გაოფლილ კეფას და ხშირ სუნთქვას. ნინას ნაზად ვკოცნი სამჯერ, ბიძაშვილი ზიზღით მიყურებს.

– მოიცა რა, რაც ღმერთმა მოგცა, ის უნდა იმყოფინო, ეგეთი არაფერი მინდა, ღმერთმა დამიფაროს! – ბიძაშვილი პირჯვარს იწერს, ძალიან სასაცილოა, პირჯვრის შემდეგ სასმელით სავსე ჭიქას ერთი გადაკვრით აცარიელებს და მაგიდაზე ისე ანარცხებს, როგორც კაცი.

– რას მერჩი? – ძალიან მშვიდად ვეკითხები, გული მწყდება.

– სიმართლე გითხრა?

– მითხარი...

– შენნაირები არ უნდა იბადებოდნენ, შეცდომაა ეგ! ქალად გადაკეთდები და ყველას მოატყუებ, სულ ასეთი ვიყავიო?! პასპორტსაც გადააკეთებ, ჰო, სქესს ქალს ჩაიწერ... შენ რაც არ უნდა ქნა, მაინც ვერ მოისვენებ... აი აქ, ყველა რომ მოგშტერებია მაგ მოღებულ გულზე და გამობზეკილ ტრაკზე... რომ გაიგონ, როგორიც ხარ და ვინცა ხარ, ფეხქვეშ გაგიგდებენ...

– ასე თუ ვერ მიტან, რატომ დადიხარ ჩემთან ერთად?! – თვალები ცრემლით მევსება, ნინა ფხიზლდება, ამბობს თავბრუ მეხვევაო და ტუალეტში გარბის...

ის ნინას მიჰყვება ტუალეტში, მე ვდგები და მოვდივარ, მაგიდაზე ასლარიანს ვტოვებ... ვიცი, რატომაც დადიან ჩემთან ერთად, სხვა მეგობარი არ ჰყავთ, ფულიც არ აქვთ. ნინა მაინც უფრო კარგი გოგო მგონია, მთვრალია თუ არა, მაგას მნიშვნელობა არ აქვს, როცა მეხუტება, ვგრძნობ, რომ იმ მომენტში ნაღდია... ისე მეხუტება, როგორც ქალი ქალს. სოლიდარულად. ჩემი არ შურს, ეგ ქალებში იშვიათია. თუმცა, ადრე პირიქითაც მიგრძვნია,

გაურკვეველი და ჩამოუყალიბებელი შეხებები... ამ დროს არ ვიცი ხოლმე, რა გავაკეთო... ერთადერთი, რასაც ადამიანებისგან ვითხოვ, ისაა, რომ ისეთი მიმიღონ, როგორსაც მე ვეუბნები, რომ ვარ და ვთავაზობ.

გარეთ გამოსვლა მსიამოვნებს, კარგი ჰაერია, სიგარეტს ვიღებ და სანთებელას ისევ ვერ ვპოულობ... უცნობი მიახლოვდება და სიგარეტზე მიკიდებს.

– დიდი მადლობა! – ვეუბნები და ვირინდები. უცნობი სიმპატიურია, ჩემხელა იქნება, ან ჩემზე ოდნავ უფროსი. ძალიან თეთრი კბილები აქვს, ალბათ ითეთრებს. ნასვამია. სოფლელს არ ჰგავს, აშკარად ვერელია ან მთაწმინდელი.

– არაფრის, რა გქვია?

– ანა-ბელი...

– რა სექსუალური სახელია, ძალიან ლამაზი გოგონა ხარ, არ გინდა, აქვე, ყავა დავლიოთ?

უცნობს მანქანაში ვუჯდები, მანქანას ტყავის სალონი აქვს, ახალია. სახელის კითხვა მავიწყდება, მერე ვიკითხავ, როცა კაფეში მივალთ. რაღაც სუნამო ასხია, ვერ ვხვდები, ალბათ იმიტომ ვერ ვხვდები, რომ ორი სუნამო ასხია ერთად... არ მომწონს ეს ამბავი, ორი სუნამო ერთად მანიაკებს ასხიათ და გაუმაძღრებს.

უცნობი ცენტრალური გზიდან უხვევს და რამოდენიმე წუთში ჩაბნელებულ ადგილას ვჩერდებით. კარგი მუსიკა აქვს ჩართული, მსიამოვნებს, მაგის გამო ხმას არ ვიღებ და მომწონს კიდეც გზას რომ აგრძელებს.

– რა გქვია? – სიჩუმეს ვარღვევ.

– რა მნიშვნელობა აქვს...

– აქვს, მითხარი!

– არჩილი მქვია, აჩოს მეძახიან... რა ლამაზი გოგო ხარ, ანა, რა ლამაზი მკერდი გაქვს – მეხვევა, ხარბად მკოცნის. ვნებიანია, სწრაფი. უხეშია, შავი თმა აქვს, თითები – მოკლე და მსხვილი, დაკუნთული სხეული, ალბათ ვარჯიშობს ან სპორტსმენია...

– შემეშვი! – ვყვირი გამეტებით.

– რა გაყვირებს, შენ შიგ ხომ არ გაქვს?! – მხეცივით ღრიალებს. კარს ვაღებ და მანქანიდან გადმოვდივარ.

– იდი ნახუი! – ამბობს ის, ფარებს რთავს, მანქანას ატრიალებს და მიდის.

ტაქსიფაი ჩატვირთული მაქვს ტელეფონში, ვერ ვიძახებ, მისამართს ვერ აგნებს, მაგისტრალამდე ფეხით ჩასვლა მიწევს. არ მეზარება, ვცდილობ ფეხსაცმელი არ გამიფუჭდეს. ნინა მირეკავს, არ ვპასუხობ. მეოთხეჯერაც რომ რეკავს, მოთმინებას ვკარგავ.

– ჰო, რა ხდება?

– სად წახვედი, რა პონტია, იცი, რა ცუდად ვარ, თინამ კინაღამ სასწრაფო გამოიძახა, მოდი რა, მეშინია...

– სად ხარ? ფეხით გამოვედი, ჰაერზე...

– შენს სახლთან ვართ, ვაზარეთ, ვაზარეთ და არ გაგვიღე...

– დამელოდე, ტაქსი საცაა მოვა და ათ წუთში მანდ ვარ...

– თინას ბოდიშის მოხდა უნდა, მართლა ბევრი დავლიე და მგონი ვაწყენინეო... რაღაც საშინელი კოქტეილი იყო, დედა გვიტირა, შენ გული არ გერევა?

სახლში რომ მივდივარ, ნინა და თინა სადარბაზოს კიბეებზე მხვდებიან. ნინას სძინავს. ვაღვიძებ. თინა ჩემს ბინას ათვალიერებს, თვალს აპარებს საძინებლისკენ. ვეუბნები, რომ უკვე გვიანია და ჯობს ჩემთან დარჩნენ. ნინა ტანზე იხდის და აბაზანაში შედის, თინას ჩემთან დარჩენა არ უნდა, ამბობს, რომ კბილის ჯაგრისის გარეშე შანსი არაა სადმე დარჩეს. მე ზედმეტ კბილის ჯაგრისს ვერ ვპოულობ და ვთავაზობ აფთიაქში გადასვლას და ყიდვას...

– რაღა აფთიაქში გადავიდე, ბარემ სახლში წავალ! – მპასუხობს და მიდის.

ნინას მიმობნეულ სამოსს ვაგროვებ და ვკეცავ. ჩემსას სარეცხ მანქანაში ვდებ, მგონია, რომ მთელ სხეულზე იმ გაუგებარი ორდუხიანის სუნი მაქვს. ფეხსაცმელს ვწმენდ და ყუთში ვინახავ. ვბანაობ, თმას ვიშრობ, აბებს ვსვამ და ვწვები. ნინა ჩემს ლოგინშია, შიშველია, თმა სველი აქვს, ორივე ბალიში ნამიანია.ბალიშს მეორე მხარეზე ვატრიალებ. კიდეში ვიწევი, საბანს ვიკეცავ. ნინას ეღვიძება, ჩემსკენ ბრუნდება, სხეულზე მეკვრის, მკოცნის, მკერდზე მეფერება, მუცელზე...

– ნინა! – ვუწყრები, მინდა გამოვაფხიზლო. ნინა უმართავია. მთელი სხეული უხურს. – სიცხე გაქვს, მგონი სიცხე გაქვს! – ვეუბნები, ლოგინიდან ვდგები და თერმომეტრს ვეძებ. ნინა ადრეც ბევრჯერ დარჩენილა ჩემთან, ასე არასდროს მოქცეულა. ერთ ლოგინში მწოლი, მე კედელს ვეტუზებოდი და ის კიდე მეორე კიდეს, ჩვენს შორის კიდევ ერთიც დაეტეოდა. ლოგინი კინგსაიზია, ნინა კი ისეთი, აი, რომ ამბობენ, ქალი ლოგინში უნდა გეკარგებოდესო. წინა ცხოვრებაში მაღალი არ მეთქმოდა, ახლა კი ასეთი ვარ, მეტრა და სამოცდათხუთმეტი სიმაღლის ქალი საშუალო სიმაღლეში ნამდვილად არ გადის. წინა ცხოვრებაში

საშუალოობის კომპლესი მქონდა, ახლა ვფიქრობ, რომ ნინას სიმაღლის ქალი ყველაზე სექსუალურია...

თერმომეტრს იღლიაში ვუდებ, ჩემს ხელს იჭერს და ფეხებს შორის იცურებს.

– ეს შენთან მინდა რომ გავაკეთო... – მეუბნება და მკოცნის...

წარმოვიდგენ, რომ ნინას სხეული ჩემი სხეულია, მისი მკერდი ჩემი, მისი წელი ჩემი, თმებიც ჩემი. განცდა მაქვს, რომ საკუთარ თავს ვეფერები. ასეთ რამეზე არასოდეს მიფიქრია, ასეთი რაკურსით საკუთარი თავისთვის არასდროს შემიხედავს. მის სხეულზე დამხობილს მეძინება...

* * *

– ილოცე! – მეუბნება მამაო და კელაპტარს მაჭერინებს ხელში. მეორე კვირაა რაც აქ დავდივარ, მე თვითონაც არ ვიცი რატომ, როგორ მოხდა. არაფრის იმედი მაქვს, შველას არც ველი, თუ რამის მჯერა, ამ მამაოს სიჯიუტის. ლოცვა გვიან ღამით სრულდება. როგორც ყოველთვის, ბოლომდე ვრჩები, ხალხი რომ იშლება, მამაოსთან მივდივარ. მამაოს იობი ჰქვია და ჩემზე დაკვირვებებს ატარებს, თუ რაღაც ეგეთი. მისიონერი ვარ, უნდა მოგაქციო, შენ მხოლოდ დამემორჩილე, სხვა არაფერიო...

– მაინც ღმერთის შვილი ხარ, მაგრამ მის ნებას აღუდექი, ცოდვაში ხარ, უნდა მოახერხო შენი ჭეშმარიტი სახის დაბრუნება, ამაში ლოცვა დაგეხმარება! – მილიონჯერ ავუხსენი, რომ მე კი არ უნდა დავიბრუნო პირვანდელი, ე.წ ჭეშმარიტი სახე, არამედ ჩემი თავი უნდა დავიბრუნო, ის თავი, შეცდომით სხვა სხეულს რომ გაუკეთეს, უფრო სწორად სხეულს კი არა, სქესს...

– ნუ სცოდავ! – ამას ხშირად მეუბნება იობი. ყოველთვის, როცა ღმერთზე რამე სხვანაირს ვამბობ. მისი აზრით, ჩემი ახირება ისეთივე სიგიჟეა, როგორც ვინმემ დაიჩემოს. რომ ნაპოლეონია, ან რავი, დეზდემონა. ასეთებს საგიჟეთში ამწყვდევენ და შენნაირებს კი უფლებებს უწესებენ ენჯეოები, ფული რომ აკეთონო... ენჯეო ყველაზე დიდი სატანაა, მე კიდე მეშველება რაღაც, იმათ არაფერი.

მაინც ვერ გავიგე, თუ ყველაფერი ღმერთის ნებაა, რატომღა მებრძვიან. ან პირიქით, თუ ღმერთის ნებაში ის იგულისხმება, რომ რაც ბუნებამ მოგცა, უცვლელად უნდა დატოვო, რატომ იკეთებენ სათვალეს, ცხვირის ოპერაციას, ეპილაციას, რავი, ათას რამეს. თუ ყველაფერი დაშვებულია და ის პროგრესი, რაც ცივილიზაციამ მოიტანა, მიღებული და გამართლებული, მე რომ ქალი გავხდი, ამითი ვის რა უშავდება?! ყველაფერს შეგიძლია შეეხო სასქესო ორგანოს გარდა – აი, მთავარი და შეუცვლელი დოგმა შენს ცხოვრებაში... ღმერთის მთავარი ჩანაფიქრი სქესი ყოფილა, დანარჩენი ჩვენს ნებაზე შეგვიძლია მივუშვათ. მამაოს წვერს მაინც ვერაფერი გავუგე. წვერი ადრე ხომ იმიტომ ჰქონდათ, რომ საპარსები არ იშოვებოდა და მოდა იყო ასეთი, ახლა კიდე იშოვება და მაინც არ იპარსავენ...

სხვა მამაოები ჩემნაირებს ეკლესიაში არ უშვებენ. ერთი-ორი „მამათმავალი“ იობსაც ჰყავს მრევლში, იმათი იმედი აქვს, გამოსწორდებიანო... ჩემი საქმე კი გაცილებით ცუდადაა... არ იცის, საიდან დაიწყოს და გამოსავალი როგორ ნახოს. ფსიქოლოგმა მირჩია, იობისგან თავი შორს დავიჭირო, სტრესულიაო, ვერ გაგიგებსო... ჩემს ფსიქოლოგს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მისგან დამოკიდებულებას ვერ ვგრძნობ, მხოლოდ და მხოლოდ პროფესიაა რჩევების მიცემა, დაყვავება... ეს მამაო კი, მიუხედავად იმისა, რომ ახირებულია და ჩემი გადაკეთება

უნდა, უფრო მეტად მესიმპატიურება. „კარწიე დეკლარეიშენის“ ბრალი არ არის მხოლოდ და მხოლოდ, სხვებს არ გავს და ჯერჯერობით ანათემისათვის არ გადავუცივარ, თუმცა მემუქრება, ასე ვიზამო. მე რომ იობმა მომაქციოს, დიდი გამარჯვება იქნება მისთვის, სჯერა, რომ ეს მხოლოდ ჭეშმარიტ მორწმუნეს შეუძლია გამოუვიდეს... ამიტომაც ცდილობს.

ქრისტე რომ ახლა დაბადებულიყო, არ ვიცი, ჩემზე რას იტყოდა, ალბათ განმკურნავდა, ოღონდ ეს განკურნება როგორი იქნებოდა, ეგაა საკითხავი. წინა სხეულში დამაბრუნებდა და ბუნების შეცდომას გამოასწორებდა, თუ ახალ სხეულში დამიმკვიდრებდა მშვიდობას... ალბათ, როგორც ჭეშმარიტი ღმერთის შვილი, მამისა და ბუნების ნამოქმედარს „გააპრავებდა“. რადგან ქრისტე დიდი ხნის წინ აცვეს ჯვარს და ღმერთის სახელით მხოლოდ სასჯელს თუ მოგისჯიან. ისღა დამრჩენია, ადამიანური ძალებით მივაღწიო საწადელს... სულ ცოტა დარჩა, მალე სხვა ქალაქში გადავალ, ან ვერ გადავალ, ყველაფერი ნინაზეა დამოკიდებული... თითქოს ყველაფერი ჩემს წინააღმდეგაა...

მაინც ვერ გავიგე, სხვას თუ კაბა აცვია, რატომ არის ბუნებრივი და ჩემი სამოსი ყველას თვალში რატომ ეჩხირება. დედამ მასწავლა, ვინმეს განსხვავებულს თუ დაინახავ, არ დასცინოო. დაცინვა ბოროტებააო, ესენი კიდე, თუ შემამჩნიეს, უკან მომყვებიან და ქვებს მესვრიან. ახლა შედარებით დავისვენე, ახლა სრულყოფილებას ვუახლოვდები, ზოგჯერ გამვლელები ამბობენ რომ ლამაზი ვარ, უფრო ხშირად კი ვულგარული. რა არის ეს ვულგარული, ის, რომ რაღაცას რადიკალურ ზომებში და ტონებში გამოხატავ? ეგრეც რომ იყოს, ვისი რა საქმეა, ასე ვხედავ და ასე მომწონს.

ამ კვირას ვაპირებ ბოლოჯერ ვნახო იობი, ბოლოჯერ, იმიტომ რომ ჩვენს საუბრებს აზრი არ აქვს, ამასთან, მალე სასამართლო პროცესი დაიწყება.

– მაინც ვერ გავიგე, აი, ქალი თუ ხარ, ასე თუ გრძნობ, ის რატომ გაქვს, ის ხომ დაიტოვე?.. ან, ქალი თუ ხარ, ის სასამართლო ამბავი როგორ ავხსნა?! – მეკითხება მამა იობი. ნინასთან დამართული ამბავი სადღაც ახარებს კიდეც, ამბობს, რომ ჩემი სხეული მებრძვის და ჩემში კაცი იღვიძებს. ლოცვა უნდა გავაძლიეროთ.

– რაღაც მოხდა, გესმის, მამაო, რაღაც მოხდა. ეგეთი დავიბადე, ეგრე ვიგრძენი. აი, ეხლა, წარმოიდგინე, ქალი რომ იყო, გაგიხარდებოდა? შეეგუებოდი, უბედური არ იქნებოდი? წარმოიდგინე, რომ ერთ დღესაც სხვის სხეულში იღვიძებ...

– თუ ღმერთის ნება იქნებოდა ვიქნებოდი ქალი, მაგრამ მადლობა ღმერთს მის მსახურში ვარ!

– არა, აი ეგეთი რომ იყო და ქალი იყო, გაგიხარდებოდა?

– უფალმა შეგინდოს და გაპატიოს, მისი ნება ყველაზე მთავარია... თუ ასე გადაწყვეტდა, ასეც იქნებოდა, მე ვინ ვარ, მის ნებას წინ აღვუდგე... შენი ცოდვა ყველაზე მძიმე ცოდვაა, ერთია სოდომი და გომორი, შენ კიდე ყველაზე დიდი ეშმა გყავს შეჩენილი, თან გაქალდი და თან კიდე ქალიც იმასა ქენი – იობს ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდეგ გამოსავალი ეპოვნა: ყველა პროცედურა უნდა შემეწყვიტა და სანამ გვიანი არ იყო, უკან დავბრუნებულიყავი. უკან, წინა ცხოვრებაში. მას მერე, რაც ასე მოხდებოდა, მონასტერში გამიშვებდა და იქ აუცილებლად მიშველიდნენ.

* * *

– ეს რატომ გააკეთე, მართლა მაგისთვის გჭირდებოდა? – მხოლოდ ეს ვკითხე პროცესის დაწყებამდე, თინა მის უკან იდგა და ზიზღით სავსე თვალებით მიყურებდა. ნინა თვალს არ მისწორებდა. ენჯეოშნიკების დაქირავებულმა ადვოკატმა ამიხსნა, რომ საქმე არცთუ ისე მარტივად იყო, ნინას თავისი უნდა დაემტკიცებინა. ექსპერტიზის პასუხების დიდი იმედი მქონდა...

იმ ღამის შემდეგ ნინა პირველად ვნახე. დილით, რომ გავიღვიძე, იქ უკვე აღარ იყო. მეგონა სამსახურში მოვიდოდა. სამი დღე გააცდინა. მხოლოდ ერთხელ დავურეკე და ყურმილი არ აიღო. თინას ესემესი მივიღე: „ყველაფრისთვის პასუხს აგებ, ნაძირალა!“... მზად ვიყავი, ყველაფრისთვის ბოდიში მომეხადა. მეთქვა, ძალიან ვნანობ, მეც არ ვიცი, რანაირად გამოვიდა-მეთქი, მაგრამ ჯერ მე თვითონაც ვერ ვხვდებოდი, რა მოხდა და რატომ...

ნინა მიყვარდა, თუ ვინმეზე შეიძლება რომ მეთქვა, მიყვარდა, ის იყო... ზოგჯერ სიყვარულს ისეთი უცნაური ფორმები აქვს, რას გაუგებ. ყველაზე დიდი ხათაბალა სქესია, ადამიანი მარტო სქესს კი არა, ორიენტაციასაც უნდა ირჩევდეს. ეს რომ ხმამაღლა ვთქვა, სასამართლოსთან შეკრებილი ხალხი ჩამქოლავს.

რთულია, უცხო სხეულში გრძნობდე თავს. ამაზე ალბათ არავის უფიქრია. თუ უფიქრიათ, მხოლოდ და მხოლოდ ინტერესის გამო, ნეტა როგორი ვიქნებოდი საპირისპირო სქესის რომ დავბადებულიყავიო. ყველას გაუვლია გონებაში მსგავსი ფიქრები, მაგრამ მხოლოდ იშვიათად შეუგრძნიათ, რომ ყველაზე დიდი შეცდომა მათი სქესია... ჩვენ არ ვირჩევთ, როდის დავიბადოთ და როდის მოვკვდეთ, ჩვენ მხოლოდ ვცხოვრობთ, ვცოცხლობთ და ვეგუებით ხილულ ჭეშმარიტებას, რომ ყველაფერი

დროებითია და ერთ დღესაც აღარ ვიქნებით... მხოლოდ იმას ვერ ვეგუებით, თუ აღმოვაჩენთ, რომ ქალის ნაცვლად ბუნებამ მამაკაცად გაგვაჩინა. ამასთან შეგუება და ამის დათრგუნვა ყველაზე მძიმეა – ადამიანს აქვს ბედნიერების უფლება, ვერავინ გაიძულებს, სხვა იყო... ბუნების დაშვებულ შეცდომას მთელი ძალით ვასწორებ, დავდივარ ექიმთან, ვიკეთებ ოპერაციებს, ვიცვლი ხმას, ვიკორექტირებ ფორმებს, ვუძლებ ტკივილს, შეურაცხყოფას, ღალატს.

ნაზად ვმოძრაობ, ფეხს ფეხზე ვიდებ, კატასავით გავლას ვცდილობ, ტუჩზე საცხს ვისვამ, სუნამოს ვიპკურებ... ჩემი კაცური სხეულით ეს შეუძლებელი იყო. ვოცნებობდი, ოღონდ ქალად დავბადებულიყავი, თუნდაც ყველაზე უშნო ვყოფილიყავი, არ დავეძებდი... ოცნება როგორც იქნა ამიხდა, სულ მალე ქალაქსაც შევიცვლი, სამსახურსაც, ახალ ცხოვრებას დავიწყებ... ვერავინ ვერასოდეს გაიგებს იმას, რაც მე არ მსურს, იმიტომ რომ ადამიანის უფლებაა, ის გითხრას და ის იყოს, რაც თავად აირჩია, საზოგადოების ვალდებულება კი – მიგიღოს ისეთი, როგორიც ხარ.

ამ დიდი და ტანჯული გზის შემდეგ, ვერასდროს წარმოვიდენდი, რომ ვინმე მამრი, სახელად, მურთაზი – ნინას ადვოკატი დამირეკავდა და სამსახურეობრივი უფლებომოსილების გამოყენებით, სექსუალურ ძალადობაში დამდებდა ბრალს. ზოგადად ძალადობა, და განსაკუთრებით, ქალთა მიმართ ძალადობა ყველაზე გავრცელებული რამეა. სამწუხარო ისაა, რომ ხშირად ისეთი ადამიანები აიტაცებენ თემას და ტანჯულის ხატად გამოეფინებიან, რომ სინამდვილეში მსხვერპლის როლში ყოფნას არ იმსახურებენ. ნინას დაგებული მახის არსებობას ვერ ვიჯერებ, ყველაფერი თინას

მოფიქრებული მგონია. ნინა მაინც მიყვარს, იმიტომ რომ ჯერ ბოლომდე არ გამიაზრებია, რაც მოხდა.

გმირთა მოედანზე, საცობში ვიდექი, რომ დამირეკა. მისი ნანატრი ხმის გაგონება ტკივილამდე გამიხარდა...

– ყველაზე საშინელი ადამიანი ხარ. ყველაზე უშნო, ბუნების შეცდომა! პასუხს გაგებინებ ყველაფრისათვის... შენი პრობლემა არა მარტო სქესი, ორიენტაციაცაა. ასეთი საშინელი როგორ უნდა დაიბადო, ჯერ ქალად გადაკეთდე და მერე კიდევ ქალზე გაიწიო... არც მე მინდა ამ ამბის გახმაურება, მერე ყველამ უნდა დამცინოს... რანაირად ვთქვა, ვის მოვუყვე... ერთადერთი გამოსავალი ვიპოვე, სამსახურიდან უნდა წახვიდე და რეკომენდაცია ჩემზე დატოვო. უნდა თქვა, რომ ნინა ყველაზე მეტად იმსახურებს შენს დაკავებულ თანამდებობას... შენს გადაწყვეტილებას არავინ შეეწინააღმდეგება, შენზე მაგარი ჩვენს გენ. დირექტორს არავინ ჰგონია. ნიჭი აქვსო, ასე თქვა, ეგ რომ არ გვყავდეს, ვერაფერს გავხდებოდით, თორემ მეც დიდი სიამოვნებით გავაგდებდიო... მე ვიმსახურებ ღირსეულ ცხოვრებას, მჭირდება ეგ სამსახური... თუ არა და, სასამართლოში შემაქვს სარჩელი. ადვოკატმა მითხრა, რომ კარგი ხნით ჩაგაყუდებენ.

– ნინა, რას ამბობ, რეებს მელაპარაკები, შენ ხარ? არა, არ მჯერა!

– რა არ გჯერა, აბა, რა გეგონა, შენთან დაწოლაზე ვოცნებობდი?! შე მახინჯო, შე უორიენტაციო!

– ჰო, ყველას აქვს სუსტი მხარე, ჩემი – ორიენტაციაა, შენი კიდე მთავარი – არაადამიანი ხარ კარგად განვითარებული ორიენტირებით! – ჩავყვირე ყურმილში და გავთიშე. მისი

მოსმენა აღარ მინდოდა, ეს მაშინ ხდება, როცა სათქმელი არ გაქვს და პასუხებსაც აღარ ელი...

ნინო სადღობელაშვილი

ფიჭვის კევი

,, და მეუფეთა მეუფეო,
უხმოდ, უსიტყვოდ უნდა ვიდგე მე შენს წინაშე?..“
რაბინდრანატ თაგორი

დიანა

მე რომ ყველაფერი მოვყვე, ცხოვრებას რაღა დარჩება.

ეს სადღაც წავიკითხე მგონი, ან იქნებ არც არსად და მე ვფიქრობ ასე. რამდენი ხანია, ასე აღარ მიფიქრია, როგორც ადრე – გემრიელად, ჩემებურად, არავის და არაფრის წინაშე ვალდებული რომ არაფრით ხარ, არც ანგარიშს უწევ ვინმეს. ფიქრობ და იძირები სადღაც, ნისლიან, ლელქაშებიან ტბაში, წყვდიადში, და რაც უფრო ღრმად ჩადიხარ, მით უფრო ბევრი ნაპერწკალი გცვივა თვალებიდან.

ჩემი ნაპერწკლები.

ისინი მურომაც დაინახა ერთხელ, გავეშებული სექსის დროს და თვალებზე ხელი ამაფარა. მერე სულ ეგრე ვნთქავდით ერთმანეთს, გიჟებივით, დიდ-დიდი ლუკმებით. ოღონდ, რა წამსაც მურო ჩემს ნაპერწკლებს თვალს მოკრავდა, მაშინვე ხელებს მაფარებდა. ერთი-ორჯერ კინაღამ ბუდიდან ამომიგდო თვალები. რას შვრები-მეთქი, დავუყვირე და, მე რას ვშვრები თუ შენ რას შვრები, შენი კუდიანი დედა მოვტყანო, დამეწვა ხელისგულებიო, რა დენს ირტყმეინებიო, და ისეთი ძალით მიკბინა ლოყაზე, ორი კვირა ფესტივალის მანეკენივით დავდიოდი – ლოყებმოხატული, ვინმეს რამე რომ არ ეფიქრა.

ჰოდა, ჩაქრა ჩემი ნაპერწკლები. მეც არ ვიცი, სად დავკარგე. არც მიძებნია. მუროსთან კარგად ვიყავი და ბოლოს და ბოლოს, ჭერის შეგრძნება დავიბრუნე.

ვისაც ჭერი აქვს, ის ვერასდროს გამიგებს. რაღაცა არ უნდა გქონდეს, უნდა გენატრებოდეს, რომ იმის ფასი გაიგო.

განა სახლის ჭერზე ვამბობ (თუმცა, არც უამისობაა, ხანდახან კი ორივე ერთსა და იმავეს ნიშნავს). მუროზე ვამბობ – კაცზე, რომელიც მოსიარულე სახლია და მყარი ჭერი ახურავს. მასთან ყოფნა კი შინყოფნის სიხარულს განიჭებს. ბევრი არა, სულ სამი კაცი მყავდა მურომდე, მაგრამ სხვა სამასს ხომ ისე ვიცნობ – დაქალების ქმრებს, ძმებს, მეგობრებს ან მეზობლის კაცებს და, ეს მიიოლებს წარმოდგენას მუროზე – როგორც გამორჩეულად სახლის კაცზე.

სახლიკაცი. დავარქვი კიდეც და შემომიტია, შტერო, ეგ ძმას ნიშნავსო. მაგრამ მე თუ მკითხავ, საყვარელი კაცი სადღაც ძმაც კია შენი, ანუ, იმაზე მეტი, ვიდრე ლოგინში აშლილმა ვნებებმა შეიძლება გაგრძნობინონ, ან კვირაგამოშვებით ქალაქგარეთ პაემნების დროს ნათქვამმა და ან ნაჩურჩულებმა მილიონმა წმინდა და გარყვნილმა სიტყვამ ერთად.

ეს რომ ვუთხარი, ცოტახანს ჩაფიქრდა, ახლადწამოზრდილ ღიპზე მოისვა ხელი და მომეჩვენა თუ მართლა იყო – ისეთი სინაზით შემომხედა, როგორითაც არც მანამდე და არც იმის მერე არ შემოუხედავს.

– აქ მომიჭირა რაღაცამ, სულელო, – დააბოლოვა თავისი მადლიერი ფიქრი და იმ ხელზე მაკოცა, რომელიც ჯერ თავის ღიპზე დამადებინა, „მოჭერილი“ ადგილის საჩვენებლად.

ბოლო ერთი წელი ვასკა ცალკე გადავიდა, მეგობართან. მუროს ეს არ მოსწონდა, ინერვიულა კიდეც – ხომ არაფერზე მემდურის, ყველა პირობას ვუქმნი, რომ კარგად იყოს და რაღატო გამექცაო, მაგრამ ვასკა გონიერი ბიჭია და თვითონ აუხსნა – უკვე დიდი ვარ და მე გადავწყვეტ, როგორ ვიცხოვროო.

მე არ ვყოფილვარ ვასკას წასვლის მიზეზი. მგონი ჩემზე არც არაფერი იცოდა. მამა-შვილს გადასარევი თუ არა, ნორმალური ურთიერთობა მაინც ჰქონდათ. მუროს მამობას ვერ დაუწუნებ – წელებზე ფეხს იდგამდა, რომ იტყვიან, ბიჭი რომ ერჩინა, უდედობა არ ეგრძნობინებინა და ცუდ გზაზე არ გადავარდნილიყო. ვასკაც, დიდად ხმაურიანი და პრეტენზიული არასდროს ყოფილა, როგორც ვიცი. რამდენჯერმე ვნახე. ერთხელ – სტადიონზე წამოიყვანა, რაგბიზე, რუსეთ-საქართველოს ჯახი იყო. ჩვენ კორპორატიული ბილეთები გვქონდა, მურო ჩემზე უკვე ყურებამდე იყო შეყვარებული. ბილეთები ისე აიღო, რომ მთლად გვერდიგვერდ არა, მაგრამ ოთხ-სკამგამოშვებით აღმოვჩნდით. ვასკა მაშინ 15-16 წლისა იქნებოდა. ისეთი ლამაზი სახე ჰქონდა, თვალს ვერ ვწყვეტდი, გავიფიქრე კიდეც – ეს რომ გოგო იყოს, ხომ შეშლიდა ნახევარ ქვეყანას-მეთქი. მაგრამ ძალიან მოწყენილი ჩანდა. ერთ ადგილზე ცმუკავდა. აშკარად სულ ცალ ფეხზე ეკიდა ის რაგბი და ის ყიჟინა.

ყოველ გატანილ ლელოზე მურო ისეთ მუჯლუგუნს გაკრავდა ხოლმე, საწყალი მეზობელ გულშემატკივარს ორჯერ შეასკდა თავით. ვასკა ამაზე უფრო იბოღმებოდა და ბოლოს საერთოდაც, ადგა და წავიდა. მამამისს გარეთ ელოდებოდა. იმდღეს მურომ სახლამდე მაგის გამო ვერ გამაცილა, არადა შემჭამა თვალებით და ღამე კი ტელეფონზე ლაპარაკით დამაოსა. რამდენი ლელოც დღეს

ბიჭებმა რუსებს დაუდესო, ეგრე დაგიდებ ყველა ლელოს და პასუხსაც მოგკითხავ ყველა ოკუპაციაზე და სულ სათითაო დევნილზე გაზღვევინებო, რუსეთს როგორ მადარებ-მეთქი, მტერს და, მტერი ხარ შენ ჩემიო, მტერზე უარესი და იმიტომ შემიყვარდიო, თორე მოყვასის სიყვარულს რა უნდა, ან რა მადლი მაგაშიაო.

ღვაწლში იყო, მოკლედ.

მერე კაფეში ვნახე ვასკა. უფრო სწორად, კაფეს ფანჯრიდან დავინახე. მანქანა მოუყვანა მამამისს, კაფეში არ შემოსულა, გარეთ გაიხმო და გასაღები მისცა. გამხდარი და ფერმკრთალი იყო. ვუთხარი კიდეც მუროს.

ყავის მეტს არაფერს სვამს და ჭამს ეგ შობელძაღლი, მე ხო მაგის ვერაფერი გავიგეო, ჩაიღრინა. გარდატეხის ასაკს დავაბრალეთ. მარტოობასაც.

ჩემთან, სახლში, დედა და დეიდა ცხოვრობენ ჩემ გარდა. მამა დიდი ხნის წინ მომიკვდა. დეიდაჩემი 25 წლისა იყო, თხილამურებით სრიალისას ხეს რომ შეასკდა და ხერხემალი დაიზიანა, იმის მერე, ბევრი იწვალა, ფეხზე რომ გაევლო, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მდგომარეობა უფრო უმძიმდებოდა. ბოლოს სულაც ეტლს მიეჯაჭვა და სულ ბოლო წლებში კიდევ, გარეთაც არ გასულა. დედა დეიდას უვლის, ერთგულად და თავგანწირვით. ჩემი სახლიც მოწყენილია, სევდიანი. ამიტომ, მუდმივად ვარწმუნებდი საკუთარ თავს, რომ მხოლოდ დროებით ვარ იქ, სტუმარივით, ხანდახან ღამეს რომ ათევინებენ და, სულ მალე საკუთარი ჭერიც მექნება...

აბა რა ვიცოდი, ეს ჭერი არა აგურის და ალიზის, არამედ კაცის ხორცის და სისხლისგან რომ იქნებოდა მკვიდრად ნაგები და რაზეც ვოცნებობდი, ასე უცნარად ამიხდებოდა.

სწორად ნატვრას კიდე, ვერ მივეჩვიე და ბოლოს ხელიც ჩავიქნიე.

იქნებ მან, ვინც შორს, ზემოთ, ზის და ჩვენს სურვილებს იწერს, მართლა ჩვენზე უკეთ იცის, რა გვინდა.

ჩვენ კიდევ, არ ვაცდით და გაუთავებლად ვეჩრებით საქმეში.

მურო უხვად მასაჩუქრებდა. ყოველთვის. ისე არ ყოფილა, რომ ჯერ ჩემი გული მოიგო და მერე შეაცოტავა საჩუქრები. მგონი პირიქითაც კი მოხდა – რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო შლიდა ფრთებს მისი ფანტაზია. აქ დავკონკრეტდები და ერთ ჩემს დაკვირვებაზეც ვიტყვი – ფანტაზიაც ის ფრინველია, რომელიც, მიუხედავად შინაარსში ჩადებული უკიდეგანო შესაძლებლობებისა, მაინც რაღაც დასაზღვრულ სივრცეში მოქმედებს. იმ სივრცეში, რომელსაც მისი პატრონის ინტელექტუალურ-სულიერი გამოცდილება ქმნის. მოკლედ რომ ვთქვათ, ფანტაზია ფრინველია, ოღონდ გალიის. და ეს გალიაც, ყველას თავისებური აქვს – ზოგს უფრო დიდი, ზოგს – მომცრო.

მუროსი მომცროზე ოდნავ მეტი იყო. და რაც შეეძლო, იმას აკეთებდა. ყვავილები, სუნამო, სამკაული, კინოს და თეატრის ბილეთები (ამ უკანასკნელის რეპერტუარს მე ვირჩევდი. ჩემთვის ისაც სასიამოვნო იყო, რომ იმაზე ზრუნავდა, რაც გამახარებდა) – ეს პირველ ეტაპზე. მერე კი – წიგნების თარო, ღამის სანათური, ფარდები საძინებლისთვის, ანუ ყველაფერი ის, რაც სახლს ქმნის, სახლის განწყობას.

ჩვენს ნაქირავებ ბინას ყველაფერი უხდებოდა.

პაწაწინა ერთ ოთახს, უფრო პაწაწინა სამზარეულოს და მინიატურულ აივანს.

ქირას რიგრიგობით ვიხდიდით.

ბინა ისეთ უბანში შევარჩიეთ, სადაც ნაკლები ნაცნობი თვალი შეგვამჩნევდა. არც მეზობლებთან ურთიერთობით გამომიდვია თავი. ის ჩემი სახლი გახდა. მურო თითქმის ყოველდღე მოდიოდა. ხან, დღეგამოშვებით.

ბოლოს ყველაფერი ისე იდეალურად აეწყო, ისე უპატიებლად კარგად, რომ შემეშინდა.

ერთი წლის წინ კი, მუროს სახლიდან ვასკა გადავიდა და ყველაფერმა ნელ-ნელა თვალჩაგდებული ნაქსოვივით რღვევა დაიწყო.

დალი

დედა მოგიკვდეს. დედა მოგიკვდეს შენ – დამცინის ჩემი ტერეზა, ცხვირჩამოშვებულს როცა დამინახავს. არ არსებობს, ამაზე არ გამეცინოს. მოდი და ნუ გაიცინებ – ამ უკბილო პირით ისე ოსტატურად ჩლიფინებს, ისე დახვეწილად წარმოთქვამს ქართულად ამ სამ სიტყვას, სულ რომ თავის მოსაკლავად მიდიოდე, შემობრუნდები. მეტი კი არაფერი ისწავლა ჩემგან, მარტო ეს – დედა მოგიკვდეს შენ. იმდენჯერ გაიგონა, სკაიპში რომ ვეუბნები ხოლმე ვასიკოს, დაიმახსოვრა. თან, რაღაცნაირად არტისტულად გამოთქვამს. თქვენ როგორ ეფერებით ხოლმე შვილებს-მეთქი, ვეკითხები. ყოველ შემთხვევაში, დედის სიკვდილს ნამდვილად არ ვუსურვებთო, ამაყად მპასუხობს. ის რომ იცოდეს ტერეზამ, ხანდახან მურიკოსთან ლაპარაკშიც ეს „დედა მოგიკვდეს“ რომ წამომცდება ხოლმე, ალბათ მანიაკად მაღიარებდა.

ოთხმოცდასამის გახდა ტერეზა წინა კვირაში და სტაფილოს სუპი და ტარხუნის ღვეზელი გამაკეთებინა. სპეც-რეისით გამოვაგზავნინე საქართველოდან ტარხუნა ჩემებს მაგის გულისთვის. მეხუთე წელია ტერეზასთან ვარ და მანამდე ორი წელი მის ერთ დაქალთან, მერე სამი – იმის დეიდაშვილთან ვიყავი. ტერეზასთან ყველას სჯობია. შვილები მილანში ცხოვრობენ – გოგო და ბიჭი, ჩემზე დიდები. ამ ხუთი წლის მანძილზე სულ ხუთჯერ ჩამოაკითხეს დედას.

მე და ტერეზა მშვენივრად ვეწყობით ერთმანეთს. უბრალოდ, ვერ იტანს, როცა მოწყენილს მხედავს დ ეს მოხუცი ქალი ყირაზე დგება, რომ გამართოს.

ნეტა შენ, ჩემო ტერეზა. დედაჩემი შენზე ათი წლით პატარა იქნებოდა, რომ ეცოცხლა და ჩემზე შვიდი წლით პატარა წავიდა ამქვეყნიდან – დაბეჩავებული, გალეული, ასი წლისას გავდა კუბოში.

არადა, თქვენ რომ წყალი, ხილი და ბოსტნეული გაქვთო, მათუსალას ასაკამდე უნდა ცხოვრობდეთო, თვითონვე უკვირს, ჩვენებზე რომ ვუყვები ხოლმე. გიჟდება ქართულ კერძებზე, ვუკეთებ და ვუკეთებ და ვუყვები და ვუყვები ისტორიებს. იცის, რემონტის ფულს რომ ვაგროვებ. დაძველდა ჩვენი ბინა. იმდღეს ვიდეო-თვალით დამათვალიერებინა მურიკომ და გული გამისკდა – ვანა-ტუალეტის კედლები სულ დამსკდარა, საძინებლის კედელი დალპა და ტირის, შპალერი გამოსაცვლელი, ავეჯი... იქნებ შემოდგომამდე მოვასწრო და გავაკეთებინო.

რატომ მითხრა ისეთი უცნაური რაღაცა გულიკომ? თავიდან არ ამომდის. სახეც ისეთი ქონდა, ნაჯახივით... მიხედე შენ ბიჭს, ის გირჩევნიაო, ცოლი მოაყვანინეო. მაგაზე მეტად რა უნდა მინდოდეს, ვასიკომ რომ ცოლი მოიყვანოს, მაგრამ

ჯერ არ ვფიქრობდი ამაზე. იმდენი რამე უნდა ცოლს, მერე ბავშვი გაჩნდება, მიმსვლელი, მომსვლელი... თუმცა, იქნებ კარგი აზრიცაა და ბოლოს და ბოლოს, ნახავს თავის პატრონს, დედა მოუკვდეს მაგას. იპოვის, ვინც მიეფერება, დაურეცხავს, ტკბილ სიტყვას ეტყვის, გულს და სულს გაუზიარებს... გოგოც კი მითხრა გულიკომ. თავისი თანამშრომლის გოგო. ვიცნობ იმ თანამშრომელს, ნათიას. კაი ქალია. ასე მგონია ყოველ შემთხვევაში და გულიკომაც ძალიან აქო ორივე. ჩავერევიო, თქვენი ოჯახისთვის რას არ ვიზამო. ოღონდ შენ ჩამოდი და მიხედე ამ შენ ქმარ-შვილსო. ღმერთო, ნეტა ხო მშვიდობაა და რამეს არ მიმალავენ?.. მარა, სიზმრები მაინც მექნებოდა ცუდი, რამე რომ ხდებოდეს, არ არსებობს! მე ეგეთები არ გამომეპარება. ვასიკო უკვე დიდი ბიჭია და თან, კარგი შვილია, ჭკვიანი. ვიცნობ მე ჩემ შვილს. ცუდისკენ გამხედავი ეგ არ არი. ღმერთო, ნეტა რამეს ხო არ მიმალავენ და მე კიდე აქ ჭურში ვზივარ და ტერეზასთან ერთად კარტს ვშლი და ლოტოს ვთამაშობ!

რაც მე იმ „შროშანისფერი სანტა-მარიას“ გზა გავთელე, ჩემდენს მარტო ის ახალგაზრდა პადრე დადის, მეტი არავინ. ხანდახან მხოლოდ მე და ის ვართ ხოლმე ტაძარში და დგას გულისწამსვლელად ნაზი სიმშვიდე, ჩვილი რაღაცნაირი, და რომ მესმის იმ პადრეს გულისცემაც კი, ისევე, როგორც ალბათ მას ესმის ჩემი... და რომ ვეხვეწები ჩემს შროშანისფერ სანტა მარიას, აქ შენს მეტი არავინ მყავს-მეთქი, შენი სახელის წარმოთქმა მამშვიდებს და მამხნევებს-მეთქი, როგორც ჩემს სამშობლოში ბოდბის ღვთისმშობლის ყურება და მასთან საუბარი... და ვიცი, ვიცი ისმენს ჩემი შროშანისფერი სანტა მარია და არასდროს არ მომასწრებს ჩემი ოჯახის ცუდს. ამარიდებს უკიდურეს ტკივილს, რომ არ დაიმსხვრეს ჩემი სული, ამდენი წლის

მონატრებით გაძეძგილი, ვიცი, ამარიდებს ყველაზე ცუდს და წარმოუდგენელს ჩემი სანტა მარია, ვიცი...

დიანა

ექიმმა წყალი მომაწოდა და მგონი სიგარეტიც კი შემთავაზა, ხომ კარგად ხარო. ნორმალურად არც მახსოვს. ბარბაცით გამოვედი კლინიკიდან.

ყველაზე მეტად რაც დამეზარა – შინ წასვლა იყო. ფეხით გავლა მომინდა. ყველა სეზონი მიყვარს ამ ქალაქში, ამ ძალით დამახინჯებულ ქალაქში, ყველა მის რკინა-ბეტონს და უთავმოყვარეოდ აჩონჩხლილ კორპუსებს რომ აგინებს. მე მაინც მიყვარს, თუნდაც ამ რკინა-ბეტონიანად, რადგან ხუთი ამდენი რკინა-ბეტონი ალბათ გულში მაქვს და ტვინში კიდევ და, მესმის, როგორია ცხოვრობდე სულისშემხუთავი შინაგანი არქიტექტურით. არაფერი ისე არ აძლიერებს სიყვარულს, როგორც მსგავსება, სიახლოვე.

დავემსგავსეთ მე და ჩემი ქალაქი. და ადრიანი შემოდგომაც ერთნაირი გვაქვს ახლა. ფოთლები პირდაპირ სისხლზე გადატარებულ ასფალტზე მაცვივა.

ორი დღეა მურო არ ჩანს. ვურეკავ – მითიშავს. „მაცადე და დაგირეკავო“ – ერთი ეგ მომწერა. არ იცის თავის ცხოვრებაზე, თავის პრობლემებზე ლაპარაკი. სიტყვას ვერ ამოგლეჯ. შენ რა გინდაო, შენთან ხომ ვარ მთელის ჩემის თავითაო და დანარჩენზე შემეშვიო, მეუბნება ხოლმე. ხანდახან მგონია, რომ „დანარჩენი“ არც აქვს. მაგრამ, ვასკა?

ჩემი თანამშრომლის მეზობელი აღმოჩნდა ბიჭი, რომელთანაც ვასკა საცხოვრებლად გადავიდა. ესაც მე დავასკვენი, რომ ვასკაზეა საუბარი, თორემ იმ ჩემმა თანამშრომელმა, ლიაკომ, არც ვასკას არსებობა იცის და

არც მუროსი. ყავას ვსვამდით შესვენებაზე, პაციენტები არცერთს არ გვყავდა, ჯანსაღი კბილების საერთაშორისო დღე იყო თუ რა ვიცი, მთელიდღე ერთ კბილატკიებულს არ შემოუღია კარი. საღეჭი რეზინისგან პლომბებს ვაკეთებდი უსაქმურობისგან და სამზარეულოს მაგიდის ღრიჭოებს ვაცობდი მაღალი პროფესიონალიზმით.

და, მიყვება ეს ლიაკო უცებ:

ჩემი სახლი ხო იცი სადაცაა – სასაფლაოს გადმოყურებს პირდაპირ, ჩემი აივნიდან მთლად ჰადესის ზედხედი იშლება, თუმცა უკვე ისე შევეჩვიე, სიგარეტსაც კი უდრტვინველად ვეწევი, რაღა დაგიმალო და საღამოობით აივანზე ჯდომა და მიდამოს თვალიერებაც კი შემიყვარდა – ჩემი ყველაზე უწყინარი და მშვიდი მეზობლების გარემოცვა. მაგრად შევეჩვიეთ ერთმანეთს. ჰოდა, წუხელ, არ დამაძინა თავისტკივილმა და ავდექი, მოვიცვი და გავედი აივანზე. ოდნავ ცრიდა და ეს ნოტიო ჰაერიც მესიამოვნა და შევრჩი კაიხანს. სასაფლაოებისკენ რამდენჯერაც გავიხედე, ვხედავ – ვიღაც დადის საფლავებს შორის, ვიღაც კი არა, ორნი, და მესმის ჩხაკაჩხუკის ხმაც. ჯერ ვიფიქრე, მესაფლავეა-მეთქი, ათასში ერთხელ ეგრე წამოუვლის ხოლმე და შუაღამისას ურტყამს საპატიო წრეებს საფლავებს, ოღონდ არ ვიცი რა მიზეზით, რა ჩემი საქმეა. ადრე ქურდებიც დაიჭირეს ეგრე, 90-იანებში და მერეც, ახალდამარხულ მიცვალებულებს ძარცვავდნენ. მაგრამ ახლა არც მესაფლავე იყო და ქურდებიც, ვერაფრით ვერ წარმოვიდგინე, დავიძაბე და თვალი არ მომიცილებია. და მივხვდი, რასაც აკეთებდნენ – უფრო სწორად, იმ ორიდან ჯერ ერთი ვიცანი – ჩემი მეზობელი, ერთი სახლის ქვემოთ ცხოვრობს, ლაშა, ჩემ თვალწინ გაზრდილი ბიჭია, დიდი უცნარი ვინმე კი იყო ყოველთვის, ჰოდა დაუჭერია ამ ლაშას ფოტოაპარატი,

დაარბენინებს იმ მეორეს საფლავებს შორის და უღებს ფოტოებს, ალბათ ღამის განათებით. ნაპერწკლებივით ელავს იმ წკვარამში ამათი ჩაჩხაკუნებული კადრები.

ისაც, მოდელი თუ რაც ქვია – ხან საფლავის ქვასთან იპოზიორა, ხან ღობესთან, ხან სადღაც გაწვა, ხან იასამნის და კვიპაროსის ბუჩქებს ამოეფარა. აუ, ისეთი მაზალო სანახაობა იყო, ბრრრრ.... რაღაცებს ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ, მაგრამ სიტყვებს კარგად ვერ ვარჩევდი, აი, სახელი კი გავიგე, ეს, ჩემი მეზობელი რომ ეძახდა – ვასკა და ვასკაო, ყვიროდა. მერე ამ ჩემმა ლაშამ ქურთუკი გაიხადა და იმ ვასკას შემოაცვა. რამე ახალი არტია ღამის სასაფლაოზე ფოტო-სესია?

ვასკას ხსენებაზე გავიყურსე და თუ რამე კიდევ ახსოვდა იმ ნანახიდან, წვრილად გამოვკითხე ლიაკოს – რა ეცვა, ან როგორ იყო. ბევრით ვერაფრით მიხვდებოდი. გამხდარი და საშუალო სიმაღლის ბევრი ვასკა იქნება ქალაქში. მაგრამ მაინც ჩამრჩა მისი მონაყოლი. მერე მუროს ვკითხე, რა ჰქვია შენი შვილის მეგობარს, ვისთანაც ახლა ცხოვრობს-მეთქი და, ლაშაო, მიპასუხა. ჯგუფელები არიანო, ერთად მეცადინეობენო. ვიგრძენი, რომ ვასკაზე ჩემთან საუბარი არ სიამოვნებდა მუროს და აღარ დავაძალე.

მაგრამ, რომ გამოჩნდება, მოუწევს. ბევრ რამეზე მოუწევს ლაპარაკი. მარტო ვასკაზე არა. ჩემზე. ბოლოს და ბოლოს, ჩემზე.

დალი

მომეჩვენა, რომ არ გაუხარდა. ეს ეჭვი თავიდან ვერ ამოვიგდე. ეს საშინელი მოჩვენება. მეასიათასედ ვამეორებ კადრებს გონებაში და ვუკვირდები ყველა

დეტალს: აი, დავრეკე. აინთო ვიდეო-თვალი. გული ისე მიცემს, ლაპარაკი მიჭირს, ხუთი წლის გოგოსავით ვხვანცალებ. გამოჩნდა მურიკო. ყავისფერი ჯემპრი აცვია, ჩემი გამოგზავნილი. ძალიან უხდება. ჭაღარა კი შეერია, მაგრამ ისევ კაი ბიჭია მურიკო, ცოტათი რობერტ დე ნირო და სადღაც გიორგი შავგულიძეც. როგორა ხარ, მურიკო? – ვეკითხები და ხმა მიკანკალებს. კარგად დალიკო, შენ რას შვები? – მპასუხობს და მიღიმის, შავი, კუნაპეტი შავი თვალებით.

ვასიკო სადაა? ეკრანს იქით ბავშვს დავეძებ, იქნებ მოხდეს სასწაული, შინ იყოს და ერთხელ მაინც შემოიხედოს ვიდეო-თვალით. ლექციებზე, დალი. კარგადაა ბიჭი. სწავლობს. სტიპენდია დაუნიშნეს, იცი? – მეჩვენება, რომ დაძაბული მპასუხობს მურიკო. ალბათ დაღლილია. შენ, თვალმარგალიტო? მუშაობ ხო? მანქანას პაჩებნიკი გამოუცვალე? აკუმლატორი? გყავს კლიენტები? – მეც სწრაფად ვაყრი. თვალმარგალიტი კი არა ის კიდე, – უხერხულად იშმუშნება და ამ ჩემს ძვირფასეულობას უკან მიყრის, ეკრანს აქეთ. ვიცინი. ხარ, ხართ ორივე მაშ! – არ ვნებდები. რავი დალი, მუშაობა ისე რა, მთელი საქართველო ტაქსაობს ეხლა და დიდი კონკურენციაა, ხო იცი არა? – რაცნაირად მძიმედ მპასუხობს.

მურიკო, – ვიწყებ. ხელები მეყინება. ჰო, დალი – ზანტად მპასუხობს – როგორი ამინდები გაქვთ?

ამინდების თავი მაქვს?

მურიკო, ხო იცი როგორ ვნერვიულობ თქვენზე, – მეორედ ვიწყებ. ვიცი, დალი. მაცადე – ვაგრძელებ – ფულს ამ თვეში ვერ გამოგიგზავნით, იმიტომ, რომ რემონტის ფულს უნდა დავუმატო რომ ბოლოს და ბოლოს რაღაც დავიჭიროთ ხელში. რა მოვიფიქრე, იცი? ვასიკოს ცოლი უნდა

შევრთოთ. თვითონ თუ არავინ ყავს, ჩვენ დავეხმარებით. ხო იცი, რო მე თავისუფალი არჩევანის მომხრე ვარ და ეგ ისეთი საკითხია, კარგი იქნება ყველამ თვითონ რომ გადაწყვიტოს, მაგრამ თუ რამეში ჩემი დახმარება დაჭირდება, აგერ ვარ. მაცადე, მურიკო, გითხრა. იმდენი ოჯახი იქმნება ეგრე, კეთილი სიტყვით. იღბლიანი ჩარევით. მე და შენ რა, ეგრე არ ვიპოვეთ ერთმანეთი? რა, ცუდი ოჯახი გამოგვივიდა? ხო ვიყავით ბედნიერები, ვიდრე ქვეყანა აირეოდა. ჰოდა, დავეხმარები, დედა მოუკვდეს მაგას, ისედაც დავსაჯე ბავშვი, როცა ვჭირდებოდი, მაშინ რომ გამოვეცალე. მურიკო, – ბოლოჯერ ჩავისუნთქე და ამოვაყოლე ერთ ოთახ ჰაერს – ჩამოვდივარ. მანდ უნდა მოვაგვარო ეგ ყველაფერი.

აი, ამ კადრს ვატრიალებ გონებაში დაუსრულებლად და უკვე ტვინი მტკივა.

და ყველა ხელახალ ჩვენებაზე ერთი და იგივე ეჭვი მჭამს – არ გაუხარდა. გაშრა. მგონი გაშავდა უფრო მეტად.

ახლა, რას ველოდი აბა – ათი წელია ერთმანეთი არ გვინახავს და ელდა იქნებოდა ეს ამბავი მისთვის. გადახარშვა უნდა ამ ელდას და მონელება და, აქვს კიდეც ამისთვის ერთი კვირა.

ბილეთიც ვაჩვენე. ერთ კვირაში თქვენთან ვარ-მეთქი.

ტერეზაო? – მეკითხება. ტერეზას ნარის ვუტოვებ, შობამდე იქნება და მერე ვნახოთ-მეთქი, არ იდარდო მაგაზე-მეთქი. ოღონდ ვასიკოს არ უთხრა ჯერ არაფერი, სიურპრიზი მინდა გავუკეთო, თავზე მინდა დავადგე-მეთქი. იუარა, არ გამოვა მასეო, როგორ დავუმალოო. ვაფიცე და ვაფიცე და რავი, იმედია შემინახავს სიტყვას.

რა დაგახვედროო, ბოლოს მაინც მკითხა – და ეს ჩემში ჩასახლებული ხუთი წლის გოგო ხომ ვერ მოვიცილე იმდღეს და, ისევ იმ გოგომ უპასუხა დაუფიქრებლად – ფიჭვის კევი! ფიჭვის კევი, ჩვენი ტიმოთესუბნიდან, ჩამოატანინე ვინმეს!

დიანა

არაფრის დრო აღარ გვაქვს. გავრბივართ ამ სამყაროდან თავქუდმოგლეჯილები, თითქოს სხვაგან ვინმე გვეპატიჟებოდეს, სხვაგან უკეთესი იყოს. ერთი შეყოვნებისთვისაც აღარაა დრო, ერთი გაყუჩებისთვის. რაღაც საყოველთაო ოლიმპიადაა, დიდი სრბოლის ჩემპიონატი. მართალია, ოლიმპიელებს კაი შორ მანძილზე ჩამოვრჩი, მაინც არაფრის დრო არ მაქვს – როდის დავჯდე და ცხოვრებაზე დავფიქრდე? გამოტოვებულ დღეებზე, ალბათ წლებზეც, განუხორციელებელ სურვილებზე, უფრო სწორად – გეგმებზე. პრაქტიკული ადამიანი ვარ და გეგმებიც მქონდა ოდესღაც – დიდი კლინიკის გახსნა მინდოდა, სადმე, ზღვის ან ტბის პირას, საზაფხულო სემინარებისა და სიმპოზიუმებისთვის – ვერანდიანი სასტუმრო, სტაბილური ოჯახი, შვილებს – ევროპული განათება, მოგზაურობა... ეს გეგმები პირადი არქივის საქმეებში შეჩურთულ დაშიფრულ კოდებად იქცა, ალტერნატიული რეალობის პროექციად, რომლის ლეგიტიმაციაც მარტო ჩემს ნებაზე არ ყოფილა. სხვა ხმებიც სჭირდებოდა. ეს ხმები ვერ მოვიპოვე. კოდები კოდებად დარჩა, ჩალპა ბოლოს არქივის საქმეებში.

სტაბილური არაფერი აღმოჩნდა. სულ გულისხეთქვა და სულ გადარჩენისთვის ბრძოლა.

ჩემმა ფსიქოთერაპევტმა მეგობარმა მთელი საღამო მისმინა, ბოლოს და ბოლოს, ეს ჩემი წლობით დაგროვილი

სტრესები და შიშები რომ ამოვიბღავლე, მერე კეფაზე მიიჭირა ხელები და მყარი ნახევარტონებით მითხრა: შენ პატრონი გჭირდება, შვილო. უპატრონო ხარ.

იმის დროც არ მქონდა, რამე შემეცვალა – მე თვითონ ვიყავი ჩემების პატრონი და მათ ვჭირდებოდი. ბოლოს, ალბათ ბუნებას შევებრალე, ან მობეზრდა ჩემი დამაშვრალი სულის ყურება და დამიდო სახლის წინ, ზღურბლთან, ახალი ფეხსაცმელები – ეს ახალ გზას ნიშნავდა.

ჩავიცვი. მომერგო.

ჩემზე ყოველთვის ამბობდნენ, რომ შორს წავიდოდი, ბევრს მივაღწევდი. ზოგიერთისგან ფარული შურიც მიგრძვნია. დედაჩემს სულ ეშინოდა, ვინმემ არ გაგთვალოს და ჯადო არ გაგიკეთოსო. ოღონდ, ეს რა აკვიატება იყო, არ ვიცი. არაფრის მომტანი არ იყო ჯადოზე ფიქრი, არც მაგის შიში. მღლიდა და მაღიზიანებდა პირიქით. ცხოვრება ფაზებად მახსოვს – როცა ვნათდებოდი და როცა ვქრებოდი.

მურო ნათელ ფაზაში გავიცანი. ის ახალი ფეხსაცმელები მეცვა, ტაქსი გავაჩერე, ჩავჯექი და მისამართი ვუთხარი.

მურომ სარკეში შემათვალიერა და ცოტა ხანში საშინლად ბანალური რამე მითხრა: მე სულ ტაქსისტი კი არ ვიყავი. ცოტათი ჯადოქარი ვარ და ადამიანის ამოცნობის ნიჭი მაქვს. გიყურებ და ვხვდები, სიახლეს როგორ დაეძებ. წამოდი, ჩიტო, აბასთუმანში, ვარსკვლავებზე ვილაპარაკოთ.

გავაჩერებინე და მანქანიდან გადმოვხტი. მგონი შევაგინე კიდეც.

მეორე დღეს მომძებნა და მოვიდა. რა დიდი ძებნა მინდოდა – მთელი დღე მითვალთვალებდა თურმე და უკვე ყველაფერი იცოდა ჩემზე. თქვა, რომ ერთი ნახვით შევუყვარდი და ეს ზუსტად ის იყო, რასაც კაცები და...ვებას ეძახიან.

უკვე ოთხი წელი სრულდება. ოთხი დღეა არ ჩანს და მეტს ვეღარ ვითმენ.

მის სახლში ავდივარ. არ მაინტერესებს, ვინ რას იფიქრებს. იქნებ დროც კია, ყველამ ზუსტად ისე იფიქროს, როგორც სინამდვილეშია? ლიფტი არ მუშაობს, ფეხით მივუყვები კიბეს. გული მიჩქარდება, დილიდან წნევაც დაბალი მაქვს. ექიმმა – კიდე უარესს ელოდეო, შეიძლება წოლითი რეჟიმიც კი დავნიშნოთო. მეორე სართულის მეზობელი სადარბაზოს ბაქანს საპნიანი წყლით რეცხავს. ყოვნდება – ჯერ მე მატარებს. ინტერესით მათვალიერებს. მურო მეხუთეზე ცხოვრობს.

ვდგავარ მის კართან. ზარის დარეკვა არ მინდა. არც დაკაკუნება. რამდენ ხანს ვიდგები ასე? და, ძალიან თავხედურად ვიქცევი – სახელურს ვქაჩავ. ისე, ყასიდად. რას წარმოვიდგენ, რომ კარი ღიაა.

და ის ღიაა! მშვიდად მნებდება. ოდნავ ვაწვები. მინდა, დავუძახო, მაგრამ ხმას ვერ ვიღებ. შევდივარ ერთიციცქნა მოსაცდელში, შეიძლება აქ სული შეგეხუთოს. ბნელა. ორ ნაბიჯს კიდევ ვდგამ და სამზარეულოსკენ უნდა წავიდე, რომ ხმა მესმის. ხმები. ერთი მუროსია. ვიღაც ბიჭს ელაპარაკება მოგუდული ყვირილით. თითქოს გრძნობს, რომ კართან მე ვდგავარ და ვუსმენ.

– ხოდა მაგიტომ გითხარი რომ ვიცი შენი უკუღმართი ხასიათი და ხუშტურები!

– რა ხასიათი და რა ხუშტურები? ჩემი ცხოვრება მაქვს მე! შეიგნე!

– მერე ეგ დედაშენთან რა შუაშია, ბიჭო?

– ა, ეხლა გაგახსენდა დედაჩემი?

– რას ბოდავ?

– როდის მერე შეყურებ თვალებში და ერთგულად უსრულებ ყველაფერს? და როგორც მე აღარ ვერევი თქვენს ცხოვრებაში, კეთილი ინებეთ და თავი დამანებეთ! დიდი ბიჭი ვარ მე!

– სუ აგირიეს ტვინი ხო?

– ვინ?

– მე რა ვიცი. შენ გეკითხები. ხან ვინ მეტყვის შენზე რაღაცას გადაკრულად, ხან ვინ. შენ, ბიჭო, გინდა თავი მომაკვლევინო? მარა ჯერ შენ მოგკლავ და მერე მოვიკლავ თავს, ეს იცოდე!

– რისთვის მკლავ?

– თავს თუ მომჭრი ბიჭო, გაიგე?

– და შენ არ გვჭრი თავს?

– მე?

– ხო შენ – მთელმა შენმა და დედაჩემის სანათესაომ იცის რო საყვარელი გყავს, რო ძაან მშვენივრად ააწყე ცხოვრება როგორც გინდა. იმ საწყალ ქალს იქ არაფერს ეუბნებიან, გული რო არ გაუსკდეს. და როცა სხვისთვის მორალის კითხვას დაიწყებ, ჯერ საკუთარ ცოდვებზე იფიქრე, მამა!

ეს „მამა“ ისე დამარცვლა!.. ისეთი ღრენით ჩაათავა... სამზარეულოში რაღაც გატყდა. რომელიღაცამ ჭურჭელი დალეწა.

– რა, ტყუილს ვამბობ?

– შენი დედა რო მოვტყან მე! შე ნაგავო ბავშვო! შე ქალაჩუნა ბავშვო!..

– რა თქვი?

– მაგის ღირსი ვარ მე შენგან, შე ახვარო ბიჭო? რო ესე გამიმეტო, ეგ დავიმსახურე? დედაც მე ვიყავი შენი და მამაც და რა წლები გამოვიარეთ ერთად და სულ ეგაა შენი პასუხი?

– ძაან მეცინება რო გიყურებ.

– ნუ მაღიზიანებ, თორე მართლა ყელს გამოგჭრი და მერე მე გამოვიჭრი ყელს, გითხარი!

– როდის ჩამოდის?

– შე უგულო ადამიანო, ვეღარ გცნობ მე შენ. უკვე დიდი ხანია ვერ გცნობ. ან ეგ გული ვინ ამოგგლიჯა, ან ეგ ტვინი ვინ გამოგილაყა!

– როდის ჩამოდის-მეთქი!

– ან რისთვის წავიდა?! ხო ვიცოდით ორივემ, რო არ გამოსწორდებოდა ამით არაფერი! რისთვის მიგვატოვა და წავიდა, მე თქვენი დედები რო მოვტყან ორივესი! რო შემძულდა სუყველაფერი, ჩემი გაჩენის დღე რო მოვტყან და ჩემი არსებობის წუთი და წამი!

– როდის ჩამოდის?

– მაზეგ. მაზეგ დილით აქ იქნება.

ისევ მსხვრევის ხმა. იატაკზე ფაიფური იფშხვნება. კარის სახელურს ისე ვებღაუჭები, ცოტაც და ენას ამოიდგამს და ისაც შემაგინებს, შემეშვიო.

– მე მივდივარ.

– სად, ბიჭო?

– სულ მივდივარ. თქვენგან. შეიძლება ქვეყნიდანაც. დედას შენ აუხსენი ყველაფერი.

– რა ავუხსნა, ბიჭო?

– არ მინდა მისი ნახვა! არა!

– რატო, ბიჭო?

– არ შემიძლია! არავის მოუცია ჩემთვის მაგდენი ნერვი და მაგდენი სიყვარული, არ მეყოფა არცერთი, ვერ გავუძლებ! გესმის რამენაირად?

– არ მესმის! და აქ ეგდები და აქ დახვდები დედაშენს!

– წავედი!

– სად გარბიხარ! ეგეთი სუსტი ხარ?

– შენ არ იცი, მე ვინ ვარ.

– მართლა პიდარასტი ხო არა ხარ, ბიჭო?

ჭახანი. ბოლოჯერ. რადგან ყველაფერი მთავრდება. ვასკა ისე ჩამიქროლებს. ვერც მამჩნევს. კარს იჯახუნებს. სადარბაზოს კიბეზე ბრაგაბრუგით ჩარბის.

ძლივს ავედღლიზე სახელურს. ხელებს ისე ვაცეცებ ჰაერში, გეგონება წყვდიადში მივდიოდე. სამზარეულომდე მივიკვლევ გზას.

ზის, თავჩარგული. დამსხვრეულ თეფშებს და ჭიქებს ვაბიჯებ და მის წინ ვდგები.

როდის-როდის მამჩნევს. მიყურებს გაოგნებული. ვერაფერს კითხულობს ჩემს სახეზე, როგორც მე მისაზე. ასეთი არაფრისმთქმელი და უაზრო სახე დიდიხანია არავიზე მინახავს. მერე უცებ შიში მიპყრობს. მისი ძალის მეშინია. მისი დაუხარჯავი ბოღმის და ბრაზის. შიშისგან ოფლად ვიღვრები. და მაინც ვამბობ:

– ხო მითხარი, რომ გაშორებული იყავი?

სიმწრით ეღიმება. მერე მაგიდაზე დაგდებულ დანას იღებს და თვალისდახამხამებაში დაუშვებს თავისივე მარცხენა ხელისგულზე.

ბოყინისმსგავსი აღმოხდება.

მაგიდაზეა დაჭედებული. ვერ გამაცილებს.

დალი

ბოლოჯერ ველაპარაკე სკაიპით მურიკოს. ფრენა გვიან ღამითაა და საღამომდე მოვასწარი. ვასიკომ ხო არაფერი იცის-მეთქი. არაო, მამშვიდებს. ახლა სადაა-მეთქი, რატომ აღარ მელაპარაკება ამ ბოლო დროს-მეთქი. ხო იცი, არ უყვარს სკაიპში ლაპარაკიო. სულ ეგეთი ბიჭი იყო ვასიკო, ძალით უნდა ამოგეგლიჯა სიტყვები. მაგისგან ერთი თბილი სიტყვა არ მახსოვს, მოსაფერებელი. აი, გოგოები რომ თავიანთ შვილებზე ყვებოდნენ ხოლმე, ჩემმა შვილმა ასე მითხრა და ჩემმა კიდე ასეო, მე ერთადერთი ამბავი მქონდა მოსაყოლი– რომ დამადგა ერთხელ თავზე, შუაღამისას, მსხლებიანი პიჟამოთი, შემომიწვა ცივი ფეხებით და მეუბნება – მე თუ ვერა, იქნებ სხვა მაინც გადაარჩინოო. ნახევრად დახუჭული თვალები ჰქონდა და

მივხვდი – სიზმრიდან მელაპარაკებოდა. ჩავიხუტე და ვკოცნე და ვკოცნე და დამყვა და დამანება და შემარგო ის მოფერება იმ ღამით. დედა მოუკვდეს მაგას. მივხედავ ორივეს. მურიკოს ხელი გაუჭრია გატეხილ თეფშზე, იდაყვამდე ქონდა გადახვეული. მეტი არ მაჩვენა, მარტო ეს დავინახე.

აეროპორტიდანაც დავრეკე. ვაიფაიც იჭერს აქ, მარა არცერთმა არ აიღო. ალბათ ძინავთ. დილამდე ცოტას გამოიძინებენ.

აქ რაღაც ჩოჩქოლი იყო ცოტა ხნის წინ. სირიელი ლტოლვილების ჯგუფი იცდის თურმე მესამე დღეა და არც იქით უშვებენ და არც აქეთ. ძირს წვანან, საცოდავად, პლედებზე და ტურისტების ნაჩუქარ პარალონებზე. ჯღავიან ბავშვები, შიათ, წყურიათ... ჩვენი დევნილები მახსენდება, სკოლებსა და ბაღებში რომ შერეკეს, მერხებზე რომ ეძინათ და ჩამტვრეულ ფანჯრებზე გაზეთებს აკრავდნენ, ქარისგან რომ ცოტათი დაეცვათ თავი. მაგრამ ახლა ამათთვის ჩვენი ქვეყანაც კი საოცნებოა. ნებისმიერი ადგილია საოცნებო, სადაც შვილებს გადაარჩენენ.

ადმინისტრატორი ფრენის ნახევარი საათით გადადებას აცხადებს. რაღაც საეჭვო განგაშია. ხალხი აქეთ-იქით დაბნეული აწყდება. პანიკა ჩუმად, გველივით მოცოცავს აეროპორტისკენ.

ახალგაზრდა სირიელი ქალი ჩემთან ყველაზე ახლოს ზის, მუცელზე ჩვილი ყავს აკრული ტილოს ნაჭრით. სულ მე მიყურებს. თავიდან ვიძაბები. მერე ვცდილობ გავიგო, რამე ხომ არ უნდა. ბავშვს ძინავს ტილოს გუდაში. ჩანთიდან ტერეზას ჩალაგებულ ფუნთუშებს ვიღებ და ვაწვდი. მორცხვად მართმევს, მადლიერებით მიღიმის. რა

ლამაზია! ახლაღა ვაკვირდები – მუქი ხორბლისფერი თმა და კანი, მომწვანო-ლურჯი თვალები, პაწაწინა პირი და ქათქათა კბილები... თითები – ცოტათი ჭუჭყიანი, მაგრამ კოხტა, ნეკზე წამოცმული ოქროს რგოლი, წითელი თვლით.

უცებ ამ თითებს გრძელი კაბის ჯიბეში იყოფს და იქიდან პატარა შეფუთულ პაკეტს აძრობს. თვითონვე ხსნის და მიწვდის. ქარვისფერი ბურთულაა. ღიმილით ამოძრავებს ყბებს – მანიშნებს, რომ დასაღეჭია. აჰა, ანუ საღეჭ რეზინას მჩუქნის. ვართმევ და იმის ნიშნად, რომ მეც მადლიერი ვარ, პირისკენ მივაქანებ. ვაჰ, რა უცნაური გემო აქვს. თითქმის ჩვენებური ფიჭვის კევის. კი მაგრამ, საიდან აქვს სირიელ ქალს ფიჭვის კევი? სირიაშიც იზრდება კევიანი ფიჭვები? ქარვისფერი კევის გემო მაცოცხლებს და მართობს. ფიქრებს მიქარვებს.

მთავარ გასასვლელში პოლიციის რაზმი ჩნდება. ყველა მიმართულებით იშლებიან და სათითაოდ გვაფრთხილებენ, რომ დავტოვოთ დარბაზი.

პანიკა მატულობს. რა ხდება? – ეკითხებიან პოლიციას. შემოსულია შეტყობინება, რომ მოსალოდნელია ტერაქტი, ამიტომ დარბაზში ყოფნა დაუშვებელია.

თვითმფრინავი გასაფრენად ემზადება. მობილიზება იწყება. გასასვლელებში რიგი დგება. დარბაზი ძნელად, მაგრამ თანდათან იცლება. ჩემი სირიელი გოგო, ჩვილაკრული, ისევ ჩემს შორიახლოს ტრიალებს. შეშლილი თვალები აქვს. ნეტა მერამდენედ შეეშინდა? მერამდენედ უნდა გაიქცეს? ან მე რატომ არ მშორდება, რას მანიშნებს?

დანარჩენ ლტოლვილებს სადღაც მიერეკებიან. ისინი უკმაყოფილოდ ჩივიან თავიანთ ენაზე, ხელებს იქნევენ.

ჩემს გასასვლელთან ვდგები. ბილეთი და პასპორტი მაქვს ჩაბღუჯული. სირიელ გოგოს ვუყურებ. ისაც მიყურებს. პანტაპუნტით უშვებენ გასასვლელში, ზერელედ ამოწმებენ, ოღონდაც ხალხმა დროულად დატოვოს აეროპორტი.

ბავშვი ტილოს გუდაში იღვიძებს. თოთო ლოყები უღაჟღაჟებს. გაკვირვებული აცეცებს თვალებს. ვასიკომ იცოდა ზუსტად ეგეთი გაღვიძება. ზუსტად! – გაოცებული, თითქოს ისეთ სამყაროში მოხვდა, სადაც არაფერი ესაქმებოდა, თითქოს სხვაგან გაიღვიძა, უცხო ხალხში, უცხო გარემოში. როდის-როდის მოდიოდა აზრზე. წვალებით და ტირილით.

და, სანამ ეს ბავშვიც ატირდებოდეს, უცებ საოცარი აზრი მომდის თავში! ძალიან, ძალიან მნიშვნელოვანი აზრი! გოგოს მაჯაში ვაფრინდები და ჩემს გვერდით ვაყენებ, ჩემს პასპორტს და ბილეთს ვაჩეჩებ, მერე მისი ხელითვე ვუწვდი ოპერატორს. ოპერატორი დაბნეული იშმუშნება, უკნიდან ზღვა ხალხი გვაწვება – ჩქარა! ჩქარა! ოპერატორი გოგოს ატარებს და ის უკვე თვითმფრინავისკენ მიმავალ ჰოლში დგას. არა, მოიცა, ისევ მინათდება გონება – პირიდან ქარვისფერ კევს ვიღებ და ჩემი პასპოტის უკანა მხარეს ვაწებებ, გოგოს ვაჩეჩებ. კევი ხელისგულზე ეწებება, ვინმეს ეგონება, ერთმანეთს ხელს ვართმევთ, ვემშვიდობებით.

მართლა ვემშვიდობები, თვალებით. საშინლად დაბნეულია, ვერ იძვრის, მაგრამ ხალხის ტალღას ჰოლისკენ მიყავს. ჩვილი ისევ გაოცებული იყურება აქეთ-იქით. მე ტუჩებთან მიმაქვს ხელი და ვანიშნებ, რომ ვკოცნი, შორიდან.

რა ლამაზია ჰაერში კოცნა.

რა ლამაზია ღამის თვითმფრინავი, მოციმციმე ფერადი შუქებით, ხალხით დატვირთული, რკინის ფრთებით რომ გადააფრენს იქ, სადაც უსაფრთხოა, სადაც სამშობლოა, კარგი მხარეა, სადაც ნუგეშია...

ვიღაც მიყვირის აეროპორტის დარბაზში დაბრუნებულს. ჩემ გარდა სხვებიც არიან. ბევრნი. ყველა ვერ წავიდა. ყველამ ვერ გააღწია.

შიშს არა, უფრო მოლოდინის სიმძაფრეს ვგრძნობ. თითქოს ვინმემ ჩემს შიგნით რაღაც ააფეთქა და გამაყრუებელია ეს ხმა.

ეს ხმა ჯობია იმას, რასაც ველოდებით. ამ ხმამ უნდა დამიფაროს, როცა სხვა, უფრო ღონიერი ხმა გადაფარავს ყველაფერს. ამ ხმამ და, ჩემმა შროშანისფერმა სანტა მარიამ...

3. კრიტიკა

ლელა კოდალაშვილი

ქარბუქი, როგორც სისტემა, ღმერთი, ბედისწერა...

2002 წელს, მოსკოვის აკადემიური დიდი თეატრის წინ ახალგაზრდული მოძრაობის წევრებმა უშველებელი უნიტაზის მულაჟი დადგეს, სადაც ვლადიმირ სოროკინის წიგნები ჩაყარეს და “ჩარეცხეს”. ანალოგიური აქცია მისი წიგნების მიმართ რამდენიმე წელიწადში სხვა მართლმადიდებლურ-ახალგაზრდულმა ფრთამაც გაიმეორა.

ვლადიმირ სოროკინი – კონცეპტუალიზმისა და სოც-არტის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, ყველაზე სკანდალური ცოცხალი რუსი კლასიკოსი თავისი ტექსტების გამო ხშირად ეხვევა თავგადასავლებში. ერთ-ერთი ასეთი იყო, როცა მას სასამართლოში უჩივლეს ტექსტში პორნოგრაფიული პასაჟების არსებობის გამო, მაგრამ საბოლოოდ გამოძიებამ ხელმოსაკიდი ვერაფერი იპოვა და მწერალიც გადარჩა. ერთხელ კანიბალიზმის პროპაგანდაშიც დასდეს ბრალი, რადგან მის ერთ-ერთ მოთხრობაში ოჯახის წევრები თავის 16 წლის გოგონას ღუმელში შებრაწავენ და შემდეგ სტუმრებს უმასპინძლდებიან. როგორც ჩანს, რუსულ საზოგადოებასაც, ისევე, როგორც ხშირად ქართველ მკითხველსაც, სერიოზული პრობლემები აქვს

კონცეპტუალური თუ პოსტმოდერნისტული ტექსტების აღქმასთან. ეტყობა, დიდი დაღი დაგვასვა სოციალისტურმა რეალიზმმა და აღარ გვშველის არც მითოლოგია, არც ზღაპრები, არც ფენტეზის ჟანრის ლიტერატურა. მაინც ყველაფერს ფოტოგრაფიული სიზუსტით ვითხოვთ. ეგ კი არა, პერსონაჟის მიერ პირველ პირში მოთხრობილი ამბავიც ავტორის ავტობიოგრაფია გვგონია.

მაგრამ სოროკინის ანტიუტოპიური რომანი, "ოპრიჩნიკის დღე" მაინც ადეკვატურად აღიქვა ხალხის მკითხველმა ნაწილმა. ალბათ ამის მიზეზი ისიცაა, რომ ეს ტექსტი, რომელშიც პოლიტიკური სატირის ენით მომავლის რუსეთია აღწერილი, საჭირო დროს და საჭირო წერტილში ურტყამს სწორედ რომ რუსულ საზოგადოებას, სადაც ყველას ყველაფერი ხელს აძლევს, სადაც არავინ იბრძვის სისტემის წინააღმდეგ, სადაც ისევ მონარქი ზის ქვეყნის სათავეში, ჰყვავის კორუფცია, პროტექციონიზმი, უსამართლობა და კვაზიპატრიოტიზმი. ქვეყანაში კი რუსეთის დიდი კედელია აღმართული, რომელიც გამოჰყოფს მას დანარჩენი მსოფლიოსგან. სოროკინი სტილის ოსტატია. თავისუფლად ცვლის ეპოქებს, ჟანრებს, გადადის ჰორორიდან რეალიზმში, ფენტეზიდან ზღაპარში, ჰიპერნატურალიზმიდან პოსტმოდერნისტულ თხრობაში და ამას აკეთებს მშვიდად, ხაზგასმული გულგრილობით, თითქოს მკითხველის ემოციებზე თამაში უნდაო.

მაშ, ასე. ეს სკანდალური ავტორი ამ დღეებში თბილისში იყო და ჩვენ გვქონდა საშუალება, დავსწრებოდით მისი წიგნის, "ქარბუქის" ქართული თარგმანის (მთარგმნელი სერგო წურწუმია) პრეზენტაციას. რომანი გამომცემლობა "ინტელექტმა" დაბეჭდა და მწერლის საქართველოში მოწვევისა და მასპინძლობის ფუნქციაც მან აიღო თავის

თავზე. აქვე მინდა ვთქვა... მისასალმებელია, რომ “ინტელექტი” არ უშინდება საზოგადოების იმ ნაწილის აზრს, რომელიც ნეგატიური პოლიტიკური ფონის გამო რუსულ კულტურასაც ემიჯნება. პირიქით, ასეთი ნაბიჯი კიდევ უფრო ხელს უწყობს სამოქალაქო, კულტურული საზოგადოების მნიშვნელობის წინ წამოწევას და მისი უპირატესობის ჩვენებას. მითუმეტეს, რომ ვლადიმირ სოროკინი სწორედ ის ავტორია, რომელიც ერთ-ერთი პირველი უპირისპირდება რუსულ იმპერიულ სისტემას, ობსკურანტიზმს, კვაზიპატრიოტულ ღირებულებებს, ქსენოფობიას, ძალადობას სხვა ერებზე. სოროკინი, შეიძლება ითქვას, რომ რუსი ავტორი არაა, ის კოსმოპოლიტი მოქალაქეა, რომელიც თავის ტექსტებში ასახავს ერთ-ერთ ყველაზე მახინჯ სამყაროს და ეს სამყარო სწორედ რუსეთია და მასაც რუსეთი სტკივა და რუსეთზე წერს.

გრძელი, პირქუში რუსული ზამთარი. ორმოცდაორი წლის ექიმი, პლატონ გარინი მიყრუებულ სოფლამდე მიღწევას გეგმავს, რომ იქ როგორმე ჩააქროს ეპიდემია და ხალხი გადაარჩინოს. ის, ვინც უკვე დაინფიცირდა, საფლავიდან დგება და სხვების დაკბენას ცდილობს, როგორც ზომბი. ამოვარდება ქარბუქი. ექიმი ერთი ადამიანის, პერხუშას თანხლებით ცდილობს, სულ რაღაც საათნახევარში მიაღწიოს სოფლამდე. რომანის სიუჟეტიც ამ წინააღმდეგობებით სავსე მგზავრობის შესახებაა. უფრო სწორად, მთელი ეს ამბავი გზაზეა, უსასრულო, ქარბუქიან გზაზე, საიდანაც ვერა და ვერ გაუღწევიათ მთავარ პერსონაჟებს. ნაწარმოები მეცხრამეტე საუკუნის რუსული კლასიკური ლიტერატურის სკოლაა.

სოროკინი სრულფასოვნად ფლობს ენას, მისით მანევრირების ხელოვნებას. ქართველებიდან მას აკა

მორჩილაძეს თუ შევადარებდი, რომელიც, როცა დასჭირდება, დიალექტს, ჟარგონს, ძველ თუ ახალ ქართულს ისეთი ოსტატობით იყენებს, როგორც ფრანგი მეომარი დაშნას, თუ ძველი იტალიელი ხუროთმოძღვარი – საჭრეთელს. ასეთივე ოსტატია სოროკინიც, რომელსაც რომანის სათაურიდანვე შეუძლია, შექმნას განწყობა – წამიერად გაგიელვებს ტოლსტოი თუ პუშკინი. ის შეგნებულად ირჩევს მეცხრამეტე საუკუნის რუსეთის განწყობას, მაშინდელ ენას, რადგან სწორედ ამ ეპოქაში შეიქმნა დიდი რუსული ლიტერატურული კლასიკა. ესაა რუსული კულტურის ოქროს ხანა. მხოლოდ კითხვის პროცესში ვხვდებით, რომ მოქმედება წარსულში არ ხდება, როგორც ეს თავდაპირველად გვგონია. არამედ მომავალში. ამით ის ძალაუნებურად "ოპრიჩნიკის დღეს" მოგვაგონებს. თითქოს ავტორი მიგვანიშნებს, რომ რუსეთში დრო გაიყინა და მას ქარბუქი ატრიალებს ერთ ადგილას. სადაც წინ გადადგმულ ერთ ნაბიჯს ორი უკან გადადგმული ნაბიჯი მოჰყვება. ქარბუქი – ბუნების ეს მოვლენა, შეიძლება

ითქვას, რომ რომანის სრულფასოვანი პერსონაჟია. და თან იმავდრულად თითქოს დეკორაციაც. ესაა სტიქია, რომელიც განაგებს ადამიანების ბედს, ისვრის მათ იმ მიმართულებით, რომელიც მას უნდა. კითხულობ და გრძნობ – აი, ესაა ადამიანის ცხოვრება. გიჟი ბედისწერის ხელში ბურთაობა.

ერთი შეხედვით, თითქოს "ქარბუქი" არ არის პოლიტიკური ტექსტი. და ვლადიმირ სოროკინმაც, მწერალთა სახლში შეხვედრაზე თავი აარიდა რომანის ამ კონტექსტზე საუბარს. თუმცა "ოპრიჩნიკის დღის" ავტორისგან მკითხველი მაინც მწვავე პოლიტიკურ თემებს ელის. რომანი ამ მოლოდინის ფონზე ზედმეტად მშვიდობიანიც კი აღმოჩნდა. და ავტორმაც თავის მწვავე სათქმელს თითქოს ერთგვარად იგავური ფორმა მოუძებნა... სოროკინი თამაშობს ძველი თუ ახალი რუსული ლიტერატურის სტილით თუ სახეებით. ბევრს ეს აღიზიანებს, რადგან გონების დაძაბვას ითხოვს და თითოეული ფრაზის, ნიუანსის, პასაჟის იქით – ყველა გადაძახილის ამოცნობასა და გახსენებას. ვერაფერს იზამ. საუკუნეების მანძილზე საზოგადოებაში მომხდარი ისტორიული, სოციალური, ფსიქოლოგიური ცვლილებები ლიტერატურაში აისახება; სწორედ ამის შედეგად მივიღეთ რთული, მრავალგანზომილებიანი, წინააღმდეგობრივი ლიტერატურული მიმართულება პოსტმოდერნიზმის სახით. დღევანდელი მკითხველი ვალდებულია, თავის თავში ატარებდეს ყველა იმ გამოცდილებას, რომელიც ადამიანმა გაიარა. თანამედროვე არტი ვერ აუვლის გვერდს ამ ცოდნას, ის ვერ აცეკვებს მკითხველს აივანზე, თუ კიბეები არ გაუვლია. სოროკინი სწორედ ამ აივანზე გვეპატიჟება. და აშკარაა, რომ ეს არ სჭირდება მანერულობისთვის ან წიგნიერებისა და ტექნარობის

დასამტკიცებლად, არამედ იმ ეპოქალური ერთიანობის ხაზგასასმელად, იმ გლობალური ვერწინსვლის საჩვენებლად, რომელშიც რუსეთი გახირულა და ვერ იძვრის.

რომანის სათაურმა პუშკინ-ტოლსტოის გარდა თურქი რეჟისორის, ნური ბილგე ჯეილანის ფილმი, "ზამთრის ძილი" გამახსენა, სადაც მოქმედება ანატოლიაში ვითარდება, იქაც წელიწადის ეს დროა სურათის მსვლელობის მანძილზე. ზამთრის მაგია, სადაც არაფერი არ ხდება. გარდა იმისა, რომ ზამთარში ჩარჩენილი პერსონაჟები ერთმანეთში ახლიდან დუღდებიან, ფეთქდებიან. "ქარბუქიც" ამ მაგიას ატარებს. ესაა ამბავი ზამთარზე, გზაზე. ხანდახან გგონია, რომ ეს ყველაფერია მთავარი და პერსონაჟები მხოლოდ დანამატები არიან. დანამატია ექიმიც, რომელიც ერთგვარი ლიდერი და განმანათლებელია, ის არის, ვისაც მოძრაობა სურს და უძრაობას ვერ ეგუება. მაგრამ ამაოა მისი ეს სწრაფვა, რადგან ის მაინც ვერ მიაღწევს სოფლამდე. სწორედ ესაა ერთგვარი ირონია მწერლისა ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ბედისწერის, ან, გნებავთ, იმ რუსეთის, რომელსაც გაყინული გოლიათი ასოგვიცირებს, ექიმი და მისი თანმხლები პერხუშა რომ წააწყდებიან.

ამის მერე რომანში ტრაგიკული მოვლენები მატულობს. თან იხატება ერთგვარი კვაზისექსუალური სიტუაცია, როცა ექიმი მკვდარი გიგანტის უშველებელ ფალოსს დაინახავს. აქ ის ღმერთსაც კი ახსენებს და პირჯვარსაც გადაიწერს. საინტერესოა, რომ როცა ექიმსა და მეწისქვილის ცოლს შორის სექსისას ავტორი ექიმს თოვლის კაცს ადარებს, მერე თავად პლატონ გარინი ახსენებს თოვლის ქალს, რომელსაც გაყინული თოვლის კაცის აღგზნება ძალუძს. ხოლო ბოლო სცენაში ფეხებმოყინულ ექიმს ჩინელები

გადაარჩენენ. ეს გადაძახილი, ეს აბსურდული დრამა რაღაც მომენტში გაბნევს და მეტაფორებს ადგილებს უნაცვლებს. თუმცა ესეც ავტორის მიზანია – სოროკინის რუსეთი ხომ ერთი დიდი გაურკვევლობაა. გაუგებარია მისი აწმყო და წარმოუდგენელი – მისი მომავალი.

მოკლედ, ჩვენ წინაშე ნამდვილი უტოპია ბობოქრობს ქარბუქთან ერთად. აქ მხოლოდ მეტაფიზიკური წინააღმდეგობები და კონფლიქტებია. ეს არაა სატირა. აქ ვერ იპოვით კონკრეტულ მინიშნებებს პერსონებზე და მით უფრო, პოლიტიკურ ფიგურებზე, თუმცა, შეიძლება, მთელი ტექსტი ერთ დიდ მინიშნებად ჩავთვალოთ. თუ "ოპრიჩნიკში" კოლექტიური ჰალუცინაცია რევერბერირებს, სადაც მრავალთავა დრაკონი ძალადობს ამერიკაზე, "ქარბუქში" ექიმი ნარკოტიკის ზემოქმედების დროს ხედავს ხილვას, როგორ იხარშება ზეთში. სოროკინს უყვარს, კოშმარის მერე ნაგრძნობი ბედნიერების აღწერა. ანუ მახინჯი რეალობა – ეს ბედნიერებაა. ხოლო ქარბუქი თითქოს სიმბოლურად მიგვერეკება არქაულობისკენ, და ალბათ ამიტომაც არ უწერია ადგილზე მისვლა ექიმს. ის ხომ რუსი მოდერნიზატორია.

ზემოთაც ვახსენე, რომ სოროკინი ბრწყინვალე სტილისტია და მოხერხებულად თამაშობს ენით. მთელი ტექსტის მანძილზე ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ცხოვრება უსასრულოა და იმავდროულად ერთ წამში შეიძლება, დასრულდეს.

ორი პოლუსი: ქარბუქი და მარადიული მიზანი – დააღწიო თავი პრობლემებს, საამისოდ გაიღო ყველაფერი, რაც გაქვს, მოვალეობის გრძნობის მუდპასუხისმგებლობით სავსე ადამიანის წინააღმდეგობა მოძალადე სამყაროსთან, რომელიც ყველა საშულებით, უთანასწორო

ძალების საშუალებით ებრძვის მას, აფერხებს მის ცხოვრებას, მისი მისიის ასრულებას, აფერხებს პროგრესს, ცვლილებას, სიცოცხლის გადარჩენას. ისტორია გარდაისახება თითქოს ბუნებაში. ესაა სოროკინის ალეგორია. სტილიზებული ქარბუქი ადამიანიცაა, სისტემაცაა, ბედისწერაცაა და ღმერთის მახინჯი სახეცაა იმავდროულად.

წიგნი სოროკინულია, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მოულოდნელობა გვხვდება მის ამ რომანში, რომელიც არ ჰგავს დანარჩენებს. როგორც აღვნიშნე, აქ ბევრი სხვა ავტორია "შერეული", რაც ვლინდება ინტერტექსტუალობაში, დემითოლოგიზაციაში, ტექსტის მეტაფორიზაციაში, ტექსტის რიზომატულობაში. სწორედ ამის გამო მკითხველი რთულად, მაგრამ მაინც იღებს ასეთ ტექსტებს. სოროკინი ხომ ოსტატურად იყენებს ამ ხერხს. და კიდევ ერთი, რაც მას გამოარჩევს სხვა ავტორებისგან, ესაა სოროკინისეული ჩვეული, განსაკუთრებულად გულგრილი მანერა თხრობისა. მას შეუძლია, სულისშემძვრელი ამბები მოგითხროს ისე, თითქოს ჩიტი გადაჯდა ერთი ხის ტოტიდან მეორე ხის ტოტზე.

ძნელი არაა, ეს სიუჟეტი ქართულ რეალობასაც მივუსადაგოთ. უფრო სწორად, თითქოს ჩვენზეა დაწერილი. სწორედ ამიტომ ქართველმა მკითხველმა შეიძლება, უფრო მეტი მგრძნობიარობით წაიკითხოს ეს რომანი. და თუ დაუნდობელი სიმართლით დაწერილ ტექსტებს ჩვენი გაუკეთესება შეუძლია, მე მგონია, რომ "ქარბუქი" სწორედ ასეთია.

ქეთევან კოკოზაშვილი

გადარჩენა უელბეკისებურად

მიშელ უელბეკი უფრო მეტად ცნობილია, როგორც პროზაიკოსი, რომანისტი, თუმცა მან პოეზიით დაიწყო და პირველი ნაწარმოებები ოცი წლის ასაკში გამოაქვეყნა. პირველი ორი პოეტური კრებული 1991 წელს გამოსცა და მომდევნო წელს უკვე ტრისტან ტცარას პრემიაც მოიპოვა.

თუმცა მანამდე უელბეკმა გამოსცა უაღრესად საინტერესო წიგნი. ესაა მოკლე ტექსტებისა და ჩანაწერების ერთობლიობა, მომცრო კრებული "ცოცხლად დარჩენა", რომელიც პირველად 1991 წელს გამოჩნდა, მოგვიანებით კი რამდენჯერმე გამოიცა და ყოველ ჯერზე საკმაო ტრანსფორმაცია განიცადა. წიგნი ქართულად თარგმნა ირმა ტაველიძემ სათაურით **"სიცოცხლის გაგრძელება".** ეს ვერსიაც მისაღებია, თუმცა წიგნის შინაარსიდან და მისი მიზანდასახულობიდან გამომდინარე, თავად სათაურის

სხვაგვარი თარგმანი ვარჩიე – “ცოცხლად დარჩენა“, რაც ეხმიანება ესეს ერთ-ერთ მთავარ ფრაზას, “მკვდარი პოეტი ვეღარ წერს“.

კრებული ოთხი მოკლე ნაწილისგან შედგება. ესაა პოეტურ-ფილოსოფიური ტექსტები, რომლებშიც უელბეკი გვიმხელს პოეტის გადარჩენის მეთოდს ამ მომხვეჭელურ, მერკანტილურ და მტრულ საზოგადოებაში, დღევანდელი სამყაროს ცინიზმისა და უიმედობის ერთიანობაში.

“ცოცხლად დარჩენა“ ახლოს დგას და თავისებურად ეხმიანება რაინერ მარია რილკეს ჩანაწერებს – “წერილები ახალგაზრდა პოეტს“. ეს არაა ცალკეული ტექსტებისგან შემდგარი, დანაწევრებული კრებული, ერთი წიგნია, ერთი მთლიანი ქმნილებაა, სადაც ყოველი ეტაპი (ასე უწოდებს პოეტი წიგნის ცალკეულ ნაწილებს) ერთმანეთში გრძელდება. წიგნში უელბეკი ცდილობს განსაზღვროს პოეტის როლი თანამედროვე უტილიტარულ სისტემაში, ცდილობს, განსაზღვროს პოეტის იდენტობა, რამდენადაც ის განისაზღვრება ამა თუ იმ პრობლემატური მოვლენისადმი ან ადამიანებისადმი დამოკიდებულებით.

წიგნი ოთხ ეტაპად იყოფა, აქვს ოთხი სხვადასხვა სახის განვითარება.

ეტაპი 1. “ჯერ არის ტანჯვა“

თანამედროვე ეპოქის ერთ-ერთი მახასიათებელია, რომ სიყვარული თითქმის არსადაა, მაგრამ სიყვარულის იდეალი ისევ არსებობს, არ გამქრალა. სწორედ იმიტომ, რომ იდეალია, არც გაქრება, არც მიილევა. ეს აშკარა შეუთავსებლობა იდეალურისა და ნამდვილისა ტანჯვის გამორჩეული და განსაკუთრებული საფუძველია. უმნიშვნელოვანესია სიყმაწვილის წლები. როგორც კი

განავითარებთ სიყვარულის იდეალურ, კეთილშობილურ და მშვენიერ კონცეფციას, დაღუპული ხართ, ამიერიდან უკვე აღარაფერი დაგაკმაყოფილებთ.

თუ ქალებს არ ხვდებით (სიმორცხვის, შეუხედაობის თუ სხვა მიზეზით), ქალთა ჟურნალები იკითხეთ, ამ შემთხვევაშიც მსგავს ტანჯვას იგრძნობთ.

მარტოობა, იდეალის უქონლობა, უსიყვარულობა, ფრუსტრაცია – ეს ნიშან-თვისებები, რომლებიც შემდგომში უელბეკის პროზაული ნაწარმოებების პერსონაჟებისთვის არის დამახასიათებელი, პირველი რომანის გამოსვლამდე სამი წლით ადრე, უკვე იგრძნობა მის ლექსებში და ესეში "ცოცხლად დარჩენა". ამ არეულ-დარეულ და ერთფეროვან საზოგადოებაში თავისი პირველი წიგნით უელბეკი იწყებს თითქოს ერთგვარ "დიალოგს სიძულვილით". სიძულვილს იწვევს სამყაროს "მექანისტური და ინდივიდუალისტური აღქმა", დეჰუმანიზებული საზოგადოება, გასართობი ადგილების ხელოვნურობა, "ჰიპერმარკეტული აზროვნება". პოეტს არ შეუძლია შეგუება ამ არაპოეტურ სამყაროსთან. "მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო მშვიდი დღეებიც მაქვს, ხშირად ჰარმონია ირღვევა, მასთან სრულ შეუთავსებლობას ვგრძნობ. თითქოს სამყაროს გვერდით ჩავუქროლებ ხოლმე..." – ასეთია გარემომცველი სინამდვილის მწერლისეული ხედვა.

პირველი ეტაპი, რომელიც პოეტმა უნდა გადალახოს, ეს არის ჩვეულებრივი ტანჯვა. უნდა გამოსცადოს სიმახინჯეც, გარდასული დროის ბანალურობაც, ეგზისტენციალური სიცარიელისა და საკუთარი თავის ზედმეტობის განცდა, მოკლედ, ყოველგვარი სატანჯველი, რაც შეიძლება ადამიანმა იგემოს ცხოვრებაში, რაც ამქვეყნად ყოფნის გამოცდილებას აყალიბებს და მისი პირველი მიზეზია.

თანამედროვე პოეზია, უელბეკის აზრით, სამყაროს აღქმის უიმედო ყოველდღიურობის გამოცდილებას მიჰყვება და ეყრდნობა; შორს არის რომანტიკოსთა მოსაზრებისგან, რომლის მიხედვითაც, პოეტი ეგზალტირებული არსებაა. დასავლური საზოგადოების სინამდვილე ახშობს შემოქმედებითობას, რადგან მისთვის უმთავრესია ბანალური და საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ურთიერთობები, "ჰიპერბაზრის ლოგიკა". თანამედროვე ადამიანი პროფესიულ, სასიყვარულო და სექსუალურ ცხოვრებაში ექვემდებარება რაციონალურ კრიტერიუმებს.

უელბეკის აზრით, ამ ფასეულობების უარმყოფელ და მომხვეჭელური ინსტინქტებით გაჯერებულ საზოგადოებაში, ამ ყოვლად გაუგებარ და მიუღებელ ყოფაში, ნაცრისფერ ურბანულ გარემოში პოეტი მოვალეა, ამხილოს თანამედროვე სისტემის აბსურდულობა და აჩვენოს, რომ არსებობს მშვენიერი და ირაციონალური. მისი წიგნისთვის ასეთი დეფინიცია იქნებოდა სწორი – პოეტი სისტემის წინააღმდეგ. მას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს, მშვენიერების ძიება. პოეტი მხოლოდ ამ მარადიულ ღირებულებას ეძიებს საგნებშიც და ადამიანებშიც. მაგრამ ჭეშმარიტების მსგავს გამოცდილებას რომ მიაღწიოს, მან არაერთხელ უნდა გამოსცადოს დიდი ტანჯვა, მარტოობა, სხვათაგან ზურგის შექცევა, ეს იქნება მისთვის იმის ინდიკატორი, რომ შეიცნო სამყარო.

"როცა სხვებში აღძრავთ დაფრთხალი სიბრალულისა და ათვალწუნების ნაზავს, უკვე გეცოდინებათ, რომ კარგ და სწორ გზაზე დგახართ. სწორედ ამ დროს უკვე შეგიძლიათ, დაიწყოთ წერა."

ეტაპი 2. გამოთქმა

მას მერე, რაც გამოსცდით ამქვეყნად ყოფნის ტანჯვას, დაგროვილი ენერგია უნდა დაიცალოს, უნდა გადაიქცეს წერის მუდმივ პრაქტიკად. უნდა გამოიმუშაოთ ერთგვარი სტრუქტურა თქვენთვის, მოქმედების პრინციპთა ერთობლიობა, რომელიც სიტყვას ფორმას მისცემს, მანამდე კი საშუალებას, რომ ამოითქვას. იმისათვის, რომ პოეტმა წეროს, ფორმაში გაწაფვა სულაც არ არის საკმარისი, თანდათანობით გარკვეული ალქიმია იჩენს თავს შინაარსსა და ფორმას შორის. სწორედ ეს ანიჭებს ღირებულებას პოეტურ სიტყვას. თითოეულმა პოეტმა ეს განსაკუთრებული ალქიმია რომ აღმოაჩინოს, უელბეკი ურჩევს, ბევრი წერონ. მთავარი წერის პრაქტიკაა:

“ნუ ჩათვლით თავს ვალდებულად, ახალი ფორმა გამოიგონოთ. ახალი ფორმა იშვიათია. საუკუნეში ერთი თუ გამოჩნდება, უკვე კარგია... პოეზია არ არის ენაზე მუშაობა, ეს არ არის მთავარი... ნუ იმუშავებთ! ლექსების წერა არ არის მუშაობა, ლექსის წერა ტვირთი და მოვალეობაა... იფიქრეთ სტრუქტურაზე, იფიქრეთ ძველ სალექსო ფორმებზე, ვერსიფიკაცია ძლიერი საშუალებაა, რომ გათავისუფლდეთ შინაგანად.“

ეტაპი 3. “გადარჩენა“

როგორც კი მოიხელთებს წერის რიტმს, პოეტის წინაშე სხვა საკითხი ჩნდება: როგორ უზრუნველყოს საკუთარი თავი მატერიალურად? ბუნებრივია, ის ცდილობს, თავი აარიდოს ყველაფერ იმას, რაც გამოიწვევს მის დასასრულს. სიძნელე ისაა, რომ იგი იძულებულია, თავის სარჩენად შეეგუოს სამსახურს, ისეთ სამუშაოს, რომლითაც თავსაც გაიტანს და წერის გაგრძელების საშუალებაც ექნება, რადგან სწორედ წერაა მისი არსებობის

ერთადერთი მიზანი. წერის გარეშე ის თავისებურ სიცარიელედ იქცევა.

პოეტის ადგილი საზოგადოებაში "წყეული პარაზიტის" ადგილია. ის საერთოდ არ იღებს მონაწილეობას ეკონომიკური პროდუქტიულობის მნიშვნელოვან და დიდ მოძრაობაში. ის გარკვეული დროით პატიოსნად მუშაობს, არ შეუძლია დიდად აქტიურობა, და ამის გამო ათავისუფლებენ. მერე დგება ხანგრძლივი უმუშევრობის პერიოდი ყოველგვარი თანაგრძნობის გარეშე: ის მეორეხარისხოვანი ხდება. მთავარია, ფხიზლად იყოს და გონივრულად მოიქცეს. მისი მგრძნობელობა ბოლომდე უნდა გამოიცადოს და ეს უნდა მოხდეს საარსებო პირობებისგან დამოუკიდებლად. როცა მთლიანად დაიკმაყოფილებს პირველად მოთხოვნილებებს – კვების, ჩაცმა-დახურვის, საცხოვრებლის, ამქვეყნად ცხოველივით იქნება, ყველა გრძნობა გაუმძაფრდება და შესძლებს აღმოაჩინოს ყველაზე მიჩქმალული მშვენიერებაც კი, რომელიც მისთვის იქნება შთაგონება.

"მცირე პროფესიონალურ ჩარევას შეუძლია მოიტანოს გარკვეული ცოდნა საზოგადოების ქმედებაზე, შემთხვევით გამოსადეგი მომავალი ნაწარმოებისთვის. თუმცა ხელმოკლედ ყოფნას კიდევ სხვა ცოდნა მოაქვს. იდეალი არის ცვლილება. ცხოვრების სხვა სინამდვილე, როგორიცაა, მაგალითად, ჰარმონიული სექსუალური ყოფა, ქორწინება, ბავშვები, სარგებლის მომტანიც არის და ნაყოფიერიც. მაგრამ თითქმის შეუძლებელია ამის მიღწევა. ამ მხრივ, ხელოვანებისთვის, უნდა ითქვას, რომ სრულიად "უცნობი ტერიტორიებია."

ეტაპი 4. უნდა დააკაკუნო ხელსაყრელ ადგილზე

იყო პოეტი, ნიშნავს განჩხრიკო სინამდვილე მშვენიერების ძიებისას. უნდა აჩვენო ის, რასაც სხვები ვერ ხედავენ; წარმოაჩინო სიტყვათა გარკვეული ხელსაყრელი მთლიანობა, სამყაროს ერთგვარი ხედვა, რომელიც მხოლოდ შენეულია. ერთი შეხედვით შეიძლება მარტივი ჩანაფიქრია, მაგრამ სირთულე გამოყენებულ საშუალებათა ოსტატობის კოდშია. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, ენობრივ საშუალებათა ერთიანობა იგულისხმება. უელბეკი პოეტის ზუსტ მიზანს და ამოცანასაც გვაცნობს.

“ემოცია სჯაბნის მიზეზობრივ ჯაჭვს; მხოლოდ მას შეუძლია შეგვაგრძნობინოს საგნები თავის თავში. პოეზიის საგანი სწორედ ამ აღქმისა და შეგრძნების გადაცემაა.“

ამ განსაზღვრებას თუ მივყვებით, ავტორს თავისუფლად შეუძლია გაავლოს პარალელი პოეზიასა და ფილოსოფიას შორის. ისინი, მისი აზრით, ორი მონათესავე დისციპლინაა, რომლებიც იკვლევენ “საგნებს თავის თავში“, მაგრამ პოეზია განსხვავდება სინამდვილის მიმართ “წმინდად ინტუიციური“ მიდგომით. ფილოსოფია კი მოქმედებს “ინტელექტუალური რეკონსტრუქციით“. პოეზია და ფილოსოფია ერთმანეთით იკვებებიან, სამყაროს წვდომის ორი ერთმანეთთან თავსებადი საშუალება აქვთ, ასე აყალიბებენ სამყაროს ხედვას, გამომდინარე გონებრივი და ემოციური გამოცდილებიდან.

რაც შეეხება პოეზიის საგანს, რასაკვირველია, ეს საკითხი დაისმის ავტორის წინაშე, თუმცა მას მხოლოდ ერთადერთი რამ მოეთხოვება – კეთილსინდისიერება. გაბედულება კი პოეტის მნიშვნელოვანი თვისებაა. ის უნდა ჩაეწეროს საზოგადოების მიმართ დინების საწინააღმდეგოდ მოძრავთა შორის, თავისი ფუნქცია

კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული, რომ უკეთ გაიკვალოს გზა ჭეშმარიტებისკენ.

“ყოველ საზოგადოებას გამძლეობის გარკვეული ზღვარი აქვს, ასევე აქვს მტკივნეული ადგილები. დაადეთ თითი ჭრილობაზე და მაგრად დააჭირეთ. ჩაუღრმავდით ისეთ თემებს, რომლებზეც არავის სურს საუბარი. გამოაჩინეთ დეკორის უჩინარი მხარე, მიუთითეთ ავადმყოფობაზე, აგონიაზე, სიმახინჯეზე. ილაპარაკეთ სიკვდილზე, დავიწყებაზე, ეჭვზე, გულგრილობაზე, ფრუსტრაციაზე, უსიყვარულობაზე; ბილწსიტყვაობასაც არ მოერიდოთ, მართალიც იქნებით. “

გარემომცველ სინამდვილეზე დაკვირვება უნდა მიიღო ჭეშმარიტების ძიების პირველსაწყისად, საფუძვლად. ეს წიგნი არის მცდელობა, განსაზღვროს, თუ რა შეიძლება იყოს დღევანდელი პოეზია. უნდა შეაღწიო, უნდა მოიცვა “ჰიპერმარკეტები“, “მიწისქვეშა პარკინგები“ და ისინი პოეზიის საგნად უნდა აქციო.

პოეტმა, უპირველესად, თავის თავი სრულად უნდა შეიცნოს, არც თავი უნდა მოიტყუოს და არც მკითხველი მოატყუოს, არ უნდა დაზოგოს ძალები, მთელი შესაძლებლობები ბოლომდე უნდა გამოიყენოს.

ცხადია, საფასური მძიმეა, ძვირად გიჯდება ყოველივე ეს, გზის ბოლოს არის ტანჯვა და მარტოობა. მაგრამ უხამსობითა და უგემოვნობით გაჯერებულ სამყაროში პოეტის როლი ძალიან მნიშვნელოვანია. მან აღტაცების უნარი უნდა დააბრუნოს, იქაც უნდა აღმოაჩინოს პოეტური, სადაც ყველაზე ნაკლებად არის მოსალოდნელი. ეს არის, გარკვეულწილად, გზავნილები მკითხველისთვისაც.

“რაც უფრო უახლოვდებით ჭეშმარიტებას, მით უფრო იმატებს მარტოობა. შენობა შეიძლება დიდებულია, მაგრამ ცარიელი. დადიხართ ცარიელ დარბაზებში და თქვენივე ნაბიჯების ხმა გიბრუნდებათ. გამჭვირვალე და უცვლელი ატმოსფეროა, საგნები სტატუეტებად ქცეულან. ხანდახან ტირილს იწყებთ, ისეთი სიცხადით ჩანს ეს ულმობელობა. ალბათ, უკან დაბრუნებას არჩევდით, არცოდნისა და შეუცნობლობის ბურუსში, მაგრამ მშვენივრად იცით, რომ უკვე ძალიან გვიანია. გააგრძელეთ. არ შეშინდეთ. ყველაზე უარესი უკვე გავლილია. რა თქმა უნდა, ცხოვრება კვლავაც გაგტანჯავთ; თუმცა თქვენ მასთან ბევრი აღარაფერი გესაქმებათ. გახსოვდეთ: უკვე მკვდარი ხართ; უკვე მარადისობის პირისპირ დგახართ.“

“იცოდეთ, რომ იქნებით მთლად მარტო. ადამიანთა უმრავლესობა შეეწყობა ცხოვრებას, მერე კი მოკვდება. თქვენ ცოცხალი თვითმკვლელი იქნებით.“

“ცოცხლად დარჩენა“ კარია, ერთგვარი გასაღებია უელბეკის პოეტური სამყაროსა და ფილოსოფიური აზროვნებისა. ეს არის გადარჩენის მეთოდი მომავალი პოეტისთვის.

“მკვდარი პოეტი აღარ წერს, ამიტომ მნიშვნელოვანია, ცოცხალი დარჩეთ“, – ეს არის პოეტისთვის უმთავრესი: გადარჩეს იმისთვის, რომ წეროს. ტანჯვა მხოლოდ აძლიერებს და ამძაფრებს პოეტურ აზროვნებას, ამიტომ “ყოველგვარი ტანჯვა კარგია, ყოველგვარი ტანჯვა თავის ნაყოფს იღებს, ყოველგვარი ტანჯვა თავისებური სამყაროა.“

“ცოცხლად დარჩენა“ უელბეკის თავისებური აღსარებაც არის, აქ მას ზედმეტი შელამაზება და ყალბი ნაივურობა არ სჭირდება, გულახდილი და გულწრფელია ყოველ

სიტყვაში, ყოველ ფრაზაში და, რაც არ უნდა დეპრესიული და მარტოსული მოგვეჩვენოს, სწორედ ეს არის მისი ნამდვილი მდგომარეობა და ნამდვილი დამოკიდებულება გარესამყაროსადმი. უელბეკი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომელიც დეპრესიის, იმედგაცრუებისა და თრობის გარეშე ის აღარ იქნება, რაც უნდა იყოს, თავის ნამდვილ სახეს დაკარგავს.

4. ახალი თარგმანები

მიშელ უელბეკი

ლექსები

(თარგმნა თემურ ჩხეტიანმა)



გაქრობა

დავალთ ქალაქში და ერთმანეთს ვაგებებთ მზერას,
განმსაზღვრელია ესეც, ალბათ, ჩვენი ყოფისა.
მთავრდება კვირა, სიწყნარეა – დრო მშვიდობისა.
სადგურის კიდეს მივუყვებით დინჯად და ნელა.
რუხი სხეული, შეხიზნული ტანსაცმელს ხალვათს,
უძრავ-უგრძნობი არის უკვე ახლა, დღის ბოლოს.
ჩვენი სული კი, განწირული ნამცეცი მხოლოდ,
ნაკეცებს შორის ირხევა და ცდილობს მიმალვას.
ჩვენ ვარსებობდით, ლეგენდაა ამის დასტური,
და ეს ქალაქიც აღიმართა ჩვენს სურვილთ კვალად;
ჩვენ ვიბრძოდით და მტრის წინაშე ვავლენდით ძალას,
მერე ხელები მოგვიდუნდა და მივატოვეთ.
შესაძლებლობა გაგვეპარა ყოყმანის ბზარით,
ცხოვრება გაცვდა, გაცივდა და ლამის სულ გაქრა.
ჩვენ თითქმის წაშლილ სხეულებს თუ ვუყურებთ ახლა,
მინდობილები რამდენიმე მდუმარე თარიღს.

არსებობა, აღქმა

ერთგვარ ნარჩენად აღვიქმები
რუასი 2-ის ჩასასხდომ დარბაზში
ველოდები რეისს ალიკანტეს მიმართულებით
იქ გაგრძელდება ცხოვრება ჩემი
ალბათ კიდევ რამოდენიმე წელი
თან მეყოლება ჩემი ძაღლი
და მექნება სიხარულები (თანდათან მცირე)
და ტკივილიც (უფრო და უფრო მეტი)
უეცარი სიკვდილის წინმსწრები წლების

* * * (გიპყრობს სურვილი არაფრის ქმნის...)

გიპყრობს სურვილი არაფრის ქმნის, არაფრის განცდის.
გინდა სიჩუმე, უეცარი განცალკევება
ამ სიმშვიდეში – ლუქსემბურგის ბაღში ლოდინი,
აქ დაბერება უკვე ყოფილ სენატორივით.
აღარც ბავშვები, არც გემები და შორით ვალსიც
არ დაგირღვევდეს უიმედო მედიტაციას.
აღარც შიში და გეგონოს, რომ შვება გეღირსა.
არც სიყვარული, აღარც ხსოვნა ჩახუტებისა.

ბოლო ჟამი

დადგება მძიმე დღეები და საშიში ყოფა,
იქნება ტანჯვა, ღამღამობით წრიალი, შფოთვა.
ხელდაყრდნობილი მაგიდასთან უაზროდ ტირი.
ცხოვრებამ ფეხზე დაგიკიდა, გიქცია პირი
და სულ გგრძნობ, ჩემო სიყვარულო, ქალაქში
რომ ხარ
დაიწერება წერილები, რომლებსაც დავხევთ,
მეგობრებიც და იმედებიც თანდათან გაქრნენ
სულ უსარგებლო მიმოსვლანი აქეთ და იქით,
გაშეშებული საათები მზის გულზე სიცხით
და თავს ვერ ვაღწევ ჩემსავე შიშს,
დუმილით თანმხლებს.

მიახლოვდება და პირდაპირ სახეში მიცქერს
ლამაზ ღიმილით, ნაბიჯები: ნელი და მტკიცე.
ბროლის თვალებში მოგონების კადრები უჩანს,
ლითონის ხელთ კი მომავალი უპყრია უტყვად
და სამყაროზე დგას ყინულის შარავანდისებრ.

მოვა სიკვდილიც, საყვარელო, ესეც ხომ იცი?
იქნება ბევრი უბედობა ამ დღეებისა.
არ დავივიწყებთ, ეს სიტყვები და სახეები
უკანასკნელი ნაპირისკენ გასცურვენ ლხენით.
სინანული და ბოლოს ძილი – მძიმე ძილმისჯილთ.

კრესი-ლაშაპელის მატარებელი

გვიან, როდესაც უძილობა ღამეს დაბზარავს
ო, როგორ მინდა ახლობელი ვინმე ჩემ გვერდით
იყოს და ვინმემ თანამიგრძნოს სიტყვით თუ მზერით
ვილაპარაკო და მისმენდნენ მშვიდად და წყნარად.

და სიმორცხვეში გამოკეტილს ამ უნდობლობით
ჩემს ავადმყოფ ტვინს ღამე ისე ხანგრძლივად უჩანს
რომ მირჩევნია, გვერდით მყავდეს ვინმე და თუნდაც
მეუბნებოდეს, როგორ ვკარგავ წლებს ამგვარ ყოფით.

სულ დათრგუნული ვიყავ ხოლმე, ვმგზავრობდი როცა
ყოველ შაბათ დღეს მატარებლით „კრესი-ლაშაპელ“:
უბრუნდებოდნენ ლიცეუმის ყმაწვილნი სახლებს,
ვუყურებდი და მშურდა მათი ლაღად მიმოსვლა.

ჩემში თითქოსდა სურვილების ზღვა ირწეოდა,
შაბათ საღამოს შევყურებდი ჩემს უჟმურ სახეს
და ვერ ვბედავდი ვერც ცეკვას და ვერც წასვლას სადმე,
არც ვინმე მყავდა მოსულიყო და მომხვეოდა.

* * * (იმგვარად უნდა გადალახო სივრცე ლირიკის...)

იმგვარად უნდა გადალახო სივრცე ლირიკის,
როგორც გაარღვევ ხოლმე სხეულს სასურველს, ძვირფასს.
გამოაღვიძო უნდა შენში მძლავრობის ნიჭი:
მარადისობის ჟინი, ეჭვი და პათეტიკა.

* * *(მას ეცვა ცისფერი მანტო...)

მას ეცვა ცისფერი მანტო,
მოედანს ცაც ლურჯით ჰფენდა.
თვალებში სნეულის სევდა
ცის ფერად უჩანდა მარტოს.

* * * (აქედან როცა გავეშურები...)

აქედან როცა გავეშურები,
იქნებ შეიძლო, მინდა, მჯეროდეს,
რომ ჩემთან იყო ბოლო წუთებში,
ნდობით სწორედ შენ შემოგცქეროდე.
პატარა მხეცო, შენი მღელვარე
ძუძუები მსურს ჩემს ხელში – ორივ,
რომ მაგ თეთრ სხეულს ბნელშიც ვხედავდე
საზღვრად ამ და იმ სამეფოს შორის.

* * * (**რა ბუნებრივი არის...**)

რა ბუნებრივი არის,
როგორ ღელავს და ფშვინავს,
საყვარელ ჟოზეფინას
მკერდი თაფლისფერ ღარით.

სავალი გზის შესაძლო დასასრული

რა საჭიროა დრტვინვა? მე ხომ ვცოცხლობდი მაინც;
ვხედავდი ხალხსაც და ცაზედაც ვამჩნევდი ღრუბელს,
ნაკლებად ვსდევდი, მაგრამ მაინც ვიგემე ჟამი –
ნაშუადღევის უფრო ძვირფასს ვუმადლი წუთებს.
ბაღის ავეჯის განლაგებას, მათ წახნაგ-ხაზის
უმანკოებით, ვფიქრობ, ვიცნობ ძალიან კარგად.
ნაცნობია ეს გაწკეპილი გზა საით გადის
და ეს მოწყენაც, თავისუფალ დროს რომ თან ახლავს.
ამ საუკუნის მიწურულში ვიცხოვრებ ასეც.
ჩემი სავალი არ იყო სულ შფოთი და ტანჯვა
(მზის დაკვრა კანზე და ყოფითით შეჭმუხვნა სახის),
მინდა ჩავწვე და თავი ამ მშვიდ ბალახებს ვანდო.
მეც ბალახივით ხნიერი ვარ, ან მისებრ ნორჩი,
გაზაფხულისგან სავსე მწერით და ილუზიით.
ვიქნებოდი მეც ნაწამები, მათსავით ურჩი
ამ ეპოქაში, სამუდამოდ რომელიც მიდის.
ნუთუ ასეა, რომ სიკვდილის მერე ჩვენ სადღაც
სწორედ ასეთებს მიგვიღებენ და ვეყვარებით?
ტანზე გადამდის ღამის ცივი ჰაერის ტალღა
და ვერავისკენ მიპოვნია გზა და კარები.
თუ ხდება მართლა, შეაშველოს კაცმა კაცს ხელი?
და ცამეტი წლის მერეც გრძნობდე ბედნიერებას?
მე კი ვფიქრობ, რომ ზოგ მარტოსულს ვერც-რა უშველის,
და სიყვარულსაც ბევრი რამ არ დაეჯერება.
როდესაც ღამე ჩამოდგება ქალაქის ცენტრში,
გავდივარ გარეთ, ადამიანს ვეძებ და ვნატრობ.
ავსებულია ბულვარები ოქროვან ჩქერით
და არვინაა, შემომხედოს და დამინახოს.
მერე კი, გვიან, მივეგდები ჩემს ტელეფონთან,

ვკრეფ ნომრებს, მაგრამ იქვე ვთიშავ – რა მაქვს
სათქმელი?
და აპარატთან მოკუნტული ჩემივე ფორმა
მიღიმის ბნელში, რადგან დრო აქვს თავზესაყრელი.

თარგმანი თემურ ჩხეტიანის
(პწკარედები ფრანგულიდან ქეთევან კოკოზაშვილის)

* * * (როცა ცივა....)

როცა ცივა
ან უფრო როცა გვცივა,
როცა სიცივის ცენტრი დუნედ თავსდება
ღრმად მკერდის შიგნით
და ფილტვებშიც ისკუპებს მძიმედ,
დიდი სულელი ცხოველივით;
როცა კიდურები სუსტად ფეთქავენ,
უფრო და უფრო სუსტად,
სანამ ტახტზე მოვეწყობით
აშკარა მკვეთრი მოძრაობით;
როცა წლები დალივლივებენ
გაბოლილ ატმოსფეროში
აღარც გვახსოვს სურნელოვანი მდინარე,
ადრეული ბავშვობის მდინარე
ძველი ჩვეულების გამო მას ვუწოდებ:
უმანკოების მდინარეს.
ახლა სინათლეში რომ ვცხოვრობთ,
ახლა უშუალოდ სინათლის მიჯნაზე
რომ ვცხოვრობთ,
უსასრულო ნაშუადღევში,
სინათლე ჩვენი სხეულის ირგვლივ თითქოს ირხევა,
შეგვიძლია ვთქვათ, გეზი ვიპოვეთ,
ვარსკვლავები ყოველ ღამე ერთდებიან,
რომ იზეიმონ ჩვენი ტანჯვა და
გარდასახვა მეტისმეტი იდუმალებით,
და ეს ღამეც, ჩვენი აქ მოსვლის,
ყოველ ღამეთა შორის,
თავშესაფარი, უსასრულოდ ძვირფასი ჩვენთვის.

* * * (როგორც მიწიდან ამოთხრილი სიმინდის ღერო...)

როგორც მიწიდან ამოთხრილი სიმინდის ღერო,
ან ზღვისაგან გარიყული ძველი ნიჟარა
ზუსტად ასე ვარ ცხოვრებისთვის.
მოვბრუნდი შენკენ, ვინც გაბედე და შემიყვარე;
წამოდი, ერთად ვიაროთ და აღმოვაჩინოთ
ღამის გზა-კვალი.

ნაშუადღევს

ზანტი მცდელობა მოძრაობის მთავრდება ტანჯვით,
ასი ნაბიჯის მერე გიჯობთ, უკან დაბრუნდეთ,
დაემორჩილოთ ამ საძაგელ ყოფას და მიწვეთ,
რადგან ეს ერგო თქვენს არსებას, ტკივილით ნამძიმს.
გარეთ კი თბილა – ცა ასხივებს ალმურს და ფერებს
და ატრიალებს ახალგაზრდა სხეულთ ცხოვრება,
და მათ ბუნება გაზაფხულის ზეიმზე უხმობთ,
მხოლოდ თქვენ, ერთი, შეუპყრიხართ სიცარიელეს.

და თუ გრძნობთ რამეს – აუტანელ სიმძიმეს ტანის,
და აღარ ფიქრობთ ცხოვრებაზე – ის დარჩა განზე,
თქვენი სხეული უკვე იქცა დამჭკნარ ფერ-ხორცად;
და სისხლიც ისე დუნედ უვლის გარს მტკივან სახსრებს,
რომ სიყვარულიც, რა ხანია, თქვენ აღარ გახსოვთ
და ღამე, როგორც განაჩენი თავზე გემხობათ.



ვისლავა შიმბორსკა

ლექსები

(თარგმნა ეფემია ჭავჭანიძემ)

სარეკლამო პროსპექტი

მე დამამშვიდებელი აბი ვარ.
ვმუშაობ სახლში,
სამსახურში (შესანიშნავ შედეგებს ვაღწევ),
ვაბარებ გამოცდებს,
გულდასმით და ფრთხილად ვაწებებ გატეხილ ჭურჭელს –
მხოლოდ მიმიღე, როგორც წამალი,
ენის ქვეშ დამადნე,
მხოლოდ მიმიღე,
მხოლოდ წყლის ყლუპი ჩამაყოლე.

ვიცი, როგორ გავუმკლავდე უბედურებას,
გადავიტანო ცუდი სიახლე,
შევამცირო უსამართლობა,
ავხსნა ღმერთის ნაკლოვანება,
შევარჩიო სამგლოვიარო თავსაბურავი დაკრძალვისათვის.
რას ელოდები –
ქიმიურ სიბრალულს დროა მიენდო.
შენ ჯერ ისევ ახალგაზრდა ხარ,
როგორღაც უნდა დაალაგო მომავალი.
და ვინა თქვა, რომ ეს ცხოვრება
მეტ სიმამაცეს მოითხოვს უფრო – გადარჩენაზე?
შენი უფსკრული მომეცი და
სამაგიეროდ მე ძილს მოგცემ.
შენ მადლიერი იქნები,
რომ ოთხ თათზე დაცემას შეძლებ.
მომყიდე შენი სული.
სხვა მყიდველი არ გამოჩნდება.

სხვა ეშმაკი ხომ აღარ არსებობს.

დაბრუნება

დაბრუნდა. არაფერი უთქვამს.
ნათლად ჩანდა – უსიამოვნება შეემთხვა.
ტანისამოსიანად დაწვა.
თავზე საბანი წაიფარა.
მუხლები მოხარა.
დაახლოებით ორმოცისაა, თუმცა არა ამ წუთებში,
ის ახლა მხოლოდ ჩანასახია დედის საშოში.
ცხრაპირ ტყავს მიღმა, თავდაცვით სიბნელეში.
ხვალ დილით ლექციას წაიკითხავს ჰომეოსტაზზე
გალაქტიკათაშორის კოსმონავტიკაში.
მაგრამ ახლა წელში მოხრილს და მუხლებმოკეცილს,
უბრალოდ სძინავს.

სარკე

დიახ, მე მახსოვს ეს კედელი
ჩვენი ქალაქის ნანგრევებში.
თითქმის მეექვსე სართულამდე ამართული.
მეოთხეზე კი სარკე იყო, რაღაც სასწაულით რომ
არ დაიმსხვრა, საიმედოდ დამაგრებული.

ის არავის სახეს არ ირეკლავდა
არც არავის ხელებს, თმების ვარცხნისას,
და არც სახლის შესასვლელ კარს, დაკიდებულს
მოპირდაპირედ.
არაფერს, რასაც შეიძლება
ადგილი ეწოდოს.

იყო ისე, როგორც არდადეგებზე –
მასში მოჩანდა ცოცხალი ცა,
ველური ქარით გზაარეული ღრუბლები,
მბრწყინავი წვიმის წვეთებით გადარეცხილი მტვრიანი
ნანგრევები,
გადამფრენი ჩიტები, ვარსკვლავები და აისები.

და ისევე, როგორც ყველა კარგად გაკეთებული ობიექტი,
იგი უნაკლოდ ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას,
პროფესიული სიმშვიდით – ყოველგვარი გაოცების გარეშე.

თანაწყობა

არსებობს კატალოგთა კატალოგები.
არის ლექსები ლექსების შესახებ.
მსახიობთა ხელოვნება, მსახიობებს რომ თამაშობენ.
წერილები წერილების გამოისობით დაწერილი.
სიტყვები სიტყვების ასახსნელად.
ტვინები, დაკავებულნი თავის ტვინის შესწავლით.
არსებობს მწუხარება, გადამდები, როგორც სიცილი.
ქაღალდის მეორადი გადამუშავებით მიღებული ქაღალდი.
შემჩნეული მზერები თუ გამოხედვები.
შემთხვევების მიერ შეცვლილი შემთხვევები.
დიდი მდინარეები მცირეთა მნიშვნელოვანი
მონაწილეობით.
ტყეები ნაპირებამდე ტყით დაფარული და სავსე.
მანქანების მწარმოებელი მანქანები.
სიზმრები, რომლებიც მოულოდნელად გვაღვიძებენ.
კარგი ჯანმრთელობა, ჯანმრთელობის აღდგენას რომ
სჭირდება.
საფეხურები კიბეებზე, როგორც ქვემოთ, ასევე ზევით.
სათვალეები სათვალეების მოსაძებნად.
ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა. სულის. სუნთქვა.
და შესაძლოა, დროგამოშვებით მაინც
სიძულვილის სიძულვილი.
რადგან ასე ბოლოს და ბოლოს
არცოდნის არცოდნას
მივყავართ ხელებთან, ხელებს რომ ბანენ.

მადლიერება

მადლიერი ვარ, ვალში ვარ მათთან –
ვინც არასოდეს მყვარებია.
სიმსუბუქისთვის, რითაც იოლად ვეგუები,
რომ ჩემზე მეტად სხვა სჭირდებათ ან ენატრებათ.

სიხარულისთვის, რომ არა ვარ მგელი
მათი ცხვრებისთვის.

სიმშვიდისა და თავისუფლების შეგრძნებისთვის,
მათთან ყოფნისას რომ განვიცდი.
ესაა, რასაც სიყვარული ვერასდროს მოგცემს
ან გაპატიებს.

არ მიმოვდივარ ფანჯარას და სახლის კარს შორის
მათ მოლოდინში.

მოთმინება არ მესწავლება –
მზის საათს ვგავარ.
და შემიძლია მიტევება
სიყვარულისთვის უპატიებლის.

დრო შეხვედრიდან წერილამდე
არ ემსგავსება მარადისობას,
სულ რამდენიმე კვირა გადის, დღე ან საათი.

მათთან – ყოველთვის წარმატებით იმოგზაურებ,
გულისყურით მოუსმენ კონცერტს,
მშვიდად მოინახულებ საკათედრო ტაძარს,
ნათლად აღიქვამ ხედის სილამაზეს.

და თუ შორსა ვართ ერთმანეთისგან –
ცხრა მთისა და ცხრა ზღვის გადაღმა,
– მთებიც და ზღვებიც –

სულ ადვილად შეგვიძლია – ვნახოთ რუკაზე.
მათი დამსახურებაა –
რომ სამ განზომილებაში ვცხოვრობ,
ლირიკისა და რიტორიკისგან დაცლილ სივრცეში,
ნამდვილი, მოძრავი ჰორიზონტით.

და მათ თავადაც არ უწყიან,
რამდენს გვაძლევენ ცარიელი ხელებით.
“მე მათგან არ ვარ დავალებული”
– ასე იტყოდა სიყვარული –
ამ – განხილვისთვის ღია თემაზე.

ცოტა რამ სულის შესახებ

სული არის. მხოლოდ დროდადრო.
არავინ ფლობს მას უწყვეტად
და სამუდამოდ.
შეიძლება დღე დღეს მიჰყვეს
და წელი წელიწადს
მის გარეშე.
ზოგჯერ მხოლოდ აღტაცებასა
და ბავშვურ შიშში
დაივანებს უფრო ხანგრძლივად.
ზოგჯერ მხოლოდ გაოცებაში
– როგორ მოვხუცდით!
იშვიათად გვეხმარება
მძიმე შრომაში,
ვთქვათ, ავეჯის გადაადგილებისას,
ბარგის გადაზიდვისას,
ან შორ გზებზე სიარულში ვიწრო ფეხსაცმელებით.
ანკეტების შევსებისას
და ხორცის კეპვისას
როგორც წესი – უქმეები აქვს.

ჩვენი ათასი საუბრიდან მონაწილეობს ალბათ ერთში,
ან იქაც არა, რადგან სიჩუმეს ამჯობინებს.

როცა ჩვენს სხეულს ტკივილი იპყრობს და ვიტანჯებით,
ჩუმად გვტოვებს, არ ასრულებს მოვალეობებს.

წუნიაა და მომთხოვნი: თვალს გვარიდებს
ხალხმრავლობაში,
ამაზრზენად მიაჩნია ჩვენი ბრძოლა უპირატესობისთვის
და ეს ომები რაღაც საეჭვო ინტერესების.

სიხარული და მწუხარება
სულაც არ არის მისთვის ორი სხვადასხვა გრძნობა.
აკავებს ჩვენთან სწორედ მათი ერთიანობა.

შეგვიძლია მას მივენდოთ,
არაფერში რომ არა ვართ დარწმუნებული,
ყველაფერი კი გვაინტერესებს.

მატერიალურ საგნებს შორის
გამორჩეულად უყვარს ქანქარიანი საათები
და გულმოდგინე სარკეები, თავის საქმეს რომ აკეთებენ
მაშინაც კი, როცა არავინ არ უყურებთ.

ის არ ამბობს, საიდან მოდის,
სად ქრება ისევ,
მაგრამ აშკარად ელოდება ჩვენგან ამ კითხვებს.

თუმცა, როგორც ჩანს:
ჩვენ ის გვჭირდება,
რატომღაც თუ რაღაცის გამო,
ისევე როგორც, ჩვენ მას ვჭირდებით.

ყველაფერი
ყველაფერი –
სიტყვა თავხედი და სიამაყით გაბღენძილი.
ბრჭყალებში უნდა იწერებოდეს.
თავი მოაქვს, რომ არაფერი გამორჩება.
თითქოს ყველაფერს მოიცავდეს, კრებდეს და ფლობდეს.
ამ დროს კი მხოლოდ
აღმნიშვნელია გაურკვეველი არეულობის.

პარკში
– ოი, დედიკო, – გაკვირვებით კითხულობს ბიჭი,
– ეს უცნაური ქალბატონი ნეტავ ვინ არის?

– გულმოწყალების ქანდაკება,
თუ რაღაც ასეთი –
დედა პასუხობს.

– და რატომ არის ეს ქალბატონი
ასე... შე... ე... ე... შელახული?

– არ ვიცი, მაგრამ რაც თავი მახსოვს,
სულ ასეთია.
ჰო, ქალაქი ვალდებულია, გადაწყვიტოს რამე მასთან
დაკავშირებით
ბოლოს და ბოლოს, ან აიღოს, ან განაახლოს.
და ამაზე მოვრჩეთ ახლა, გზა გავაგრძელოთ დროა,
წავიდეთ.

ხარკი სტატისტიკას

ყოველი ასი ადამიანიდან

ყველაფერი – ყოველთვის და სულაც ყველაზე უკეთ იცის
– ორმოცდათორმეტმა;

ყველა ნაბიჯი საეჭვოდ და საჭოჭმანოდ მიაჩნია
– ყველა დანარჩენს;

მზადაა მოყვასს დაეხმაროს,
თუ ეს დიდ დროს არ მოითხოვს
– სულ ორმოცდაცხრა;

სავსებით კარგი, კეთილი და სათნო არის,
რადგან სხვაგვარად მას არ ძალუძს
– ოთხი, ან ხუთი – შესაძლოა;

მიდრეკილია აღფრთოვანდეს შურის გარეშე
– მათგან თვრამეტი;

ვინმეს ან რამის – გამუდმებულ შიშში ცხოვრება უწევს
– დაახლოებით სამოცდაჩვიდმეტს;

ბედნიერების განცდის უნარი გააჩნია
– მხოლოდ ოცდაერთს, არაუმეტეს;

პიროვნულად უვნებელია, ბრბოში მყოფი კი სახიფათო
– ნახევარი – მე ასე ვფიქრობ;

სასტიკია,
გარემოება როცა მოითხოვს...
– რაოდენობა არ ვიცოდეთ უკეთესია,
უზუსტოდაც კი;

ზიანის შემდეგ დაბრძენებული
– ცოტა მეტია,
ვიდრე მანამდე;

ცხოვრებისგან რომ არაფერს იღებს ნივთების გარდა
– ორმოცია მიახლოებით;

წელში მოხრილი, სნეული, სიბნელეში სანთლის გარეშე
– ოთხმოცდასამი
– ადრე თუ გვიან;

ღირსი არის თანაგრძნობა გაუწიონ
– არანაკლებ ოთხმოცდაცხრამეტს;

მოკვდავია
– ასიდან ასი.
რაოდენობა, რომელიც ჯერ არ შეცვლილა, ოდითგან –
დღემდე.

მცირე შენიშვნა

სიცოცხლე ერთადერთი შესაძლებლობაა, რომ შეიფოთლო,
ქვიშაზე სული მოიბრუნო, ფრთები გაშალო და გაფრინდე;
იყო ძაღლი, ან მას თბილ ბეწვზე ეფერებოდე;
იცნო ტკივილი და განასხვაო ყველაფრისგან, რაც ის არ არის;
იმყოფებოდე მოვლენათა შუაგულში, ან სადღაც, ხედში ჩაიკარგო,
ეძებო ყველაზე უმცირესი – საკუთარი შეცდომებიდან.

განსაკუთრებული შესაძლებლობაა, წამიერად დაიმახსოვრო
რაზე იყო საუბარი ჩამქრალ ლამფებთან;
ერთხელ მაინც წაიფორხილო – ქვას რომ ფეხს წამოჰკრავ,
შემთხვევით წვიმაში დასველდე და ბალახებში მიაკარგო გასაღებები;
და გაჰყვე ქარში გამკრთალ ნაპერწკალს;
და განუწყვეტლივ – არ ხედავდე რაღაცას – ძალზე უმნიშვნელოვანესს.

ღრუბლები

ღრუბლების აღწერისას
სჯობს, რომ ავჩქარდეთ
დროის ხანმოკლე მონაკვეთში ხომ
ერთნი ქრებიან, მათ ადგილზე სხვები ჩნდებიან.

მათი მთავარი თვისება, არსი
ის არის, რომ არასოდეს მეორდებიან
ფორმით, ფერით, მდებარეობით, აგებულებით.

მოგონებათა ტვირთისაგან თავისუფალნი
მსუბუქად ფრენენ – წუთისოფლის ცის კაბადონზე.

არც მოწმეებად გამოდგებიან –
ისე უეცრად იფანტებიან ხოლმე – ოთხივე მიმართულებით.

ღრუბლების ფონზე
ყოფიერება მყარ რეალობად წარმოგვიდგება,
თითქმის მუდმივ, მარადიულ კატეგორიად.

და ღრუბლებთან შედარებით
შეიძლება რიყის ქვაც კი ძმად მოგვეჩვენოს,
ვისზეც დაყრდნობა შეიძლება,
თვით ღრუბლები – არასანდო და შორეულ ბიძაშვილებად.

დაე იცხოვრონ, თუ ასე სურთ ადამიანებს,
საბოლოოდ ყველა მოკვდება,
თუმცა ღრუბლებს არაფერი ესაქმებათ
ამ ყველაფერთან – ამ
უცნაურ ხდომილებებთან.

მთელ შენს ცხოვრებას
და ჩემსას, ჯერაც დაუსრულებელს,
ჩვეულ ნაბიჯით ჩაუვლიან, როგორც აღლუმზე.

ცვალებად ღრუბლებს არ აკისრიათ მოვალეობა ჩვენთან ერთად გარდაცვალების
და არც მათზე დაკვირვება არის საჭირო, რომ მათ კვლავაც განაგრძონ ფრენა.

ერთი ნახვით შეყვარება

ორივე დარწმუნებულია,
რომ ისინი უცაბედმა გრძნობამ შეაერთა.
მშვენიერია ასეთი რწმენა,
თუმც გაურკვევლობა – უფრო ლამაზია.

თვლიან: მათ შორის არაფერი ყოფილა ადრე,
რადგან ერთმანეთს არ იცნობდნენ –
ნეტავ ამაზე რას ფიქრობენ ის ქუჩები, კიბეები ან
დერეფნები,
სადაც ისინი წლების მანძილზე ერთიმეორის გვერდის
ავლით დააბიჯებდნენ?

მე მინდოდა მეკითხა მათთვის,
იქნება ახსოვთ,
როგორ აღმოჩნდნენ ერთმანეთის პირისპირ მდგარნი
რომელიღაც მბრუნავ კარში მოძრაობისას,
იქნებ იყო სიტყვა „ბოდიში“ ხალხის ტალღაში
ან ტელეფონით მოსმენილი „თქვენ სხვაგან მოხვდით“?
მაგრამ პასუხი წინასწარ ვიცი –
არა, არ გვახსოვს, ვერ ვიხსენებთ ასეთს ვერაფერს.

ალბათ ძალიან გაოცდებოდნენ,
რომ გაეგოთ,
უკვე რამდენი დრო გავიდა,
რაც შემთხვევა ეთამაშებათ.

სანამ არ იყო მზად იმისთვის,
მათ ბედისწერად რომ ქცეულიყო,
აახლოებდა ერთმანეთს და... კვლავ აშორებდა,
ხან წინ, გზაზე გადაურბენდა

და მერე სიცილს იკავებდა იქვე, კუთხეში,
განზე გამდგარი.

და სიგნალებიც იყო, ნიშნები თუ მინიშნებები –
შეიძლება ბუნდოვანი – მაგრამ რა, მერე?
იქნებ სადღაც – სამი წლის უკან,
ანდა სულაც წინა სამშაბათს,
ერთს ფურცელი დაუვარდა და მიაწოდა სწრაფად მეორემ
ან რაღაც ნივთი დაიკარგა, შემდეგ იპოვეს
და შეიძლება ეს იყო ბურთი,
სათამაშო – მათი ბავშვობის სანახებიდან
გადმოსროლილი?

იყო ზარები და კარების სახელურები,
სახელურებზე – მათი შეხება ერთმანეთის ანაბეჭდებზე,
გვერდიგვერდ მდგარი ჩანთები ან ჩემოდნები
სადღაც, შემნახველ კამერაში ან სასტუმროში.
ანდა ერთ ღამეს დაესიზმრათ ერთი სიზმარი,
რომელიც მყისვე დაავიწყდათ გაღვიძებულებს.

უბრალოდ, ყველა დასაწყისი
გაგრძელებაა ყოველთვის რამის
და ეს წიგნიც სიცოცხლის (თუ შემთხვევათა ჩანაწერების),
ღია არის და გადაშლილი სანახევროდ – ესეც ყოველთვის.

[1] აქ ვგულისხმობ და თავისუფლად ვციტირებ ჩარლზ ოლსონის ლექსს, „La preface“, კერძოდ სტროფს, სადაც ის წერს „we put our hands to these dead“.

[2] როთენბერგი, უდავოდ, კოლრიჯის თეორიას გულისხმობს, რომლის თანახმადაც fancy da imagination განსხვავდება, პირველი მდაბალია, მეორე კი ამაღლებული. ჩვენს კონტექსტში, ინგლისელი პოეტი ამით კვლავ უერთდება პლატონის გამიჯვნას (ამაღლებული პოეზია მდაბალი პოეზიის წინააღმდეგ). როთენბერგისთვის ბევრად ახლობელია ესპანელი მხატვრის, გოიას კაპრიჩო და, მოგვიანებით, გარსია ლორკას დუენდე (იხ. მისი კრებული „Concealments & Caprichos“, 2010)

[3] თუ ქართველ მკითხველს აინტერესებს, რა ტიპის ექსპერიმენტები შეიძლება იგულისხმებოდეს აქ, ვურჩევ, ისინი ეძებოს ფრანგულ OuLiPo-ში (რომელზეც მეტს ქვედა კომენტარში ვწერ), ან ამერიკელ შემთხვევითი პროცედურების (chance operation) პოეტებთან: ჯონ ქეიჯთან და ჯექსონ მაკ ლოუსთან.

[4] ფრანგი პოეტი, მათემატიკოსი, ანთოლოგისტი და პოეტიკის თეორეტიკოსი, რემონ კენოსა და ჟორჟ პერეკთან ერთად, ხსენებული OuLiPo’s მთავარი წარმომადგენელი. ნათარგმნი ჰყავს მრავალი ამერიკელი პოეტი (მათ შორის როთენბერგი, გერტრუდ სტაინი, ჯეკ სპაისერი). მან შეადგინა გალიმარის 1980 წლის ბილინგვური ანთოლოგია, ოცი ამერიკელი პოეტი – ამათ შორის, ერთ-ერთი როთენბერგი.

[5] 1960 წელს, დონ ალენის „New American Poetry“-მ საფუძველი ჩაუყარა „მესამე თაობის“ ავანგარდს ამერიკულ პოეზიაში. ბევრმა მკითხველმა მაშინ წაიკითხა ბლექ მაუნთინის

(ოლსონი, ქრილი, დანკანი), ბიტ თაობის (გინსბერგი, კერუაკი, კორსო), ნიუ იორკული სკოლის (ეშბერი, ო'ჰარა, სქაილერი), სან ფრანცისკოს რენესანსის (სპაისერი, ბლეიზერი) და სხვა პოეტების შემოქმედება. დონ ალენის თანახმად, ეს ახალი პოეზია ამერიკის ისეთივე მონაპოვარი და უნიკალური გამოხატულება იყო, როგორც აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი მხატვრობაში ან ფრი ჯაზი მუსიკაში.

[6] როთენბერგი გულისხმობს იმ კონვენციურ, ტრადიციულ ამერიკელ პოეტებს, რომლებიც აკადემიური და ლიტერატურული პოპულარობით სარგებლობდნენ 40-იანებსა და 50-იანებში, ასეთებია დელმორ შვარცი, თეოდორ როტკე, რობერტ ლოუელი, რიჩარდ უილბერი, რენდელ ჯარელი და სხვები. ლირიკული, კონფესიური და პირადული პოეზიის ავტორები, რომელთა არსობრივი განსხვავებაც როთენბერგის პოეტიკასთან, ალბათ, აშკარაა.

[7] „დიფ იმიჯი", ამრიგად, აგრძელებს არა მხოლოდ იმაჟისტების (პაუნდი, უილიამსი, ჰილდა დულიტლი) ტრადიციას, არამედ ერწყმის ევროპულ მოდერნიზმსაც. როთენბერგის და კელის გარდა, მოძრაობას ეკუთვნოდნენ კლეიტონ ეშელმანი, დევიდ ანტინი, დაიან ვაკოსკი, არმან შვერნერი და სხვები. აღსანიშნავია, რომ თავად ტერმინი, ღრმა სახე-ხატი, ერთგვარი ომაჟია ლორკას (ბოშური) ღრმა სიმღერისადმი (cante jondo)

[8] საერთაშორისო ინტერდისციპლინარული მოძრაობა მეოცე საუკუნის ავანგარდში. ფლუქსუსის მთავარი მედიუმი პერფორმანსია. ის დადას ერთგვარი განახლებული და გავრცელებული ფორმაცაა.

[9] მსგავს პოეზიაზე სხვაგან ამ სიტყვებით ვწერდი: არა მხოლოდ მუდმივი ანდერგრაუნდი და აუტსაიდი, რომელიც ყოველთვის არსებობდა და რომელიც ყველაზე ადრეულ (პროტო-)შამანიზმს აკავშირებს რადიკალური თუ მარგინალური ფორმების უახლეს გამოხატულებებთან. გარი სნაიდერი ამას „დიად სუბკულტურას“ უწოდებს, ამ ხმებს, რომლებიც არსებობდნენ, და იშლებოდნენ ან ნადგურდებოდნენ ყველა კულტურაში. ანტონენ არტო: „მე მხოლოდ ის მაინტერესებს, რაც კულტურის მიღმაა“. რობერტ დანკანი ყველა ამ ხმის ასიმილირებას გვთავაზობს, და ამას „მთლიანობის ნადიმად“ მოიხსენიებს (განსხვავებით პლატონისგან, რომლის ნადიმიც ათენელებისთვის იყო განსაზღვრული)

[10] მსგავს პოეტს და, ზოგადად ეშელმანის კონცეპტს ასე ჩამოვაყალიბებდი: გარკვეული ტიპის პოეტი „ორმოს დირიჟორობს“ და არა ორკესტრს. ანუ ეშელმანის მოთხოვნაა, რომ პოეტმა (ლექსმა) იკვლიოს არაცნობიერი, უცნობი, უხილავი, გაუკვალავი. ამავე სახელწოდების წიგნში (Conductors of the Pit, Soft Skull, 2005) (რომელშიც ეშელმანის თარგმანებია თავმოყრილი და რომელიც, გარდა ბრწყინვალე კრებულისა, თარგმანის სახელმძღვანელოდ მიმაჩნია), თავმოყრილია სეზარ ვაიეხოს, ანტონენ არტოს, ემე სეზერის, ვლადიმირ ჰოლანის ლექსები, აგრეთვე რემბოს „მთვრალი ხომალდი“ და სხვები.

[11] ეს, ნაწილობრივ, როგორც ალუზია როთენბერგისავე ლექსზე და კრებულზე, სახელწოდებით „პოეტების სამოთხე“.

[12] objectivism – მოძრაობა, რომელსაც პაუნდმა ჩაუყარა საფუძველი, რომელსაც ეკუთვნოდნენ უილიამ კარლოს

უილიამსიც და უფრო ახალგაზრდა პოეტებიც, ლუის ზუკოვსკი, ჯორჯ ოფენი, ჩარლზ რეზნიკოვი და სხვები.

[13] რის მაგალითადაც, მსურველს ვურჩევ, ინტერნეტსივრცეში მონახოს ინდიელების სიმღერების როთენბერგისეული თარგმანები, მაგალითად „Horse Songs of Frank Mitchell“.

[14] ხურბნ (იდიშზე, khurbn ებრაული khurban‘იდან): ნიშნავს უბედურებას, კატასტროფას. ასე უწოდებდნენ ებრაელი პოლონელები იმას, რაც ზოგადად ჰოლოკოსტის სახელითაა ცნობილი.

[15] ელ შადაი – ებრაულად ყოვლისშემძლე ღმერთი

[16] ანონიმური / კოლექტიური ზეპირსიტყვიერი ნიმუშების შემთხვევაში []-ში მოცემულია ტომის სახელწოდება და, ხანდახან, მათი გეოგრაფიული მდებარეობა. ამათ პარალელებად მომყავს თანამედროვე პოეზიის ნიმუშები (ეს ნიმუშები ხანდახან როთენბერგის მიერაა მოტანილი, ხანდახან კი ჩემით დავუკავშირე მის მიერ წარმოდგენილ ნამუშევრებს), სადაც, ცხადია, ტომის ადგილას მივუთითებ კონკრეტულ ავტორს.